

# მასწავლებელი

ნაირა გელაშვილი:
## სკოლისა და ოჯახების ფიასკო

## სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება მოზარდებში

## სკოლა თუ რეპეტიტორი
რატომ არ დადიან უფროსკლასელები სკოლაში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

N3, 2009

ISSN 1987-6149

ჟურნალი

# მასწავლებელი

## აცხადებს კონკურსს!

## ჩაერთეთ
## კონკურსში!





## გაგვიზიარეთ
## თქვენი გამოცდილება!

# საუკეთესო გაკვეთილი
# სამოქალაქო განათლებაში!


## გამოგვიგზავნეთ გაკვეთილის გეგმა, თვალსაჩინოებები და სავარჯიშოები!

საუკეთესო გაკვეთილების ავტორები საჩუქრად მიიღებენ **ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას** და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო გაკვეთილი გამოვლინდება.

გაკვეთილების გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!




**საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:**


მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

# რედაქტორისგან

ბოლო დროს განათლების თემაზე საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიებს ვადევნებ თვალს – საინტერესოა. *მეინსტრიმ მედია* ამ თემაზე საჯარო დებატებით არ გვანებივრებს – უმნიშვნელოდ თვლის ან „ჟანრის“ საუკეთესო ტრადიციას აგრძელებს, ანუ საზოგადოებრივი ინტერესი უგულებელყოფილია. ინტერნეტ-სივრცეში, რომელიც ქართველი ინტელექტუალების თავშესაფრად იქცა, ამ თემაზე აქტიური დებატები მიმდინარეობს. კონკრეტიკა ამ შემთხვევაში უადგილოა – ადამიანები, უბრალოდ, სკოლაზე მსჯელობენ. აქტივობა მაღალია, მონაწილეთა სპექტრი – ფართო: ყველა მოსაზრება ცნობილია... მასწავლებლების პოზიციის გარდა.

მათი სახელით, ვინც დუმილის პოზიციას ირჩევს, როგორც წესი, „სხვები“ საუბრობენ – ისინი, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ხიბლი უკვე შეიგრძნო. 20-30 წლის შემდეგ ამ ქვეყნის ბედს ისინი გადაწყვეტენ, ვინც დღეს სკოლის მერხთან ზის და კაცუნებს ძერწავს. იმედი გვაქვს, რომ დუმილი მათი პოზიცია, ხოლო განზე დგომა მათი არჩევანი არ იქნება. ეცოდინებათ, რომ მათი ძალისხმევის გარეშე არაფერი შეიცვლება – ეს არჩევანი მათ უკვე დღეს, სკოლაში, მასწავლებლების დახმარებით უნდა გააკეთონ. ისწავლონ სხვათა აზრის მოსმენა და პატივისცემა, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დაცვა – განათლების თეორიაში ამ უნარებს სოციალურ უნარებს უწოდებენ და მათი განვითარება სასკოლო განათლების მთავარი მიზანია.

ბოლო დროს განათლების სფეროში საბჭოთა დროიდან მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემებს ვეძებ – ესეც მნიშვნელოვანია და იმიტომ. ამბობენ, რომ სისტემა შეიცვალა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არა ძირეულად. სკოლის ბრძოლა საკუთარი არსის წინააღმდეგ – ეს სარეპეტიტორო და საჯარო სკოლების დაპირისპირებაა, რადგან ორივე ინსტიტუცია, ფორმალური და არაფორმალურიც, მასწავლებლებზე დგას. უფროსკლასელებმა სკოლას ზურგი აქციეს – ექსპერტებსა და მრგვალი მაგიდის მონაწილეებს საჯარო სკოლებში დასწრების პრობლემის რეალური მიზეზებისა და გადაჭრის გზების გაანალიზება ვთხოვეთ.

„დედებისა და მასწავლებლების ფიასკო“ – ასეთი სასტიკი განაჩენი განათლების სისტემისთვის ჯერ არავის გამოუტანია. თანამედროვე სკოლა ასე ნაირა გელაშვილმა შეაფასა. მწერალი ცვლილებების მოლოდინშია, ისევე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი. ამ ცვლილებების განხორციელება კი თქვენი, მასწავლებლების აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

ხათუნა კვესელავა
*მთავარი რედაქტორი*


ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.

მასწავლებელი
N3, 2009

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ



**რედკოლეგია:**
სოფო გორგოძე
პაატა სირბილაძე
ლელა სამნიაშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
თამარ ონოფრიენკო

**მთავარი რედაქტორი:**
ხათუნა კვესელავა

**რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა

**სტილისტი:** ირმა ტაველიძე

**დიზაინი:** გესიკ დანელია

**ფოტო:** გელა გედიანაშვილი, ნაილი ვეძილი

**მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი

**ჟურნალისტები:**
მანანა ხიდაშელი, თამარ კაციტაძე, ირმა კახურაშვილი, გელა ჩეკურიშვილი, ეკა ქევანიშვილი, თეა თოფურია, შორენა ბურდილაძე, ნინო კოშაძე

**ფოტო გარეკანზე:** მალხაზ მაჭავარიანის



ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.



**საკონტაქტო ინფორმაცია:**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374



გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი
მასწავლებელი

**დარეკეთ:**
**შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79**
**სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58**

# შინაარსი

## სტატიები




სკოლა და თანამედროვეობა

ზაქრო გიუნაშვილი

7 **თანამედროვე ტექნოლოგიები სკოლაში**

რა მიზნით და როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლების პროცესში

პრაქტიკა

გიორგი გახელაძე

10 **სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება სკოლაში**

ხუთი ნაბიჯი ექსპერტთან ერთად: როგორ შევუწყოთ ხელი მოზარდებში სოციალური უნარების განვითარებას

მოსაზრება

სიკო ჯანაშია

14 **სკოლა თუ რეპეტიტორი**

რატომ არ დადიან უფროსკლასელები სკოლაში – მოსწავლეთა დასწრების პრობლემის ანალიზისთვის

ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

39 **ნაირა გელაშვილი: თუ სკოლა არ შეიცვალა**

სკოლისა და ოჯახების ფიასკო – მწერლის სათქმელი მასწავლებლებისთვის

ნოვატორები

მანანა ხიდაშელი

36 **ერთი გაკვეთილი ორ ენაზე**

მარნეულის მე-2 საჯარო სკოლაში ბილინგვური სწავლების დანერგვა დაიწყეს

პრობლემა

თამარ კაციტაძე, ეკა ქევანიშვილი

33 **დანაშაული და სასჯელი სკოლაში**

უნდა დაისაჯოს თუ არა მოსწავლე სკოლაში? რა შემთხვევაში და რა ფორმით – ფსიქოლოგების გამოცდილება

50 **პასუხები თქვენს შეკითხვებზე**

უცხოური ენის მასწავლებლების შეკითხვებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები პასუხობენ




# რუბრიკები



## კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის


1. გაკვეთილის თემა: ქიმიური ელემენტები – ეპოქა და ლავუაზიე
2. პრაქტიკული სავარჯიშოები სოციალური უნარ-ჩვევების გასავითარებლად
3. სასერტიფიკაციო გამოცდა უცხოური ენის მასწავლებლებისთვის საგამოცდო დავალებების ნიმუშები

25-32

მრგვალი მაგიდა

17 **უფროსკლასელების არჩევანი – რეპეტიტორი თუ საჯარო სკოლა**

სკოლაში დასწრების პრობლემის მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე დისკუსიის მონაწილეები მსჯელობენ

ექსპერტი

21 **ჯუდიტ ელიოტი: მთავარი პრობლემა – იზოლაცია**

ინგლისური ენის მასწავლებლები სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ემზადებიან – ექსპერტის შეფასება

კონკურსი

23 **გამარჯვებულები**

ჟურნალი „მასწავლებელი“ წერილების კონკურსში გამარჯვებულ პედაგოგებს აჯილდოებს

პრობლემა

ირმა კახურაშვილი

45 **ექიმის მოსვლამდე**

უბედური შემთხვევა სკოლაში – მასწავლებელს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა უნდა შეეძლოს

რეპორტაჟი

თეა თოფურია

42 **ცხრა მთას იქით და აქვე – როგორ დავგეგმოთ ექსკურსია**

„მასწავლებელი“ ექსკურსიაზე მეათეკლასელებთან ერთად მიდის – ექსპერტები ექსკურსიის უკეთ დაგეგმვას გვირჩევენ

გაკვეთილი

ბელა ჩეკურიშვილი

46 **ისწავლე სიამოვნებით**

ბუმბულიანი ნიღაბი, აბაჟური და საათი-წრუწუნა – გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილები სკოლაში

რეგიონი

ნინო კოშაძე

48 **თელავი-ბიბერახი-თელავი**

თელაველი მოსწავლეები „შპრახდიპლომის“ გამოცდისთვის ემზადებიან

განათლების ისტორია

თეა თოფურია

53 **დღეს, ანუ ოთხი ათასი წლის წინ...**

უნიკალურ შუმერულზე ფირფიტებზე ასახული ისტორიული სინამდვილის თანამედროვე შტრიხები

რესურსები

ბელა ჩეკურიშვილი

55 **დაითვალეთ ვარსკვლავები გაკვეთილზე**

მასწავლებლებს გაკვეთილის ჩატარება ნამდვილ პლანეტარიუმში შეუძლიათ




## მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა

სასერტიფიკაციო გამოცდებამდე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი პედაგოგების პროფესიული განვითარების პროგრამების ვაუჩერულ დაფინანსებას იწყებს. პირველ ეტაპზე ტრენინგ-პროგრამები იმ საგნებში დაფინანსდება, რომლებშიც სერტიფიცირების პროცესი 2010 წელს იწყება. ეს პროგრამებია საბაზო-საშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკისა და უცხოური ენის მასწავლებლებისთვის.

ვაუჩერი პედაგოგს შესაძლებლობას მისცემს, შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა და ეტაპობრივად, უფასოდ გაიაროს მოსამზადებელი კურსი, სულ 4 კრედიტის ოდენობით. მოცემული 4 კრედიტიდან 2 განსაზღვრულია საგნობრივი და 2 – პროფესიული უნარ-ჩვევების პროგრამების დასაფინანსებლად. მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, ორივე ტიპის პროგრამა გაიაროს (ჯამში 4 კრედიტის ოდენობით).

ერთი ვაუჩერი მოიცავს 2 კრედიტს, ანუ მასწავლებლის სახელზე გაცემული ვაუჩერი ითვალისწინებს მის მიერ შერჩეული ერთი სრული პროგრამის გავლას.

პროგრამის განხორციელება 2009 წლის აგვისტოდან დაიწყება. **მპგც** ყველა საჯარო სკოლას მიანვდის აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამების ანოტაციების პაკეტს და ინსტრუქციებს, რომლებიც პედაგოგებს დაეხმარება შესაბამისი პროგრამების შერჩევასა და ვაუჩერის მიღებაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების დაფინანსების ვაუჩერი გაიცემა ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში.

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის კოორდინატორს, ეკა ჟვანიას ტელ: 95 99 81 ელ-ფოსტა: ezhvania@tpdc.ge*



**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია პედაგოგებისთვის ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა: ისინი აკრედიტირებული პროფესიული განვითარების პროგრამებს გაივლიან, რაც მათ საშუალებას მისცემს, აიმაღლონ პროფესიული ცოდნის დონე და უკეთ მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის“.**

**ეკა ჟვანია**
***მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის კოორდინატორი***

## „პესტალოცი“ – ევროპულ სემინარებში მონაწილეობის შესაძლებლობა

პროგრამა „პესტალოცი“ განათლების სფეროს პროფესიონალების ტრენინგების პროგრამაა, რომელსაც ევროსაბჭო ევროპის კულტურის კონვენციის ფარგლებში 1961 წლიდან ახორციელებს. მასწავლებლები და განათლების სფეროს წარმომადგენლები ამ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სემინარებში მონაწილეობენ. მათ საგანმანათლებლო ინიციატივებში ევროსაბჭოს გამოცდილების გაცნობის, ასევე კოლეგებთან ინფორმაციის, მასალებისა და ინოვაციური პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობა ექნებათ.

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ორგანიზებული სემინარები მსოფლიოს მასშტაბით აქტუალური თემატიკის განხილვას ეთმობა: განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში და ადამიანის უფლებები; ინტერკულტურული დიალოგი და კონფლიქტების გადაწყვეტა; გენდერული თანასწორობა დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში; საპასუხო ნაბიჯები ყოველდღიური ძალადობის წინააღმდეგ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნაში ჩატარებულ სემინარებში 2000-მდე მასწავლებელი მონაწილეობს. სემინარში მონაწილეობისა და მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება პროგრამის ფარგლებში.

2009 წლის ბოლომდე დაგეგმილი სემინარებია:

**სლოვაკეთი** – From crimes against humanity in European history towards European idea;
**რუმინეთი** – Créer un climat scolaire pour une citoyenneté démocratique active;
**ფინეთი** – Right to Quality Education in Vocational Education and Training;
**რუმინეთი** – Inclusive classrooms: a whole school and classroom approach;
**კვიპროსი** – Promoting gender equality in schools: the role of school headteachers.

*დაგეგმილი სემინარებისა და განაცხადის ფორმების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ესტუმრეთ „პესტალოცის“ ვებ-გვერდს: http://www.coe.int/Training ან დაუკავშირდით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს: ტელ: 95 99 81; ელ-ფოსტა: ezhvania@tpdc.ge, საკონტაქტო პირი: ეკა ჟვანია*

# წიგნის მეგობრები



**დღეს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები წიგნთან დავაახლოვოთ და დავამეგობროთ. ამ პროექტის საშუალებით საფუძველი ეყრება ახალგაზრდებში კითხვისადმი სიყვარულის გაღვივებას. წიგნების კითხვა ბავშვებს უვითარებს წარმოსახვისა და აზროვნების უნარს, რასაც ნაკლებად სთავაზობს მათ მულტიმედიური საინფორმაციო საშუალებები. XXI საუკუნის ადამიანს ყოველდღიურ საქმიანობაში უამრავი ინფორმაციის მიღება და ანალიზი უხდება. მისი წარმატებისთვის კი აუცილებელია ამ ინფორმაციის სწრაფად აღქმისა და გაანალიზების უნარი“.**

**სოფო კვერნაძე**

***მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, პროექტ „წიგნის მეგობრების“ კოორდინატორი***

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, მოზარდებში წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, პროექტ „წიგნის მეგობრების“ განხორციელება დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, მოხალისე სტუდენტები და უფროსკლასელები დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ერთი საათის განმავლობაში **მპგც**-ის მიერ შერჩეულ ქართულ და უცხოურ საბავშვო ლიტერატურას უკითხავენ, შემდეგ კი ბავშვებთან ერთად მსჯელობენ წაკითხულ ნაწარმოებზე. მოხალისეები საინტერესო და სახალისო გარემოს უქმნიან პატარებს, რათა ყველა მონაწილე მაქსიმალურად ჩაერთოს განხილვის პროცესში. ბავშვები ეჩვევიან დისკუსიას, ხატავენ საყვარელი ნაწარმოების გმირებს, ასურათებენ ეპიზოდებს, რაც წარმოსახვის უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

მოხალისე სტუდენტებისა და უფროსკლასელების შერჩევა კონკურსის გზით მოხდა. საპილოტე პროექტში, პირველ ეტაპზე, თბილისის ოთხი საჯარო სკოლა მონაწილეობს: 165-ე, 56-ე, 54-ე და 49-ე. პროექტის დასრულების შემდეგ **მპგც** მოხალისეებს სერტიფიკატებს გადასცემს, მომავალი სასწავლო წლიდან კი უფრო მასშტაბური პროექტის განხორციელებას გეგმავს სხვა სკოლებში, რომლებიც პროექტ „წიგნის მეგობრებში“ მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ.



# მეტყველების უნარის განვითარება უცხოური ენის სწავლებისას – მასწავლებლებისთვის სემინარები ტარდება

ინგლისური და გერმანული ენების მასწავლებლებისთვის კონფლიქტის ზონებიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩატარდა სემინარი თემაზე: „მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება უცხოური ენის გაკვეთილზე“.

საქართველოში, საჯარო სკოლებში უცხოური ენის სწავლებისას, როგორც წესი, მეტყველებას, სხვა ენობრივ უნარებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ტრადიციული მეთოდებით სწავლებისას მოსწავლეები ახერხებენ წერის, კითხვისა და, ნაწილობრივ, მოსმენის უნარებში უკეთესი შედეგის მიღწევას, თუმცა რთულდება სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარება, რაც კო-მუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ექსპერტები ამბობენ, რომ უცხო ენის შესწავლის პროცესში მეტყველების უნარის განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია მეთოდურ-აღმზრდელობითი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მასწავლებელმა სწავლის პროცესი უნდა წარმართოს.



ენის სწავლების ამ თანამედროვე მეთოდების გაცნობას ისახავდა მიზნად სემინარი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინგლისური ენის ჯგუფის ექსპერტი ჯუდიტ ელიოტი და გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლები შორენა კვანჭიანი და ზურაბ ბოლქვაძე უძღვებოდნენ.

**დარეჯან ფანიაშვილი,** *გორის მე-5 საჯარო სკოლის მასწავლებელი:* „სიამოვნებით მივიღებდი ამ ტიპის სემინარებში მონაწილეობას. სასარგებლო რჩევები მივიღეთ და გავეცანით სავარჯიშოების ფორმებს და მათი გამოყენების მეთოდიკას, რაც მოსწავლეებში უცხო ენაზე მეტყველების უნარის განვითარებაში დაგვეხმარება“.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა სოფო გორგოძემ სემინარის მონაწილეებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მსგავსი ღონისძიებები უცხოური ენის მასწავლებლებისთვის მომავალშიც ჩატარდება.



# განმარტებები სასერტიფიკაციო გამოცდისთვის

## მათთვის, ვინც უცხოურ ენაში გამოცდის ჩასაბარებლად ემზადება

**2010 წელს უცხოური ენების მასწავლებლებისთვის სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდება. როგორ მოვემზადოთ? რა სახის დავალებების შესრულება მოუწევთ მასწავლებლებს და რა მოთხოვნებს წაუყენებს მათ საგამოცდო კომისია – „მასწავლებელმა“ ამ საკითხების განმარტება გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელს, ივა მინდაძეს სთხოვა.**

**ივა მინდაძე,** *გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხოური ენების ჯგუფის ხელმძღვანელი:* „უცხოური ენის საგამოცდო ტესტი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი ენობრივ ცოდნას ამოწმებს, მეორე კი მეთოდურ საკითხებს მოიცავს. მასწავლებლის ენობრივი ცოდნის შესამოწმებელი დონე შეესაბამება უცხოური ენების სწავლა, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეს.

ენობრივი ცოდნა იმ ტიპიური დავალებებით შემოწმდება, რომლებიც ენობრივ ტესტებში ხშირად გვხვდება, მაგალითად კითხვის უნარის შესამოწმებლად. ტესტში შესულია წერითი დავალებაც, პედაგოგს მოუწევს მოცემულ თემაზე არგუმენტირებული ტექსტის დაწერა. გამოცდა ასევე მოიცავს სმენით დავალებასაც – მასწავლებლები მოისმენენ ტექსტს, შემდეგ კი მის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ. ენობრივ ნაწილში ასევე შევიტანეთ დავალება, რომელიც ტექსტში დაშვებული შეცდომების გასწორებას გულისხმობს. სიახლე ისაა, რომ სწორი ვერსიის გარდა პედაგოგმა შეცდომის ტიპიც უნდა მიუთითოს – მას უნდა შეეძლოს შეცდომის იდენტიფიკაცია, იმის განსაზღვრაც, თუ რაში მდგომარეობს მოსწავლის პრობლემა, რომელ საკითხებზე სჭირდება მას დამატებითი მუშაობა. შეცდომების ძირითადი ტიპები, თანდართული განმარტებებით, ტესტშივე იქნება მოცემული.

სიახლეა სმენითი დავალებაც. ტექსტის მოსმენა და დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მასწავლებლებს უჭირთ. ამის მიზეზი საქართველოში აუდიო-ტექსტებზე მუშაობის პრაქტიკის ნაკლებობაა. ადრე სასწავლო პროცესში, როგორც წესი, სახელმძღვანელოები დისკებითა და კასეტებით არ გამოიყენებოდა. ბევრ მასწავლებელს დღემდე არა აქვს ენის მატარებლებთან კონტაქტის საშუალება, ხოლო უცხო ენაზე რადიო და სატელევიზიო გადაცემები ბევრისთვის დღემდე მიუწვდომელია.

გამოცდა ასევე მოიცავს რამდენიმე სახის დავალებას მეთოდურ ნაწილში. მათ შორისაა: შეფასების სახეები და მიზნები, გაკვეთილის მართვა, მასწავლებლის დავალება და სწავლების მიზანი. დავალებები რთული არ არის, პედაგოგიური გამოცდილებაც ხელს შეუწყობს მასწავლებელს სწორი პასუხის მოძებნაში. ვცდილობთ, მეთოდურ ნაწილში შესული საკითხები მაქსიმალურად ცალსახა იყოს, თუმცა შეგხვდებათ ისეთი დავალებებიც, სადაც რამდენიმე სწორი პასუხია შესაძლებელი. მასწავლებლისგან არ ვითხოვთ სწავლების ამა თუ იმ მეთოდის საფუძვლიან ცოდნას. ვითვალისწინებთ, რომ უამრავი მეთოდი და ურთიერთგამომრიცხვი მიდგომა არსებობს, ცოდნის გასაღრმავებლად საჭირო ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები კი მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი არ არის“.

დავალებების რაოდენობასა და საგამოცდო დროის ხანგრძლივობაზე გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჯერ კიდევ მსჯელობენ. ოქტომბერში მასწავლებლები საინფორმაციო ბუკლეტსაც გაეცნობიან, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ტესტის ფორმატი და თითოეული დავალების დეტალური აღწერილობა. სანიმუშო ტესტს თან ერთვის სწორი პასუხები, შეფასების სქემები და განმარტებები. ჯერ არ დაზუსტებულა გამსვლელი ქულა, თუმცა ცენტრში ამბობენ, რომ სერტიფიკატის მისაღებად მასწავლებლებმა, სავარაუდოდ, შეკითხვების 60%-ს მაინც უნდა უპასუხონ სწორად. სასერტიფიკაციო გამოცდაზე პირველივე წელს გასულ პედაგოგებს უპირატესობა ექნებათ – 2010 წელს მეტყველების უნარი არ შემოწმდება. ივა მინდაძის ინფორმაციით კი, მომვალში სასერტიფიკაციო გამოცდას მეტყველების ნაწილიც დაემატება.

„დასამალი არაა, რომ ზოგ მასწავლებელს უჭირს უცხო ენაზე მეტყველება. უკანსკნელ დროს კი მნიშვნელოვნად შეიცვალა სწავლების მიზნები, აქცენტმა კომუნიკაციური უნარების სწავლებაზე გადაინაცვლა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში მასწავლებელს მეტყველების სწავლებაც მოეთხოვება“, – განმარტავს ივა მინდაძე.

*შეცდომების გასწორების და მეთოდური დავალებების ნიმუშები იხილეთ პრაქტიკულ დანართში „კლასი“, გვ. 27-29*

*გამოცდების ეროვნულ ცენტრში გამოცდასთან დაკავშირებით მასწავლებლებისგან წინადადებებს ელიან. გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება და მიიღეთ პასუხები თქვენს შეკითხვებზე.*
*დაგვიკავშირდით: გამოცდების ეროვნული ცენტრი ივ. ჯავახიშვილის ქ.№60 თბილისი 0102, საქართველო ელ. ფოსტა: pr@naec.ge, ტელ: 43 92 12*

# თანამედროვე ტექნოლოგიები სკოლაში



ზაქრო გიუნაშვილი

**თანამედროვე განათლების სფეროში სწავლა-სწავლება განიხილება როგორც პროცესი, რომლის დროსაც უბრალოდ ცოდნის გადაცემა კი არ ხდება, არამედ ცოდნა კონსტრუირდება თავად მოსწავლის მიერ სოციალური გარემოს ხელშეწყობით. როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად? – XXI საუკუნის სკოლა, ახალი იდეები და რესურსები მასწავლებლისთვის.**

სწავლა არის გააზრებული კომპეტენციების ჩამოყალიბება რეალისტურ კონტექსტში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეს გამოცდილება მოსწავლის ინტერესებს თანხვდებოდეს და ხელს უწყობდეს აქტიურ სწავლას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ფოკუსი გადატანილი უნდა იყოს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ცოდნის კონსტრუირებას დაეხმარება. ამგვარ გარემოში მოსწავლეს უნდა მიეცეს სტიმული, დამოუკიდებლად იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები კვლევისა და ექსპერიმენტის საშუალებით. იგი უნდა წახალისდეს, რათა დასვას შეკითხვები, შეისწავლოს და ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ობიექტი ან ერთი და იმავე ობიექტის სხვადასხვაგვარი წარმოდგენა, მუშაობის პროცესში ჩამოაყალიბოს და წარმოადგინოს არგუმენტები.

ცოდნის კონსტრუირებისთვის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ). გარდა იმისა, რომ ისტ-ი ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, იგი საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი დროშიც და სივრცეშიც გასცდეს საკლასო ოთახის ფარგლებს და გახდეს მაქსიმალურად ღია. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით მოსწავლეს და მასწავლებელს შეუძლიათ მოიპოვონ რეალური მონაცემები, რომლებიც საჭიროა ამ თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად და სასწავლო პროცესში ჩართონ ის პიროვნებები, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ მიმდინარე სასწავლო აქტივობასთან (მაგალითად, კოლეგები სხვა სკოლებიდან, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და ისინი, ვინც ანალოგიურ პრობლემებზე მუშაობენ).

ცოდნის კონსტრუირების დროს მნიშნელოვანია, რომ ახალი ცნების, ობიექტის თუ პროცედურის შემოტანა და ათვისება მოხდეს რეალისტურ კონტექსტში. ეს კი არც ისე მარტივია. რეალური ვითარების გადმოტანა საკლასო გარემოში ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამის მაგალითია თვალსაჩინოებების და ლაბორატორიული ცდების გამოყენება სასწავლო პროცესში. გარდა იმისა, რომ ეს ყოველივე მატერია-

**ისტ-ი ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, იგი საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი დროშიც და სივრცეშიც გასცდეს საკლასო ოთახის ფარგლებს და გახდეს მაქსიმალურად ღია.**

ლურ რესურსებს მოითხოვს, ასეთი საშუალებების დახმარებით შესაძლებელია მხოლოდ ძალიან შეზღუდული რაოდენობის და მცირე მასშტაბის მქონე მოვლენების რეალიზაცია. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება სიმულაციის ტიპის საგანმანათლებლო კომპიუტერული პროგრამები. სიმულაციის ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა რეალური მოვლენების იმიტაციას ახდენს. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შეისწავლოს მოვლენა მასზე რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე. უფრო მეტიც, დაკვირვების პროცესი შესაძლებელია იმდენჯერ განმეორდეს, რამდენჯერაც აუცილებელი იქნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, რომლებშიც რეალური ექსპერიმენტის ჩატარება და მისი მრავალჯერადი გამეორება რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც კი (მაგალითად, ეკონომიკაში, სოციალურ მეცნიერებებში, ბიოლოგიაში). თვით ფიზიკასა და ქიმიაშიც ამგვარი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თავიდან აგვაცილებს ძვირადღირებული მოწყობილობებისა და მასალის შეძენას. ვიზუალური დაკვირვების გამარტივების გარდა, სიმულაციურ პროგრამულ უზრუნველყოფას ის უპირეტესობაც აქვს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია რაოდენობრივი პარამეტრების აღნუსხვა და მათი გამოყენება მოვლენის უკეთ შესასწავლად. მეტი თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის უპირატესობები, რომლებიც სიმულაციის ტიპის კომპიუტერული პროგრამების სასწავლო პროცესში გამოყენებას აქვს:

- მოვლენის შესწავლა რეალურ ვითარებაში დაკვირვების გარეშე;
- გამეორებადობა: შესაძლებელია მოვლენის სიმულაცია/ გამეორება შეუზღუდავად;
- პარამეტრების ცვლილების საშუალება: შესაძლებელია პარამეტრების ისეთი ცვლილება, რაც რეალობაში ხშირად ძალიან რთული ან შეუძლებელია, მაგალითად: ტემპერატურის შემცირება ან გაზრდა ქიმიური ცდების სიმულაციის დროს; დროში მოგზაურობა ისტორიული მოვლენების სიმულაციის დროს; სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარის განვითარება ფიზიკური მოვლენების სიმულაციის დროს;
- მონაცემების აღნუსხვა: რეალური მოვლენის ან ლაბორატორიული ცდის ჩატარებისას მონაცემების აღნუსხვა მოითხოვს სპეციალურ საშუალებებს და საკმაოდ შრომატევადია. ეს კი ძალიან გაადვილებულია კომპიუტერული სიმულაციების გამოყენების დროს;
- უსაფრთხოება: ლაბორატორიული ცდები და რეალურ მოვლენებზე დაკვირვება ზოგჯერ გარკვეულ რისკს უკავშირდება, მაგალითად: ქიმიური ცდების ჩატარება სხვადასხვა მჟავის გამოყენებით, ფიზიკური ცდების ჩატარება ელექტრული წრედების გამოყენებით.

ჩამოთვლილი უპირატესობების მიუხედავად, შევნიშნავთ, რომ ამგვარ პროგრამულ უზრუნველყოფას მხოლოდ დამხმარე დანიშნულება აქვს და იგი მთლიანად ვერ შეცვლის რეალურ ექსპერიმენტსა თუ რეალურ მოვლენაზე დაკვირვებას. ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

ის, თუ როგორ იყენებს მოსწავლე სასწავლო პროცესში ისტ-ინსტრუმენტებს, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თვით ეს ინსტრუმენტები. ისინი ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ინტეგრირებულია მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნის კონსტრუირებასთან დაკავშირებულ აქტივობასთან. ამასთან, ცოდნის კონსტრუირების პროცესი არ უნდა



შეფერხდეს მოსწავლის (ისევე, როგორც მასწავლებლის) არასაკმარისი კომპეტენციის გამო. მას უნდა შეეძლოს არა მხოლოდ პედაგოგის მიერ მითითებული ისტ-საშუალების გამოყენება, არამედ ამოცანის შესაფერისი ინსტრუმენტის დამოუკიდებლად შერჩევაც. მოსწავლემ უნდა განსაზღვროს, საჭიროა ისტ-საშუალების გამოყენება თუ პრობლემის გადაჭრა უფრო ადვილია კომპიუტერის გარეშე (მაგალითად, უბრალოდ ფურცლით და ფანქრით).


ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციები შეიძლება დაიყოს სამ დონედ:

1. სამომხმარებლო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა იმ დონეზე, რომ მოსწავლეს შეეძლოს მითითებული ინსტრუმენტის გამოყენება მასალის დასამუშავებლად, მაგალითად: ტექსტის შეტანა და შენახვა, სურათის ჩასმა დოკუმენტში, რიცხვითი მონაცემების შეტანა და მარტივი გამოთვლების ჩატარება წინასწარ მითითებული სქემის მიხედვით;
2. მითითებული ინსტრუმენტის საშუალებით მარტივი მოდელის დამოუკიდებლად შექმნის უნარი, მაგალითად: გრაფიკით გამდიდრებული ტექსტური მასალის შექმნისას დიზაინის დამოუკიდებლად მოფიქრება და რეალიზაცია; მონაცემების ორგანიზების შესაფერისი ფორმის მოფიქრება და რეალიზაცია მითითებული ინსტრუმენტების გამოყენებით (მაგალითად: ცხრილის, დიაგრამის, გრაფიკის შედგენა);
3. პრობლემის გადაჭრისას შესაფერისი ისტ-საშუალების დამოუკიდებლად შერჩევა და გამოყენება, პროგრამული უზრუნველყოფის მოცემული ამოცანისადმი ადეკვატურობის განსაზღვრა, მაგალითად: იმის განსაზღვრა, თუ მონაცემების შენახვის და დამუშავების დროს რომელი უკეთესია – უბრალო ელექტრონული ცხრილი თუ მონაცემთა ბაზა; გრაფიკული მასალის დამუშავების დროს რომელი გრაფიკული რედაქტორის გამოყენება სჯობს, ან საერთოდ საჭიროა თუ არა მოცემულ შემთხვევაში გრაფიკული მასალის გამოყენება; პრეზენტაციის შექმნისას რა დოზითაა უკეთესი ვიზუალური ეფექტების გამოყენება, ისე, რომ ამან არ მოახდინოს ძირითადი საკითხიდან ყურადღების გადატანა.

ინსტრუმენტის გამოყენებამ მოსწავლეს დაფიქრებისა და გააზრებისაკენ უნდა უბიძგოს. აღნიშნულმა აქტივობამ მას სწავლის განწყობა უნდა შეუქმნას: რა შეუძლია აღმოაჩინოს? რა კავშირებს ხედავს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? როგორ შეიძლება ახალი აღმოჩენის ახსნა? ინსტრუმენტის გამოყენება უნდა უკავშირდებოდეს და ეფუძნებოდეს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს: ისტ-საშუალებების გამოყენების საწყის ეტაპზე მოსწავლემ მისი საშუალებით უნდა მოახდინოს იმის რეალიზაცია, რაც უკვე იცის. ინსტრუმენტის დახმარებით უნდა მოხდეს რეალურ ვითარებასთან კავშირის წარმოჩენა და გააზრება. ის ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობითი სახის აქტივობების ორგანიზებას და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ისტ-საშუალებების გამოყენებისას მოსწავლეს უნდა მიეცეს, რაც შეიძლება, ცოტა მითითება: სასურველია, იგი აღმოჩენის გზით დაეუფლოს ისტ-საშუალების ფუნქციონალური ელემენტების გამოყენებას. ეს ხელს უწყობს აქტიურ აზროვნებას, აღმოჩენის უნარის ჩამოყალიბებას და ამასთანავე, ისტ-კომპეტენციების განვითარებას.

სასწავლო პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელშიც შესაძლებელია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, არის შეფასება.

შეფასების პროცესის ავტომატიზაცია მოიცავს მოსწავლის შეფასებას სტანდარტული ტესტური დავალებების გამოყენებით. ამგვარი დავალებების შექმნა შესაძლებელია როგორც გავრცელებული საოფისე პროგრამების დახმარებით, ასევე სპეციალური ტესტური დავალებების შესაქმნელი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ისინი საშუალებას იძლევა, შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელშიც ტესტური დავალებები სტრუქტურიზებული სახით ინახება. ბევრი პროგრამული უზრუნველყოფა ასევე იძლევა შეფასების შედეგების ანალიზის საშუალებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი შეფასების დროს. ანალიზის შედეგების საფუძველზე მასწავლებელს შეუძლია მოახდინოს პედაგოგიური სტრატეგიის კორექცია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების მიხედვით.





გიორგი გახელაძე

# სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება სკოლაში

ხუთი ნაბიჯი გიორგი გახელაძესთან ერთად – როგორ შევუწყოთ ხელი მოზარდებში სოციალური უნარების განვითარებას

**გამარჯობა, ძვირფასო კოლეგა! თუ სურვილი და ცოტაოდენი დრო გაქვთ ამ წერილის წასაკითხად, ვეცდები, მოლოდინი გაგიმართლოთ. იმედი მაქვს, სასარგებლო ცოდნა-გამოცდილებას გაგიზიარებთ. სამწუხაროდ, თქვენს მოსაზრებებსა თუ დასკვნებს ახლავე ვერ შევიტყობ, ჟურნალის მეშვეობით საუბრის თავისებურების გამო. მაგრამ, თუ გამოხმაურებას გადაწყვეტთ, „მასწავლებლის“ რედაქციამდე მოსულ თქვენს ნებისმიერ შენიშვნას, წინადადებასა თუ აღწერილ გამოცდილებას დიდი სიხარულითა და ყურადღებით გავეცნობი.**

*ბავშვის საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების გასავითარებელი პედაგოგიური ხერხების განხილვამდე, გთავაზობთ შეთანხმებას მათ საფუძვლებზე.*

## ადამიანის ბუნება და საზოგადოება

ცოცხალ არსებათა სამყაროში მრავლადაა თანაარსებობის მაგალითები. ცხოველები, თევზები თუ მწერები სხვადასხვაგვარ ჯგუფებად, გუნდებად ცხოვრობენ. რა არის ამის მიზეზი? თანაარსებობა ზრდის მათი გადარჩენის შანსს. ჯგუფურად ბევრად უკეთესად ნადირობენ და უკეთ არიან დაცულნი მტაცებლებისგან. ეს სარგებლობა რომ არა, ისინი ალბათ ცალ-ცალკე იარსებებდნენ.


ადამიანებიც განსაკუთრებული საჭიროების გამო თანაარსებობენ. ამაში იგულისხმება, ერთი მხრივ, ისეთი ძირითადი მოთხოვნილებები, როგორიცაა საკვების, წყლის, თავშესაფარის მოპოვება და ფიზიკური საშიშროებისგან თავდაცვა, მეორე მხრივ – როგორც მოაზროვნე არსებებს შეეფერებათ — ისინი საერთო ღირებულებებს იზიარებენ და უსაფრთხო სოციალურ გარემოს მოითხოვენ.

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფალი – წინასწარ განვსაზღვროთ საკუთარი ქმედების შედეგი და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. ეს განგვასხვავებს ცხოველებისგან, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტს ემორჩილებიან.

ჩვენი ქცევა, ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევა, ადამიანებთან ურთიერთობის ხასიათი ძალიან ხშირად იმ საზოგადოებრივი ჯგუფით განისაზღვრება, რომელსაც მივეკუთვნებით.

ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს ადამიანის მოტივაციის თეორია და მის მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნილებათა პირამიდა ყოველი თქვენგანისთვის კარგად არის ცნობილი:

> თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში გამოიყოფა უნარ-ჩვევათა ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მშვიდობიან თანაარსებობას სხვა ადამიანებთან – საზოგადოებრივი (ანუ სოციალური) უნარ-ჩვევები.




მოტივაცია ადამიანის მოქმედების, საქციელის გამომწვევ მიზეზთა ნაკრებია. თუ შევთანხმდებით, რომ ქცევის მრავალფეროვან მიზეზებს შორის უმთავრესი და წამყვანი ადამიანის მოთხოვნილებებია, მაშინ ადვილად ავხსნით მასლოუს პირამიდის არსს. უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს პირამიდის ფუძესთან ახლომდებარე მოთხოვნილებების მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებას, მაგრამ როგორც კი რომელიმე „სართული“ მეტ-ნაკლებად პასუხობს ადამიანის მოთხოვნებს, ეს უკანასკნელი უფრო მაღალი „სართულის“ ათვისებისკენ ისწრაფვის.

ნებისმიერი ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში უკავშირდება როგორც ხანგრძლივი, ისე მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ადამიანთა ერთობებს – საზოგადოებებს. ამ ერთობებს მსგავსებისა თუ განსხვავების მრავალფეროვანი ნიშნები და ერთმანეთთან სხვადასხვაგვარი კავშირი აქვს. მაგალითად: ვაჟები ერთი ოჯახიდან და ერთმანეთის მეგობარი გოგონები ამ ვაჟების სამეზობლოში; ან თანაკლასელთა დედები და ამავე თანაკლასელების და-ძმები; ან ერთი სოფლის ყველა მკვიდრი და იქ სტუმრად ჩასული მოგზაური უცხოელი ახალგაზრდები და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სამყაროში ურთიერთობის მზარდ შესაძლებლობებს, ჩნდება ამ შესაძლებლობებისა და ხსენებული მოთხოვნილებების სწრაფად და ნაყოფიერად დაახლოების საკითხი. კერძოდ, როგორ უნდა მოხერხდეს ადრეული ასაკიდანვე ადამიანის იმგვარად განვითარება, რომ მას გაუადვილდეს საკუთარი მისწრაფებების განხორციელება მისთვის ძვირფას თუ საინტერესო საზოგადოებაში (ოჯახში, თანატოლებში, მეგობრებში, სკოლაში, მეზობლებში, დასახლებაში, სამსახურში, ქვეყანაში, კოლეგებში და ა.შ)?

ამ ძალიან აქტუალურ კითხვაზე პასუხის გასაცემად სკოლას მივმართოთ. სწორედ სკოლაა ადამიანის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მიზანმიმართულად და ერთობლივი ძალისხმევით მომზადების ადგილი.

*თუ წარმოდგენილ დებულებებს იზიარებთ და ჯერ არ დაღლილხართ, მოდი, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაგრძელოთ!*

## თანდაყოლილი თუ შეძენილი შესაძლებლობები

ადამიანის ბუნებას მისი მოთხოვნილებები, მისწრაფებები და შესაძლებლობები განსაზღვრავს. შესაძლებლობები მრავალნაირია – ზოგიერთი თავად ადამიანისგან მომდინარეობს, ზოგიერთი კი – ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი გარემოსგან.

უნარი არის ადამიანის ის თანდაყოლილი შინაგანი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი, რომელიც ადამიანს დაბადებიდან აქვს. ის მხოლოდ შესაძლებლობის, პოტენციის სახითაა მოცემული. უნარის შემდგომი განვითარება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიქმნება მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო (მაგ. შესაბამისი წვრთნა, ცხოვრების პირობები და მოთხოვნები, და სხვა).

ჩვევას უწოდებენ ვარჯიშის შედეგად შეძენილ, მეტ-ნაკლებად ავტომატიზებულ მოქმედებას. მისი შეძენა გარკვეული ვარჯიშის, ე.ი. მიზანდასახული გამეორების შედეგად შეიძლება... ჩვევას ადამიანი იძენს.

## ვსწავლობთ თუ გვეძლევა?

თუ ადამიანი სათანადო მოქმედებას ასრულებს – თანდაყოლილი უნარიდან მას გარკვეული უნარ-ჩვევა განუვითარდება, ხოლო თუ შესაბამისი პირობები არ ექნება, არ ის-

წავლის, არ იმუშავებს საჭირო მიმართულებით, მაშინ მას ეს უნარ-ჩვევა აღარ განუვითარდება.

დიმიტრი უზნაძე უნარ-ჩვევას უწოდებს ნიჭს. განასხვავებენ შემდეგ უნარ-ჩვევებს: აკადემიური (კითხვა, წერა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება და სხვა), პიროვნული ურთიერთობის (მოსმენა, საუბარი, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ქცევის მისადაგება და სხვა), და მოტორული (სიარული, ძერწვა, ხატვა, ჭიდაობა, მიზანში სროლა და სხვა).

თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში გამოიყოფა უნარ-ჩვევათა ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მშვიდობიან თანაარსებობას სხვა ადამიანებთან – საზოგადოებრივი (ანუ სოციალური) უნარ-ჩვევები.

## საზოგადოებრივი უნარ-ჩვევები

საზოგადოებრივ უნარ-ჩვევებში გაინიხილავენ: პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, სხვის პატივისცემას, თანამშრომლობას, კონფლიქტის გადაჭრას, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღებას, ჯგუფში როლების მრავალფეროვნების მიღებას.

### 1. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება

- ამოცანის შესაბამისად შესრულება;
- პასუხისმგებლობის სხვასთან გაზიარების სურვილი.

### 2. სხვისი პატივისცემა

- სხვისი მოსმენა;
- თანაგრძნობა (ემპათია);
- გადაწყვეტილების მიღება სამართლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე (ჯგუფურ მუშაობაში);
- საკუთარ და სხვის რწმენებს, შეხედულებებს და იდეებს შორის განსხვავების აღიარება;
- აზრის გამოხატვა სხვისი შეურაცხყოფის გარეშე.

### 3. თანამშრომლობა

- თანამშრომლობა ჯგუფში;
- თავაზიანობა;
- მასალის გაზიარება.

### 4. კონფლიქტის მოგვარება

- სხვების ყურადღებით მოსმენა;
- კომპრომისის დაშვება;
- ვითარების შესატყვისი რეაქცია;
- პასუხისმგებლობის აღება;
- სამართლიანობა.

### 5. გადაწყვეტილების მიღება ჯგუფში

- სხვების მოსმენა;
- კამათი იდეების გარშემო;
- კითხვების დასმა;
- ძალისხმევა თანხმობის მისაღწევად.

### 6. ჯგუფში როლების მრავალფეროვნების მიღება

- მოცემული ვითარების შესატყვისი ქცევის გაცნობიერება და შესაბამისი მოქმედება;
- როლების მონაცვლეობა (მაგალითად, ერთ გარემოებაში ლიდერობა, მეორეში – შემსრულებლობა და ა.შ.).

საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვითმართვის სწავლას. ეს არის ადამიანის უნარ-ჩვევა, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. თვითმართვის უნარ-ჩვევებში შედის: მსხვილი და ნატიფი მოტორული ჩვევები (მოძრაობასთან, ძალის გამოყენებასთან, სიზუსტესთან დაკავშირებული ჩვევები), სივრცეში ორიენტაცია, მოქმედებების დაგეგმვა და შესრულება, დროის მართვა (დროის ეფექტიანი და შესაბამისი/ადეკვატური გამოყენება), უსაფრთხოების დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, ქცევის ნორმების გათვალისწინება (ადამიანთა ჯგუფების შესატყვისი წესების ცოდნა და გამოყენება) და გააზრებული არჩევანის გაკეთება (მიზნის და შედეგის გათვალისწინება).

*თუ წარმოდგენილ დებულებებს ეთანხმებით და ჯერ არ დაღლილხართ, მოდი, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ!*

## როგორ ვასწავლოთ?

გავიხსენოთ, რომ ადამიანის ყველა მოქმედებას, საქციელს მოტივაცია უდევს საფუძვლად. დიმიტრი უზნაძის მტკიცებით, სასკოლო ასაკის ადამიანების ქცევის ძირითადი სახე სწავლაა. საზოგადოებრივი უნარ-ჩვევები კი, როგორც აღინიშნა, სწორედ სწავლით ვითარდება. შესაბამისად, მასწავლებელს უწევს ზრუნვა სწავლის მოტივაციის ამაღლებაზე, რათა მოსწავლეს უკეთ განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა.

მოსწავლისთვის სასკოლო აქტივობები შეიძლება იყოს შინგანად ან გარეგანად წამახალისებელი – სხვა სიტყვებით, განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. აქტივობები, რომელიც გამოწვეულია შინაგანი მოტივაციით, მოსწავლისათვის თავისთავად ძალიან საინტერესოა. გარეგანი მოტივაციის დროს კი მისთვის სასწავლო აქტივობა თავისთავად სასიამოვნო არ არის, მაგრამ მაინც ახორციელებს მას ერთგვარი ჯილდოს მისაღებად (კარგი ნიშანი, შექება, და ა.შ).

ამრიგად, მოსწავლის სწავლით დაინტერესებას განაპირობებს მისი როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოტივაცია. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, იმისათვის რომ მოზარდი იყოს წარმატებული.

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა. რაც უფრო მეტად მოტივირებული არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი.

საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების მიზანმიმართული განვითარებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა სოციალური მეთოდი – თანამშრომლობითი სწავლება. სოციალური მეთოდის გამოყენების დროს ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება. იგი მიზნად ისახავს მათ ჩართვას თანამშრომლობაში, ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად.

**სოციალური მეთოდი შეიძლება იყოს ორი სახის:**

- ჯგუფისთვის მიცემული ამოცანა ჯგუფის შიგნით ქვეამოცანებად იშლება. ჯგუფის წევრს აქვს თავისი ფუნქცია და ამოცანა. საერთო შედეგი დამოკიდებულია თითოეული მონაწილის შედეგზე.
- მოსწავლეები მუშაობენ და ფიქრობენ ერთი და იმავე ამოცანაზე ერთდროულად, მათ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. ასეთი ფორმა უფრო ეფექტურია ახალ ამოცანებზე მუშაობის დროს.

ცხადია, რომ ამ მეთოდის გამოყენებას შედეგი აქვს შესაბამისი სასწავლო მიზნების არსებობისას.

**თუ საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების განვითარების წარმოდგენილ საფუძვლებში დამეთანხმეთ, მაშინ გაგიადვილდებათ ამ რჩევების გაზიარება და წარმატებულად გამოყენება:**

- ყოველთვის ყველასთან ურთიერთობა დაიწყეთ თავაზიანი, გულთბილი მისალმებით.
- ყოველთვის ყველას მიმართ გამოიჩინეთ გულისხმიერება. უფროსი ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს საუკეთესო მშენებელია. მზრუნველობის საუკეთესო გამოხატულება დაუზარელი გულისხმიერებაა. გულისხმიერება ნდობისა და გულწრფელობის საწინდარია. ამის გარეშე თანამშრომლობა ვერ შედგება.
- საკუთარი ყოველდღიური მოქმედებით დაამკვიდრეთ წესების წინასწარი შეთანხმების კულტურა.
- ყოველთვის ყველასთან დაიცავით ურთიერთპატივისცემის წესები.
- ხელი შეუწყეთ მოზარდებს, ილაპარაკონ საკუთარ განცდებსა და ემოციებზე. დაეხმარეთ, ისწავლონ გრძნობებზე ლაპარაკი, ისწავლონ პრობლემის გადაჭრა სიტყვიერად.
- მოზარდებისადმი პატივისცემით იზრუნეთ მათი თვითშეფასების გაზრდაზე.
- იყავით კეთილგანწყობილი, გულწრფელი და შემწყნარებელი. ნუ იქნებით მეტისმეტად სერიოზული, გაეხუმრეთ ხოლმე ბავშვებს, რათა მათ თქვენგან სითბო იგრძნონ.
- სავარჯიშოს პირობის ახსნისას ნუ აჩქარდებით, დაწვრილებით განუმარტეთ მოსწავლეებს, რა ევალებათ.
- სანამ რომელიმე სავარჯიშოს შესრულებას დაიწყებდეთ, დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს კარგად ესმის, თუ რა მოეთხოვება.
- საშუალება მიეცით მოსწავლეებს, წარმოადგინონ მათ მიერ შესრულებული სამუშაო და უპასუხონ კითხვებს.
- კარგად დააკვირდით ჯგუფის მუშაობას, დარწმუნდით, რომ ყველას კარგად ესმის შესასრულებელი დავალება. თუ საჭიროა, კიდევ ერთხელ აუხსენით, რა მოეთხოვებათ.
- ნუ მიაწვდით მოსწავლეებს ისეთ აზრებს, რომლებიც უკვე იციან ან შეუძლიათ თავად მიხვდნენ. საშუალება მიეცით, საკუთარი დასკვნები გამოიტანონ.
- მოსთხოვეთ მათ, იმუშაონ, რადგან იმის შეგნება, რომ დაკისრებული სამუშაოს შესრულება შეძლეს, სიამაყესა და საკუთარი თავის პატივისცემას გააღვივებს მათში.
- დაიმახსოვრეთ, რომ რაც უფრო მკაფიო მითითებებს მისცემთ ბავშვებს, მით უკეთ შეასრულებენ დავალებებს.
- ჯგუფური მუშაობის დროს ხმაური, ჩვეულებრივ, ენთუზიაზმის ნიშანია. ენთუზიაზმი კი დავალების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს.
- ზოგიერთი ხმაურიანი აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფის დაწყნარება სცადეთ და მხოლოდ შემდეგ გააგრძელეთ გაკვეთილი; შეგიძლიათ ეს არავერბალურად ანიშნოთ ბავშვებს, ან ხმადაბლა განუმარტოთ.
- სცადეთ, საგაკვეთილო პროცესში ჩართოთ არა მხოლოდ აქტიური ბავშვები, რომლებიც ყოველ შეკითხვას უპასუხებენ, არამედ – პასიურებიც.

*პრაქტიკული სავარჯიშოები გაკვეთილებზე გამოყენებისთვის იხილეთ პრაქტიკულ დანართში „კლასი“, გვ. 30-32*



სიკო ჯანაშია

# სკოლა თუ რეპეტიტორი?

## ანუ რატომ არ დადიან უფროსკლასელი მოსწავლეები სკოლაში

**ჩვეულებრივი, საშუალოსტატისტიკური სკოლა გაცილებით უკეთესი განათლების მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი, საშუალოსტატისტიკური რეპეტიტორი.**

საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლაში არ დადის, რადგან უმაღლესში მისაღები გამოცდებისთვის ემზადება. ისინი რეპეტიტორებთან მეცადინეობენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ მოსწავლეებს და მათ მშობლებს არ აკმაყოფილებთ ის ცოდნა, რასაც სკოლა აძლევს და განათლების მიღების ალტერნატიულ გზებზე ფიქრობენ. ასევე გვსმენია, თითქოს სკოლა ბავშვს მაღალი ხარისხის განათლებას არ აძლევს და რეპეტიტორთან ამ ნაკლის შევსება ხდება. შევეცდები განვმარტო, რა არის ამ მოსაზრებაში სწორი და რა – ზედაპირული ანალიზის შედეგი.

არსებობს რეპეტიტორების ორი ჯგუფი: ისინი, ვინც დაბალი კლასებიდანვე მუშაობენ ბავშვებთან და ისინი, რომლებიც მხოლოდ ბოლო საფეხურზე ერთვებიან აქტიურად აბიტურიენტების მომზადებაში. ეს სტატია მხოლოდ მეორე ჯგუფს ეხება.

პირველი, რაზეც შეიძლება დავფიქრდეთ, წარმოდგენილი შეხედულებებიდან გამომდინარე, არის ის, თუ რამდენად დადის, ან არ დადის მაღალი კლასების მოსწავლეების უმეტესობა სკოლაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში მე-11 და მე-12 კლასებში, თითოეულში 60 000-მდე მოსწავლე სწავლობს. თუ დავუშვებთ, რომ მათი უმრავლესობა გაკვეთილებს აცდენს, რადგან მისაღები გამოცდებისთვის ემზადება, ეს ნიშნავს: ამ 60 000 მოსწავლის დიდი ნაწილი აბიტურიენტია.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ:

1. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების უმრავლესობა აბიტურიენტი არ არის. სკოლის დამთავრებისთანავე უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას, ბოლო წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებით (და ეს წლები, ალბათ, ყველაზე რეპრეზენტატულია), მოსწავლეების დაახლოებით ნახევარი ცდილობს.
2. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა მხოლოდ 20-25%

ხვდება უმაღლესში პირველივე წელს. ანუ ყოველი 60 მოსწავლიდან 30-მდე აბიტურიენტია და მათგან მხოლოდ 15 აგრძელებს სწავლას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: თუ მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამამთავრებელ კლასში სკოლაში არ დადის, ეს იმის გამო არ ხდება, რომ უმრავლესობა აბიტურიენტია. შესაძლოა, სკოლას ისეთებიც აცდენდნენ, რომლებიც უმაღლესისთვის არ ემზადებიან. ეს მოსწავლეები, შესაძლოა ინტერნეტ-კაფეებში დადიან, როგორც ამასწინათ დუშეთის სკოლის მოსწავლეებმა მითხრეს, ან ოჯახებს ეხმარებიან, უბრალოდ, არ დადიან სკოლაში, რადგან მათთვის ეს უინტერესოა, ან ფინანსური პრობლემების გამო აცდენენ სკოლას. ამ საკითხზე საქართველოში სერიოზული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და პასუხიც უცნობია.

ჩემი აზრით, ჩვეულებრივი, საშუალოსტატისტიკური სკოლა გაცილებით უკეთესი განათლების მიღების საშუალებას იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი, საშუალოსტატისტიკური რეპეტიტორი. ამის დასაბუთება იოლია, რასაც რამდენიმე მარტივი ფაქტორი განაპირობებს:

- რეპეტიტორის ფუნქცია, რაც სახელწოდებიდანაც ჩანს, არის არა ცოდნის მიცემა, არამედ ნასწავლის გამეორება, ანუ ამ შემთხვევაში, გამოცდებისთვის მომზადება. გამოცდა კი ჩვენს ქვეყანაში ქაღალდითა და კალმით ტარდება. ამ ინსტრუმენტებით პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი საბაზისო უნარების შემოწმება, როგორიცაა მაგალითად, მეტყველება, ლიდერობა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია და სხვ.

- რეპეტიტორების უმრავლესობა, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ იყენებს განათლების იმ მეთოდებს, რომლებიც სწავლების პროცესში უკეთეს შედეგს იძლევა – მაგალითად, სოციალურ დასწავლას, კეთებით სწავლებას და სხვ.

- რეპეტიტორებთან მომზადების მიზანი არ არის დამოკიდებულებების გამომუშავება და სოციალიზაცია;

- რეპეტიტორებს არ აქვთ პასუხისმგებლობა რაიმე ინსტიტუციის წინაშე და არც მათი საქმიანობის შეფასება ხდება. ერთი შეხედვით, ბაზარი არეგულირებს ხარისხს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყნის მაშტაბით მხოლოდ რამდენიმე ცნობილი რეპეტიტორია, აბსოლუტური უმრავლესობა კი ე.წ. „მრევლის“ კონტრაქტით სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რამდენად წარმატებულია იგი. მაგალითად, მშობლებმა არასდროს იციან, ზუსტად რამდენმა აბიტურიენტმა ჩააბარა უმაღლესში წინა წელს კონკრეტულ რეპეტიტორთან მომზადების შედეგად.

დღეს სკოლა, როგორც ინსტიტუცია, ზემოთჩამოთვლილ პრობლემებს უკეთ აგვარებს, ვიდრე რეპეტიტორი. ჩნდება კითხვა: რატომ გარბის მოსწავლეების ნაწილი რეპეტიტორებთან? ამაზე პასუხის გაცემა ერთი წინადადებითაა შესაძლებელი: ძალიან მაღალია რისკი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი, რომელსაც უმაღლესში უნდა მოხვედრა, ამ ადგილს ვერ მოიპოვებს, ან სასურველ ფაკულტეტზე ვერ მოხვდება, რასაც შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

1. უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების რაოდენობის სიმცირე. მათი საერთო რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩება მსურველების, ან პოტენციური მსურველების ჯამურ რაოდენობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არსებული ადგილების ნახევარზე ნაკლებია ისეთი, სადაც მაღალი კონკურსია (მაგალითად, სამზე მეტი აბიტურიენტი თითო ადგილზე), აღმოჩნდება, რომ ადგილების რაოდენობა, რომელზეც აბიტურიენტების უმრავლესობას სურს მოხვედრა, სინამდვილეში კიდევ უფრო შეზღუდულია;

2. გამოცდების სისტემის თავისებურება. ამ შემთხვევაში, რამდენიმე მთავარი ფაქტორია გასათვალისწინებელი:

   - გამოცდების პროგრამა, ერთი მხრივ, სასკოლო პროგრამას არ ემთხვევა და მეორე მხრივ, მეთორმეტე კლასის ბოლოს მოითხოვს მე-7, მე-8 და შემდეგი კლასების პროგრამის ცოდნას, რაც აიძულებს აბიტურიენტს, მეთორმეტე კლასში დაიწყოს წინა კლასებში ნასწავლის გადამეორება.

   - გამოცდებში წარმატების კრიტერიუმია არა რაღაცის ცოდნა, არამედ რაღაცის ცოდნა სხვაზე უკეთესად. აბიტურიენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რაც ნიშნავს: როგორი კარგი მასწავლებელიც არ უნდა მყავდეს, არ არსებობს გარანტია, რომ ჩემს კონკურენტს უკეთესი მასწავლებელი არ ჰყავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბიტურიენტი ვერ აკონტროლებს საკუთარ შედეგს, რადგან სხვის შედეგებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, შეუძლებელია იმის საკმარისი სიზუსტით განჭვრეტა, თუ რამდენად წარმატებული

იქნება იგი მისაღებ გამოცდებზე. ამასთანავე, მის წარმატებას უამრავი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს: მაგალითად, ფაკულტეტების არჩევის ტაქტიკა, ტესტის დროს კონცენტრირების უნარი, კულტურული ფაქტორები და სხვ.

- ჩასაბარებელი გამოცდების სიმრავლე – რაც უფრო მეტია გამოცდა, მით მეტია იმის ალბათობა, რომ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა მის ჩაბარებას ვერ შეძლებს. უმაღლესში სწავლის გაგრძელება ბევრისთვის ძალიან ძვირია, მომზადების სიძვირის გამო კი სკოლადამთავრებულების ნახევარი არც ცდილობს ჩაბარებას. ერთი შეხედვით, გამოცდების სიმრავლე იმის წინაპირობაა, რომ უმაღლესში უფრო განათლებული ადამიანები აგრძელებდენ სწავლას, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით. ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ საინტერესო კვლევა თემაზე, უწყობს თუ არა ხელს ტესტირება ცოდნის ამაღლებას – მისამართზე: http://epaa.asu.edu/epaa/v10n18/, High-Stakes Testing, Uncertainty, and Student Learning
- გამოცდების ინტენსივობა: ტარდება წელიწადში მხოლოდ ერთხელ, რაც შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას ამცირებს.

3. წარმატების წარმოსახვითი კრიტერიუმები: რეპეტიტორები, ვისაც შესაძლოა მშობელმა რჩევისთვის მიმართოს, დაინტერესებულნი არიან, რომ ამ უკანასკნელთა წარმოდგენებში გამოცდებზე მისაღწევი წარმატება მათთან მომზადებაზე იყოს დამოკიდებული. რეპეტიტორების უმრავლესობა სკოლის მასწავლებელია, რომელიც დაბალი ანაზღაურების გამო გაკვეთილების შემდეგ საკუთარ ან სხვა სკოლის მოსწავლეებს ამზადებს. შესაბამისად, მათ პირდაპირი ინტერესი აქვთ, რომ მშობელმა იფიქროს, თითქოს სხვაგვარად შეუძლებელია უმაღლესში ჩაბარება.

ზემოაღნიშნული რისკების მინიმალიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნება სასწავლო პროცესზე რეპეტიტორობის გავლენის შემცირება და სკოლის როლის გაძლიერება. თუმცა მხოლოდ მასწავლებლის ხელფასის მომატება, უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების გაზრდა და გამოცდების სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ ერთმანეთთან შეჯიბრთან ერთად მოსწავლეები დაწესებულ სტანდარტს შეეჯიბრონ, არ იქნება საკმარისი. სკოლის მიღწევები მისი დამთავრების შემდეგაც უნდა გავითვალისწინოთ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სკოლის ნიშნების, არამედ სხვადასხვა სოციალურ თუ აკადემიურ სფეროში მოსწავლის აქტიურობის გათვალისწინებასაც (კლუბების წევრობა, კონკურსებსა და თვითმმართველობაში მონაწილეობა და სხვ.) თუმცა ამის მისაღწევად საჭიროა, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ამუშავდეს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლების აკრედიტაციაა.

# უფროსკლასელების არჩევანი – რეპეტიტორი თუ საჯარო სკოლა

**სასკოლო განათლების ბოლო საფეხურზე მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლაში არ დადის. დასწრების პრობლემაზე დაუფარავად საუბრობენ სკოლების ადმინისტრაციები და მასწავლებლები. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, იმ მოსწავლეებს, რომლებიც გაკვეთილებს გააცდენენ, მკაცრი სანქციები დაეკისრებათ – მათ ექსტერნატის გამოცდების ჩაბარება ან კლასში დარჩენა მოუწევთ. რატომ არ სურთ უფროსკლასელებს გაკვეთილებზე დასწრება და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა? – ამ თემაზე „მასწავლებლის“ მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იმსჯელეს.**

შორენა ბურდილაძე

**პირველ რიგში, სკოლის წარმომადგენლებს მივმართავ. მართლაც ასე მწვავედ დგას დღეს გაკვეთილებზე დასწრების პრობლემა?**

**ლელა წიქარიშვილი:** დასწრების თვალსაზრისით, ვითარება უკეთესია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ არის. მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლითაც დღეს ვხელმძღვანელობთ, დასწრების გაცილებით მაღალ დონეს მოითხოვს. მრავალკომპონენტიანი შეფასება ვერ შედგება, თუ ადეკვატური დასწრება არ იქნება. პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების დონეზე საკითხიც კი დავსვით: ხომ არ მივანიჭოთ დასწრებას გარკვეული პროცენტი შეფასებისას და ის ერთგვარ მოტივაციად ვაქციოთ. ასეთი შემოთავაზება მშობლებისგანაც გვქონდა. როცა უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების სილაბუსებს, კურიკულუმებსა და საავტორო მასალებს ვეცნობი, ვხედავ, რომ თითოეულ მათგანში გაწერილია ცალკეული აქტივობის პროცენტული შემცველობა და დასწრებას, საშუალოდ, 10% ენიჭება. ვაღიაროთ, რომ წლის დასაწყისში XII კლასელების მშობლები მოდიან და დასწრების მხრივ შეღავათებს ითხოვენ. ანუ მშობელი თავად არის განწყობილი, რომ მისმა შვილმა სკოლა უნდა გააცდინოს. მიზეზი რეპეტიტორებთან სიარულია. წელს ამ ტენდენციას ხელი შეუწყო ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოებსა და მისაღები გამოცდების პროგრამებს შორის ცდომილებებმაც.

**ლია ჭანკვეტაძე:** ჩვენი სკოლა დასწრებას სრული სიმკაცრით ითხოვს. ამ მიზეზით სასაწავლო წლის დასაწყისში 58 მეთორმეტეკლასელი სკოლიდან წავიდა, დარჩენილი ნაწილი კი უმკაცრესად კონტროლდება. ბავშვები ახერხებენ გაკვეთილებზე სიარულსაც და რეპეტიტორთან მეცადინეობასაც. თუ ყველა სკოლა მკაცრად დასვამს დასწრების საკითხს, ვითარება შეიცვლება. სიმკაცრე ყველას თანაბრად უნდა მოვთხოვოთ, რათა ერთი სკოლიდან წასულმა ბავშვმა სხვა, უფრო „რბილი“ პოლიტიკის მქონე სკოლას არ შეაფაროს თავი. მაგალითად, როგორც ჩვენი 58 ყოფილი მოსწავლე მოიქცა – პრობლემას ხომ ამით არაფერი ეშველა.

**ნინო ასანიძე:** სიმკაცრეს რაც შეეხება, ამ მიდგომას სერიოზულად უშლის ხელს ვაუჩერული დაფინანსება. შეიძლება მასწავლებელი ძალიან ობიექტურად წყვეტდეს, რომელი მოსწავლე დარჩეს სკოლაში და რომელი არა, მაგრამ ამ დროს დირექტორის პრობლემა დგას. მას არ უნდა უკმაყოფილო მშობელი და მოსწავლის დაკარგვა, რომელიც მისთვის ვაუჩერული დაფინანსების წყაროა. ვერ დავეთანხმები დასწრების ფაქტორის ნიშანზე ასახვას. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი მოსწავლეებში უსამართლობის განცდას გააჩენს და

**დისკუსიაში მონაწილეობდნენ:**

ლელა წიქარიშვილი
*თბილისის 1-ლი საჯარო სკოლის დირექტორი*

ლია ჭანკვეტაძე
*თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

ნინო ასანიძე
თბილისის 95-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი

გვანცა ჩხეიძე
*მშობელი*

გიორგი მაჩაბელი
*განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი*

ეკა დარბაიძე
*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტი*

სოფო გორგოძე
*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი*

თამარ მოსიაშვილი
*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის სერტიფიცირების კოორდინატორი*

ნატო ინგოროყვა
რედაქტორი, ჟურნალი „მასწავლებელი“

დისკუსიას უძღვებოდა
ჟურნალ „მასწავლებლის“
მთავარი რედაქტორი
ხათუნა კვესელავა



ლელა წიქარიშვილი

შესაძლოა, გარკვეული აგრესიაც გამოიწვიოს. პრობლემის არსებობის და მისი გადაჭრის პერსპექტივაშიც მთავარ ფიგურად მასწავლებელი მიმაჩნია. თუ პედაგოგი პროფესიონალია, კომპეტენტურია და პიროვნული თვისებებიც ხელს უწყობს, რომ კლასში მიმზიდველი გარემო შექმნას, მოტივაცია აამაღლოს, ბავშვები აქტიურად ჩართოს პროცესში და საინტერესო გახადოს საგანი, მოსწავლეებს მისი გაკვეთილის გაცდენის სურვილი აღარ გაუჩნდებათ.

**განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტმა, რამდენიმე წლის წინ, რეპეტიტორობის თაობაზე კვლევა ჩაატარა. როგორი იყო თქვენი დასკვნები და შეცვლილია თუ არა ვითარება?**

**გიორგი მაჩაბელი:** ეს პრობლემა ბევრ ფაქტორს უკავშირდება და სკოლის ცხოვრების ყველა ეტაპზე ახდენს ზეგავლენას. მეტიც, მიმაჩნია, რომ დასწრების საკითხი სკოლის მართვის ყველაზე სერიოზული პრობლემაა. იქ, სადაც მართვა შედარებით ეფექტურად ხორციელდება, ეს საკითხი ნაკლებად აქტუალურია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ პრობლემა საერთოდ არ არსებობს. ზოგიერთ სკოლაში უფრო რთულად არის საქმე. სამწუხაროდ, მშობელს და მოსწავლეს დღემდე ვერ გაუცნობიერებიათ, რომ სკოლა მათია და მათაც უნდა შეიტანონ წვლილი მის გაუმჯობესებაში.

**მშობლების სურვილია, რომ სკოლა კარგ განათლებას იძლეოდეს. მოსწავლეების ნაწილს, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, კონკრეტული ინტერესი აქვს – სკოლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება. არის კი მოსწავლე დარწმუნებული, რომ სკოლაში მიღებული ცოდნით წარმატებით გაართმევს თავს ეროვნულ გამოცდებს?**

**გიორგი მაჩაბელი:** არ არის დარწმუნებული და ამიტომაც მიმართავს სხვა გზებს. მიდგომა გაუკუღმართებულია. იმის ნაცვლად, რომ სკოლა გავაუმჯობესოთ, იოლ გზებს ვეძებთ და ამ ძიებაში სწავლის პროცესს კიდევ უფრო ვაზარალებთ. მშობლებიც მარტივ გამოსავალს პოულობენ: ურჩევნიათ, თანხა გაიღონ და რეპეტიტორებთან ატარონ შვილი, ვიდრე სკოლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

**თამარ მოსიაშვილი**: გაცდენების ტენდენცია X კლასში იწყება, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება XI-ში და XII-ში მოსწავლეები საერთოდ აღარ დადიან სკოლაში. იდეალურ შემთხვევაში, სწავლების მესამე საფეხურზე მათ გარკვეული გარეგანი მოტივაცია აქვთ – უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება სურთ. ცოდნის მისაღებად გაკვეთილები ორგანიზებული უნდა იყოს: მასწავლებელი დროულად უნდა შედიოდეს გაკვეთილზე, ასწავლიდეს, შემდეგ ითხოვდეს და იბარებდეს მოსწავლისგან გაკვეთილს. თუ ეს პროცესი შედგა, ბავშვი ნაკლებად გააცდენს სკოლას, მაგრამ ჩვენს სკოლებში აღნიშნული პროცესი დარღვეულია. ერთ-ერთ მიზეზად ითქვა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა და მისაღები გამოცდების პროგრამული საკითხები ერთმანეთს არ შეესაბამება. საინტერესოა, რა დოზით არის აცდენა – ცდომილება აბიტურიენტისთვის იმ რისკის მატარებელია, რომ გამოცდაზე ჩაიჭრება თუ იმის, რომ შეიძლება 100 ქულა ვერ მიიღოს?

**ლელა წიქარიშვილი:** თუ საორიენტაციოდ უმაღლესის პროგრამას აიღებთ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოცემულობების შესრულებას ვერ შეძლებთ. რაც შეეხება ცდომილებას, ეს მშობლებისთვის ძალიან სერიოზული მიზეზია. ისინი, შესაძლოა, კარგად ვერ ერკვეოდნენ საკითხში, მაგრამ სახელმძღვანელოსა და საგამოცდო პროგრამის სარჩევებსა და ნუსხებს რომ ჩახედავენ, შემდეგ მათი დამშვიდება ძალიან რთულია.

**გვანცა ჩხეიძე**: შვილებს სკოლის გაცდენის მიზეზს ვეკითხები – გაკვეთილები მზად აქვთ, არც ავად არიან, მაგრამ მპასუხობენ, რომ გაკვეთილებზე ძილი ერევათ. ალბათ, უმჯობესია, მოსწავლის მოტივაციაზე ვიზრუნოთ. მთავარი როლი ამ დროს მასწავლებელს ენიჭება.

**ეკა დარბაიძე:** მშობელი უდიდეს როლს ასრულებს შვილის მოტივირებაში, მაგრამ როცა ბავშვი სკოლაშია, ამაზე მასწავლებელმა უნდა იზრუნოს. გამოსავალი ზედა რგოლიდან, დირექტორისგან უნდა წამოვიდეს. ის თავად უნდა იყოს მოტივირებული და ეს მოტივაცია მასწავლებელს უნდა გადასცეს. მყავს მეზობელი გოგონა, რომელიც X კლასშია და სკოლაში არ დადის, არც რეპეტიტორები ყავს, უბრალოდ სახლშია. როცა მიზეზს ვეკითხები, მპასუხობს, რომ არავინ დადის და დასწრებას არავინ სთხოვთ.

**თამარ მოსიაშვილი:** სარეპეტიტორო სკოლის გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მისაღები გამოცდები გახლავთ. ეს იყო ამ ინსტიტუტის საბჭოთა ეპოქაში გაჩენის მიზეზიც – სასწავლო სივრცეში ბავშვი



გიორგი მაჩაბელი



ნინო ასანიძე

უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად საჭირო განათლების მიღებას ვერ ახერხებდა. სამწუხაროდ, ეს მიზეზი არ არის ერთადერთი, სარეპეტიტორო სკოლა კი ერთ-ერთი სერიოზული ბარიერია დასწრების კუთხით.

**საბჭოთა პერიოდში ამის მიზეზი ნაწილობრივ მისაღების გამოცდების კორუფციული სისტემაც იყო. დღეს საკითხი ასე არ დგას. რატომ არის სარეპეტიტორო სკოლა ისევ ასეთი ძლიერი?**

**ლელა წიქარიშვილი:** მიზეზები არ იცვლება. მშობელს არ აკმაყოფილებს სკოლაში მიღებული ცოდნა, რაც შეიძლება მასწავლებლის ბრალი სულაც არ იყოს. ჩემს სკოლაში ასწავლის ძალიან კვალიფიციური მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ამავე დროს წარმატებული რეპეტიტორია. ის კლასში ხომ ვერ დაიკლებს კვალიფიკაციას და კერძო გაკვეთილების დროს ხომ ვერ აიმაღლებს? მშობელი ამბობს, რომ ურჩევნია, მეტი თანხა გადაიხადოს და ინდივიდუალური ან 3-4 წევრიან ჯგუფში ჩატარებული გაკვეთილი მოითხოვოს. ამ დროს მასწავლებელი შეიძლება იგივე იყოს, ვინც ბავშვს სკოლაში ჰყავს.

**სოფო გორგოძე:** არ არის დადასტურებული, რომ მცირეკონტინგენტიან კლასში მასწავლებელი უფრო ეფექტურად ახერხებს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას. შესაძლებელია, რომ სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, მან მრავალრიცხოვან კლასშიც კარგ შედეგს მიაღწიოს. მაგალითისთვის სინგაპურის სკოლებს დაგისახელებთ, სადაც ზოგიერთ კლასში დაახლოებით 60 ბავშვი ზის. აღიარებული ფაქტია, რომ სინგაპურელი ბავშვები ყველა საერთაშორისო შეფასებაში პირველ ადგილს იკავებენ, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში. მშობლებს არასწორად აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ მრავალმოსწავლიან კლასში პედაგოგს სრულფასოვნად მუშაობა არ შეუძლია.

**დარწმუნებული ხართ, რომ ყველა უფროსკლასელი, რომელიც სკოლას აცდენს, ამ დროს რეპეტიტორთან მეცადინეობს?**

**ნინო ასანიძე:** ჩემი სკოლა ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში მდებარეობს. აქ უფრო ხელმოკლე ოჯახების შვილები სწავლობენ. მშობლები ცდილობენ, ლიმონივით გამოგვწურონ და მაქსიმუმი მიიღონ პედაგოგებისგან. მათ შვილების რეპეტიტორებთან ტარების საშუალება არა აქვთ. კურსდამთავრებულთა ნაწილი სკოლაში მიღებული ცოდნითაც წარმატებით აბარებს ეროვნულ გამოცდებს. ბავშვები სიხარულით მოდიან, სკოლას არ აცდენენ, უბრალოდ ყველა გაკვეთილზე არ შედიან. დამაკმაყოფილებელია XII კლასელების დასწრებაც. თავის დროზე ჩვენმა სკოლამ ძალიან მკაცრად მოითხოვა სამედიცინო ცნობები. მშობელს ასეთი ცნობის აღება 15 ლარი უჯდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იცის, რომ მისმა შვილმა გაცდენილი საათები უნდა აანაზღაუროს. აღრიცხვა ხდება I და VI გაკვეთილზე. დამრიგებელი, ბავშვის არყოფნის შემთხვევაში, მშობელს მომენტალურად აყენებს საქმის კურსში.

**ლია ჭანკვეტაძე:** 4-5 წლის წინ ჩვენთან დიფერენცირებული სწავლება იყო. მოქმედებდა ჰუმანიტარული, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური კლასები. განათლების სამინისტრომ IX კლასის ბოლოს ყველა საგანში ძალიან სერიოზული გამოცდები ჩაატარა და ბავშვები, რომლებმაც მინიმუმი ვერ გადალახეს, სწავლების მესამე საფეხურზე ვერ გადავიდნენ. მნიშვნელოვანია სახელობო განათლების ხელშეწყობაც, რათა მას, ვისაც მესამე საფეხურზე სწავლა არ შეუძლია, სკოლიდან წასასვლელი ჰქონდეს.

**მინისტრის 7 მაისის ბრძანებულებით, საგაკვეთილო დროის გაცდენის გამო მკაცრი სანქციები შემოდის. დამრიგებელი პასუხისმგებელია ჟურნალის წარმოებაზე, ხოლო საგნისთვის განკუთვნილი საათების 1/5-ის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ექსტერნატის გამოცდებს აბარებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება ეს რეგულირება?**

**ლელა წიქარიშვილი:** ამ ბრძანებაში მოხსენიებული წესები ამა თუ იმ ფორმით უკვე მოქმედებს სკოლებში, თუმცა მხოლოდ იმ სკოლებში, რომლებიც თავისი კონტინგენტის მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობენ. ტრიმესტრში საგნისთვის განკუთვნილი საათების 1/3-ის გაცდენის შემთხვევაში, საგნის მასწავლებელი მოსწავლეს გამოკითხვას უწყობს სხვა პედაგოგის თანდასწრებით. ბრძანებულებაში ახალი არაფერია, რაც ჩვენი სასკოლო პრაქტიკიდან არ მომდინარეობს. მისასალმებელია, რომ ჟურნალი სავალდებულო დოკუმენტად ჩაითვლება და მკაცრი აღრიცხვა სავალდებულო გახდება.

**ხომ არ გამოიწვევს წესების გამკაცრება პრობლემებს მშობლებთან? მკაცრი მიდგომის შემთხვევაში, ვაუჩერული დაფინანსების საკითხიც დაისვა საუბრის დასაწყისში...**



სოფო გორგოძე



თამარ მოსიაშვილი

**ნინო ასანიძე:** ბავშვების უმრავლესობა საშუალო სკოლას ამთავრებს და მიზანი განსაზღვრული არა აქვს. მართალია, მესამე საფეხური სავალდებულო არ არის, მაგრამ უფროს კლასებში ის მოსწავლეებიც გადმოდიან, რომლებსაც უმაღლესში გაგრძელების პერსპექტივა არა აქვთ. ეს კონტინგენტი დადის სკოლაში და თვითონაც არ იცის, რატომ. მშობელიც შეგუებულია, რომ ბავშვი არაფერს ისწავლის, სამაგიეროდ, ურჩევნია, ქუჩაში არ იდგეს და სკოლამ მწყემსოს ის.

**ნატო ინგოროყვა:** თუ ყველა სკოლამ თანაბარი პირობები არ წამოაყენა, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთ სკოლას უფრო მსუბუქი წესები აქვს და მშობელიც მისკენ აიღებს გეზს. ფაქტია, რომ იმ 58-მა მოსწავლემ, რომელიც 51-ე სკოლიდან გაცდენის გამო წავიდა, სხვა სკოლებს შეაფარა თავი. მართალია, ყველა სკოლას ინდივიდუალური მიდგომა აქვს მშობლებსა და მოსწავლეებთან, მაგრამ ეს წესები საერთო პრობლემის მოსაგვარებლად უნდა დაარეგულიროს ვინმემ და რაიმემ.

**გიორგი მაჩაბელი:** საბოლოო ჯამში, ყველაფერი თითოეული სკოლის წარმატებაზე აისახება. ის, ვინც ამ ბავშვებს მიიღებს და დისციპლინაზე თვალს დახუჭავს, შეიძლება ფინანსურად მოგებული დარჩეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც წარუმატებელი სკოლის იმიჯს შეიძენს. აქაც მართვის საკითხია გადამწყვეტი. მშობლებთანაც სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი, რადგან გაუკუღმართებული დაკვეთა ყველაზე დიდი საშიშროებაა სკოლის განვითარებისთვის.

**ლელა წიქარიშვილი:** ვინაიდან საქმე ძირითადად საჯარო სკოლებს ეხება, სასურველია, მოთხოვნა და ვალდებულებები ყველა სკოლის ადმინისტრაციისადმი თანაბარი იყოს – რაც არ უნდა ლიბერალური ხედვა და პოლიტიკა გვქონდეს, გარკვეული ვალდებულებები ყველასთვის საერთოა. ამან შეიძლება ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვიოს ვაუჩერული დაფინანსების სისტემის მიმართ, რომელიც, საბოლოო ჯამში, ძალიან პოზიტიურია. არ ღირს ყველაფერში საფრთხის ძიება: რა საფრთხე დევს ამ დოკუმენტში, ან რა საფრთხე ემუქრება მასწავლებელს... ეს ერთგვარი ფობიებია, რომლებიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა.

**თამარ მოსიაშვილი:** ვთქვათ, სანქციებმა შედეგი გამოიღო და ბავშვებმა სკოლაში სიარული დაიწყეს. ეს სწავლების პროცესში ფუნდამენტურ ცვლილებებს გამოიწვევს? გადავინაცვლოთ რამდენიმე წლით უკან, როცა დასწრების პრობლემა სკოლებში არ არსებობდა. დამამთავრებელ კლასებში ბავშვები არ აცდენდნენ, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ 1 წლის განმავლობაში ყველა გადიოდა სარეპეტიტორო სკოლას. თუ სასწავლო პროცესში არაფერი შეიცვალა, რეალურადაც არაფერი შეიცვლება. ბავშვი, მართვის ლიბერალური პოლიტიკის დამსახურებით, XII კლასში ივლის რეპეტიტორთან თუ XII კლასის შემდეგ, ამით სკოლის თვითღირებულებას რაიმე შეემატება? ფუნდამენტურ ცვლილებებზე გავდივართ თუ მხოლოდ იმ რეჟიმში ვბრუნდებით, რომ ბავშვი მოწესრიგებული იყოს?

**სოფო გორგოძე:** გაუმჯობესდება დისციპლინა, რაც ხელს შეუწყობს სწავლებას და აქედან გამომდინარე, მის გაუმჯობესებასაც უნდა ველოდოთ, თუმცა განათლების ხარისხის ასამაღლებლად ეს საკმარისი ნამდვილად ვერ იქნება.

**ჩვენი დისკუსია რომ შევაჯამოთ: გამოიკვეთა წესების გამკაცრების, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, სკოლის მნიშვნელობის გაზრდის აუცილებლობის საკითხები. როგორია თქვენი საბოლოო რეკომენდაციები?**

**ლელა წიქარიშვილი:** არ შეიძლება ვალდებულებები მოვხსნათ იმიტომ, რომ მოსახლეობის რაღაც კატეგორია განაწყენდება. მიდგომები თანაბარი უნდა იყოს. თუ ბავშვი სკოლაში არ არის, ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ ის სახლშია. წინადადება მქონდა, კანონით დარეგულირებულიყო ინტერნეტ-კაფეების მუშაობის რეჟიმი. იქნებ მათ არ იმუშაონ დღის პირველ ნახევარში, პირველ ცვლაში მაინც.

**გიორგი მაჩაბელი:** ძალიან კარგი იქნებოდა, ამ მხრივ წარმატებული სკოლების მაგალითების გაცნობა: როგორ ახერხებენ ამ პრობლემის მოგვარებას. ეს საკითხი სკოლებს შორის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

**ნინო ასანიძე:** წესების გამკაცრება მნიშვნელოვანი ფაქტორია და მას ალბათ დადებითი შედეგიც მოჰყვება. თუმცა ამით მშობლების გულისწყრომას გამოვიწვევთ, რადგან სკოლები ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ მათი შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას. სჯობს, ყურადღება მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას დაეთმოს. როცა მასწავლებლის დონე აიწევს და ის სათანადო ხარისხის განათლებას მისცემს, მოსწავლე რეპეტიტორის გარეშეც შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას. ამით რეპეტიტორის ინსტიტუტსაც გამოეცლება საფუძველი.

# მთავარი პრობლემა – იზოლაცია

ჯუდიტ ელიოტი ინგლისური ენის მასწავლებლებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ამზადებს

ხათუნა კვესელავა



**საქართველოს ბევრ ქართველზე უკეთ იცნობს – რუკა მისი „საუკეთესო მეგობარია“, რეგიონებში მოგზაურობა კი – სამსახურეობრივი მოვალეობა. აღმოაჩინა, რომ შეიძლება „მარშრუტკას“ ყუთით წიგნები გაატანო რეგიონში. აქვს ქსეროქსი, ინტერნეტი და მობილური ტელეფონი, ე.ი. მუშაობა შეუძლია. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობს – ჯუდიტ ელიოტის მიზანი ინგლისური ენის მასწავლებლების 2010 წელს დაგეგმილი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მომზადებაა.**

**ბოლო ცხრა თვის მანძილზე საქართველოს 10-მდე რეგიონში იმოგზაურეთ – ინგლისური ენის მასწავლებლებს გამოცდისთვის ამზადებთ. რამდენად რთულია ეს მისია? როგორ მუშაობთ?**

მივხვდი, რომ ინგლისური ენის ყველა მასწავლებელს პირადად ვერ შევხვდები და სათანადოდ ვერ დავეხმარები. ამიტომ რეგიონებში მოგზაურობისას იმ ადამიანებს ვეძებ, რომლებიც მომავალში მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარებას შეძლებენ. იანვარში მე და სოფო გორგოძემ *(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი, რედ.)* მსოფლიო ბანკს წინადადებით მივმართეთ და ქართველი ტრენერების მომზადებაში მხარდაჭერა ვთხოვეთ. უკვე 15 ადამიანი შევარჩიეთ და ბათუმში ტრენინგი ჩავუტარეთ. ისინი ამჟამად დასავლეთ საქართველოსა და ახალციხეში მუშაობენ. მინდა, მსგავსი ჯგუფი თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოშიც შევქმნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უამრავ პედაგოგს უნდა „მივწვდეთ“. აუცილებელია მათი იდენტიფიცირება, ვისაც დახმარება სჭირდება, შემდეგ კი დარწმუნება, რომ მოვიდნენ და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღონ.

**ანუ დგას მასწავლებლების პასიურობისა და დაბალი მოტივაციის პრობლემა?**

ძალიან სერიოზულად... ათასობით ჰიპოთეზა მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. თავად განსაჯეთ: დეკემბერში ბათუმში სამი სემინარი ჩავატარე. ამ ქალაქში ინგლისური ენის 177 მასწავლებელია. თითო ტრენინგზე სულ 10-10 ადამიანი მოვიდა, მაშინ როცა 30-30-ს ველოდებოდი. ვიცი, რომ ტრენინგის შესახებ ინფორმაცია დროულად ჰქონდათ. მეუბნებიან, რომ მასწავლებლებს ოჯახები ჰყავთ მისახედი, ისიც მითხრეს, რომ ზოგიერთი მათგანი საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის და ამიტომ არ მოდის. ჩემი მიზანია მასწავლებლების დარწმუნება, მოვიდნენ ტრენინგებზე და ისარგებლონ კვალიფიკაციის ამაღლების ამ შესაძლებლობით.

**როგორ ფიქრობთ, რა არის საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებლების მთავარი პრობლემა?**

ვფიქრობ, რომ მთავარი პრობლემა იზოლაციაა. ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის პროფესიული კონტაქტების დამყარება რთულია, კავშირები და რესურსები კი – შეზღუდული. ხშირად ისინი თბილისიდან მოშორებულ სოფლებში ცხოვრობენ და სულ მცირე, ორი საათი და საშინელი გზის გავლა სჭირდებათ, რათა დედაქალაქში ჩამოვიდნენ, პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩაერთონ. პროფესიული გამოცემები მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. მთავარი მიზანი ამ იზოლაციის დაძ-

ლევაა. მინდა, ყველა რეგიონში ერთი „ლიდერი“ ტრენერი დავტოვო, რომელიც მასწავლებლების ტრენინგებს და სათანადო რესურსებით მომარაგებას განაგრძობს, მათ თვითორგანიზებასა და პროფესიულ ზრდაში დაეხმარება.

**საგამოცდო ტესტს კარგად იცნობთ. რომელია ყველაზე რთულად დასაძლევი დავალება ქართველი მასწავლებლებისთვის?**

ინგლისურენოვან ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვანია წერა. არგუმენტირებული ესეს წერას აშშ-ში ადრეული ასაკიდან, 11-12 წლიდან ვასწავლით. აქ მთავარი სტრუქტურაა. ქართველი მასწავლებლებისთვის ასეთი ესეს წერა არ უსწავლებიათ. სხვათაშორის, ამავე პრობლემას წავაწყდი რუსეთშიც. ეს არის ჩემი მთავარი გამოწვევა – ადამიანს სხვანაირად წერას ვერ ასწავლი ერთ დღეში, ერთი ტრენინგზე. საცდელმა ტესტებმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს წერისა და სმენითი აღქმის უნარების განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება.

**ინგლისური ენის შესწავლის მსურველების რაოდენობა საქართველოში საკმაოდ დიდია. მშობლების დიდი ნაწილი კი უპირატესობას კერძო გაკვეთილებს ანიჭებს. აქვთ თუ არა ინგლისური ენის მასწავლებლებს საკმარისი მხარდაჭერა სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან?**

სკოლებში არ ვყოფილვარ, თუმცა მასწავლებლებს შევხვდი და კითხვარების შევსებაც ვთხოვე. ბევრმა მიპასუხა, რომ სკოლაში არ აქვთ აუდიო-მაგნიტოფონები, რაც სერიოზული პრობლემაა.

**თუმცა არც ისე რთულად გადასაჭრელი პრობლემა...**

გორში შევხვდი მასწავლებლებს, რომლებსაც სმენითი უნარები ძალიან კარგად ჰქონდათ განვითარებული. როდესაც ვკითხე, როგორ მოახერხეს მათ შედეგის მიღწევა, მიპასუხეს, აუდიო-მაგნიტოფონის გამოყენებითო. მოსწავლეებისგან აკრიფეს 50-50 თეთრი, თავადაც დაუმატეს თანხა და ასე შეიძინეს. აუდიო-ტექნიკის გამოყენება თავად პედაგოგებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. დგას კიდევ ერთი პრობლემა: თანამედროვე სახელმძღვანელოები იყიდება, მაგრამ თან არ ახლავს CD, რომელიც, როგორც წესი, წიგნს მოჰყვება. მაგნიტოფონისა და აუდიო-სავარჯიშოების გამოყენების გარეშე რთულია სმენითი აღქმისა და მეტყველების უნარის განვითარება. იმ შედეგის გამოსწორება კი, რაც მათ გამოუყენებლობას მოჰყვება, დიდ დროს მოითხოვს.

რეგიონებში მოგზაურობისას შევნიშნე: იქ, სადაც ერთი ან ორი წლის მანძილზე *მშვიდობის კორპუსის* ინგლისურენოვან თანამშრომლებთან ჰქონდათ კონტაქტი, ენის ცოდნის დონე გაცილებით მაღალია. *მშვიდობის კორპუსის* მოხალისეები, როგორც წესი, რეგიონებში მუშაობენ. ენობრივ გარემოსთან შეხება ადამიანების ენთუზიაზმს ზრდის, მეტყველების უნარს ავითარებს.

**სხვა ქვეყნებში მუშაობის გამოცდილებაც გაქვთ. შეგიძლიათ შეადაროთ საქართველოს და თუნდაც სერბეთის სპეციფიკა?**

ყველა ქვეყანას განვითარების საკუთარი გზა და განსხვავებული ეტაპები აქვს. საქართველოში ჩამოსვლამდე ვლადივოსტოკში ვმუშაობდი სამი წელი, იქამდე კი – ტაჯიკეთსა და სერბეთში. ამ ევროპულ ქვეყანაში უამრავი ინგლისურენოვანი სკოლაა და ყველას უნდა ინგლისურის სწავლა. განათლების სექტორში ევროპული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აქ დიდი ხნის წინ დაიწყეს მუშაობა. სახელმწიფო სერტიფიცირება საქართველოში სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი – ამ გზით ქვეყანა ევროპის სტანდარტებს უნდა დაუახლოვდეს. ახლა საქართველო იმ ეტაპზეა, რომელიც სერბეთში უკვე გაიარეს. სერტიფიცირება ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა.

**როგორ ფიქრობთ, უნდა აისახოს თუ არა სერტიფიცირება მასწავლებლების ხელფასზე?**

ვფიქრობ, რომ მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ მოტივაცია – არ ვიცი, რამ შეიძლება შექმნას ასეთი სტიმული, ეს სამინისტროს გადასაწყვეტია. თუ გვინდა, რომ ისინი ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებდნენ, საჭიროა სტიმულირების პროგრამის ამოქმედება.

**თქვენი შეფასებით, როგორია პროგნოზი: მასწავლებლების რა ნაწილი შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარებას?**

პროგნოზირება რთულია, რადგან ეს დამოკიდებული იქნება გამსვლელ ქულაზე, რომელიც მე ჯერ არ ვიცი. პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გადაწყვიტონ, რა იქნება გამსვლელი ქულა – 100-დან 75, 65 თუ 50.

**გაიჩინეთ მეგობრები მოგზაურობისას?**

საქართველოში პირველად 1992 წელს ჩამოვედი, როგორც მოხალისე არქეოლოგი და ამის შემდეგ ათი წლის მანძილზე ყოველ ზაფხულს აქ ვატარებდი. აქამდე საქართველო წელიწადის სხვა დროს არ მენახა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ აღფრთოვანებული ვარ ამ ქვეყნის სილამაზით და მრავალფეროვნებით. სექტემბერში აუცილებლად ჩავალ სვანეთში კიდევ ერთხელ. იქ მასწავლებლებს დავალებები მივეცი: ინგლისურ ენაზე დღიური უნდა აწარმოონ. დავპირდი, რომ თუ დავალებას შეასრულებენ, სექტემბერში საჩუქრად ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს ჩავუტან.

# გამარჯვებულები

ჟურნალი „მასწავლებელი“ წერილების კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს აჯილდოებს

**ჟურნალ „მასწავლებლის“ კონკურსში გამარჯვებულებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორმა სოფო გორგოძემ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და საზოგადებრივი მაუწყებლის მიერ დაწესებული საჩუქრები 12 ივნისს გადასცა. თბილისის 74-ე საჯარო სკოლის მასწავლებელს, თეა დათუნაშვილსა და სოფელ კორმაღალის საჯარო სკოლის მასწავლებელს, ნუნუ სარჯველაძეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემებიც გადაეცათ. კონკურსი „მასწავლებლის“ 2009 წლის პირველ ნომერში გამოცხადდა და მას შემდეგ რედაქციამ უამრავი წერილი მიიღო. მადლობას ვუხდით ყველა მასწავლებელს, ვინც საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა. თქვენთან თანამშრომლობის იმედი მომავალშიც გვაქვს. „მასწავლებელი“ თქვენი ჟურნალია!**




## თეა დათუნაშვილი

*თბილისის 74-ე საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი:*

კონკურსისთვის წარვადგინე ნამუშევარი „ჩემს კლასში რთული ბავშვია“. მეც მყავდა ასეთი მოსწავლე. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ინტენსიური მუშაობის შედეგად ბავშვი სოციუმში დავაბრუნე და ამით ძალიან ვამაყობ“.

## ჩემს კლასში რთული ბავშვია

„სასწავლო წლის დასაწყისში დირექციამ გამომიცხადა, რომ მე-5 კლასის დამრიგებლად აპირებდნენ ჩემს დანიშვნას. დამწყები პედაგოგი ვარ, მაგრამ მაინც სიხარულით დავთანხმდი.

სწავლის დაწყებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ კლასში თავი იჩინა ახალ-ახალმა კონფლიქტებმა. ერთი მოსწავლე მუდმივად ეკამათებოდა მეგობრებსა და მასწავლებლებს. ბიჭუნას დედ-მამა ერთმანეთს დასცილდა და ის აგრესიით გამოხატავდა არსებული რეალობისადმი საკუთარ პროტესტს.

ვგრძნობდი, რომ ბიჭუნა დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა საზოგადო-

ებაში ადგილის დამკვიდრებას – რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მეღონა რამე.

ჩემი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, სპექტაკლების დადგმა დავგეგმე. ბიჭუნას როლი შევთავაზე და მან უარყოფითი პერსონაჟი აირჩია. ყოველი სპექტაკლის შემდეგ მშობლებთან ერთად ვმსჯელობდით პერსონაჟებზე. ვადგენდით უარყოფითი გმირის დადებით გმირად გარდაქმნის საშუალებებს, ხმას ვაძლევდით სპექტაკლის პერსონაჟებს – მოსწავლეთა აბსოლუტურ უმრავლესობას დადებითი გმირები მოსწონდა.

პირველ სპექტაკლში ბიჭუნამ მგლის როლი შეასრულა: მას ცხრა პატარა თიკანი უნდა მოეტაცა. სპექტაკლის შემდეგ გამიმხილა, რომ თავისი პერსონაჟი ძალიან მოსწონდა და კვლავ უარყოფითი პერსონაჟის განსახიერება სურდა. ერთ თვეში ცვლილებები შევნიშნე: მას აღარ მოსწონდა უარყოფითი გმირები. ცდილობდა, კლასელებთან ნაკლებად აგრესიული ყოფილიყო, აღარ ჩხუბობდა, თითქმის ყველას დაუმეგობრდა, კითხვებს მშვიდი ინტონაციით პასუხობდა და საშინაო დავალებებსაც უკეთ ასრულებდა“.




**ნუნუ სარჯველაძე**

*სოფელ კორმაღალის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი*

16 წელია, სკოლაში ვმუშაობ. წარდგენილი ნამუშევრით მრავალწლიანი გამოცდილება გავუზიარე კოლეგებს. აღვწერე ის, რასაც ჩემს პრაქტიკაში აქტიურად ვიყენებ“.

# როგორ გავხადოთ გაკვეთილი საინტერესო

(ამონარიდი)

„რადგან მრავალფეროვნება სასწავლო გარემოს „ამდიდრებს“, მოსწავლის მიღწევას, როგორი მცირედიც არ უნდა იყოს ის, მაინც ვაფასებ.

არდადეგების შემდეგ მათ სხვადასხვა დავალებას ვაძლევ, ახალი სასწავლო წლის დაწყებისას კი გაკვეთილი იმ ინტერვიუებით იწყება, რომლებიც კლასის გაზეთისთვის გვჭირდება. მოსწავლეების მუშაობის ამსახველ მომენტებს ფოტოაპარატით ვაფიქსირებ. კლასგარეშე ღონისძიება ხელს უწყობს კლასის შეკრულობას, ამიტომაც ხშირად ვგეგმავ მას. ასევე დადებითად მოქმედებს მოსწავლეებზე შრომით საქმიანობაზე აქცენტის გადატანა, მშობლებთან კონტაქტი, რომლებიც სასკოლო და არასასკოლო ღონისძიებების ჩატარებაში მეხმარებიან.

მოსწავლეებს ვაძლევ სხვადასხვაგვარ დავალებებს, ვთხოვ ხედების ან საყვარელი ადგილების წარმოსახვით აღწერას. ამ დროს მთავარი იმპროვიზაციაა. ისინი ხატავენ გეოგრაფიულ რუკას, ქმნიან წარმოსახვით კუნძულს, ქვეყანას, პირობით ნიშნებს. ჯგუფთან ერთად მინი-კონცერტებსაც ვგეგმავ. საკლასო ოთახში ვქმნი აზროვნების კულტს, ვიყენებ შესაბამის ტერმინოლოგიას, ცნებებს (ჰიპოთეზა, მტკიცებულება, არგუმენტი და ა.შ) – ეს პატარებს მოაზროვნეების იმიჯს უყალიბებს. თემის ან სულაც გაკვეთილის ბოლოს ერთობლივად ვაკეთებთ პლაკატს ან თვალსაჩინოებას. ვიყენებ ტექნიკურ საშუალებებს, ყველა სასწავლო რესურსს. სისტემატურად ვმუშაობ საკუთარ თავზე.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ფურცლებზე კომენტარებს წერენ: როგორი იყო ეს გაკვეთილი, რას ურჩევდნენ მასწავლებელს... ეს ყველაფერი გაკვეთილის დაგეგმვისას მათი ინტერესების გათვალისწინებაში მეხმარება. ცოტა ხნის წინ ერთად გავაკეთეთ პლაკატი „მატარებლით კითხვარეთში“, სადაც სადგურებზე გზადაგზა გვხვდება კითხვები, გზის გაგრძელების საშუალება კი მხოლოდ პასუხის გაცემისას გვეძლევა და ასე მივდივართ ფინიშამდე. აქ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს“.

# კლასი

პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

## გაკვეთილის თემა:
## ქიმიური ელემენტები – ეპოქა და ლავუაზიე


მასწავლებლები: ნინო კუპრაშვილი, მაია თოდაძე, ირინა კოჭლამაზაშვილი
თბილისის ქართული სასწავლო ცენტრი, GLC


ინტეგრირებული საგნები: ქიმია, ისტორია, ისტ

სწავლების საფეხური და კლასი: საბაზო-საშუალო, X კლასი

### გაკვეთილის სასწავლო მიზნები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაცია და მოსწავლეებში ინტერესის გაღვივება, მოტივაციის ამაღლება;

მოსმენის, მსჯელობის და დისკუსიის, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება;

ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, საკუთარი აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევების განვითარება;

ისტორიული ეპოქის განცდისა და ინტერპრეტაციის უნარი;

### ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგი:

X.2. მოსწავლე ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მოიპოვებს მონაცემებს ცდის საშუალებით;

X.3. მოსწავლე ობიექტის ან მოვლენის შესასწავლად მოიპოვებს მონაცემებს უშუალო დაკვირვებით და საინფორმაციო წყაროებიდან;

X.5. მოსწავლე ივითარებს შეფასების, ანალიზის და პრობლემების გადაჭრის უნარს – ადარებს საკუთარ და ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს, აკეთებს დასკვნებს;

X.13. მოსწავლე აღწერს კავშირს ნივთიერებათა აგებულებასა და თვისებებს შორის – ცდის (№2) ჩატარების საფუძველზე განსაზღვრავს ნივთიერებათა ქიმიურ თვისებებს და მათ ცვლილებებს;

X.1 აანალიზებს და აფასებს ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს – მსჯელობს იმ ფაქტებზე, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა; აყალიბებს საკუთარ შეხედულებას პიროვნების შესახებ; განიცდის ისტორიულ ეპოქას;

სწორად იყენებს ისტ-ის საშუალებებთან ურთიერთქმედების, შეტანა-გამოტანის მოწყობილობებს, ამ საშუალებების წარმატებით ფუნქციონერებისთვის; აფასებს და ეფექტურად იყენებს ისტ-ის სფეროში არსებულ სიახლეებს (ახალი პროგრამული უზრუნველყოფა) და რესურსებს მის წინაშე დასმული ამოცანის შესაბამისად.

### თანმიმდევრობა (აქტივობა და დრო)

**I აქტივობა (5 წთ.)**

გონებრივი იერიში – როგორ ფიქრობთ, შემოთავაზებული მასალიდან გამომდინარე, რომელი ექსპერიმენტი უნდა ჩავატაროთ? *(კვლევისათ-*



*ვის აუცილებელი მასალა და აღჭურვილობა მომზადებულია)*

**II აქტივობა (5 წთ.)**
მასწავლებელი სვამს შეკითხვას: როგორ იწყება ხის ბურბუშელის წვა? რა კონდენსირდება ცივ საგნებზე? რა რჩება წვის შედეგად? სად მიდის გამოყოფილი კვამლი? მოსწავლე დაფაზე გამოსახავს კითხვებზე პასუხს, მიიღებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის მიერ აღწერილ ოთხ სტიქიას, ელემენტს: ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა. დაასაბუთებს, თუ რატომ არის ლიტერატურაში ემპედოკლეს ცდა (წვა) აღწერილი როგორც პირველი ქიმიური ანალიზი.

**III აქტივობა (7 წთ.)**
კომპიუტერული სასწავლო პროგრამის „თვალსაჩინოების პრინციპის რეალიზება ქიმიის სასწავლო პროცესში“ გამოყენებით, შეადარებენ კვლევის ძველ შედეგებს და იმსჯელებენ თანამედროვე კვლევებსა და შედეგებზე; გაიხსენებენ ელემენტების კლასიფიკაციის სქემებს.

**IV აქტივობა(2 წთ.)**
საშინაო დავალების ჩაბარება: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადასცენ ბარათები, სადაც მათი ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნულია ლიტერატურაში მათ მიერ მოპოვებული ახალი ქიმიური ელემენტების 112-116, 118 სავარაუდო სახელწოდებები: უნუნბიუმი – 112, უნუნოქტიუმი – 118.



**V აქტივობა (10 წთ.)**
მინი ლექცია – „სტიქიიდან ელემენტებამდე; ა. ლავუაზიეს ახალი ქიმიური ნომეკლატურა“. როგორ ფიქრობთ, ბერძნული ანბანის რომელი ასოებით შედგა სიტყვა „ელემენტი“? რომელი ელემენტებია: „ცეცხლოვანი ჰაერი“, „მხუთავი ჰაერი“, „წვადი ჰაერი“, „წვადი მიწა“? „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სამყაროს საწყისი ოთხი სტიქიაა: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი; რომელმა მეცნიერმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ელემენტი და ქიმიური ნაერთი სხვადასხვა ცნებებია? მან თავისი კვლევებითა და ექსპერიმენტებით მოახდინა „რევოლუცია ქიმიაში“ – რომელმა მეცნიერმა მიიღო ასეთი შეფასება და რატომ? პარარელურად დაფაზე იქმნება და ნაბიჯ-ნაბიჯ ივსება სქემა ა. ლავუაზიეს დამსახურების შესახებ.

**VI აქტივობა (13 წთ.)**
ისტორიის მასწავლებელი მოუთხრობს მოსწავლეებს იმ ეპოქის თავისებურებების შესახებ, რომელშიც ცხოვრობდა ლავუაზიე. მან გააცნო მოსწავლეებს ისტ-ის გამოყენებით ა. ლავუაზიეს ბიოგრაფია. აღნიშნა, რომ იგი იყო დეპუტატი, გენერალური გადასახადების სააქციონერო საზოგადოების წევრი, კონსტიტუციური მონარქიის მომხრე. გილიოტინაზე გაყვანამდე მისი ბოლო სიტყვა: „რესპუბლიკას არ სჭირდება ქიმიკოსები!“ და ა. ლავუაზიესათვის წაყენებული ბრალდებები.

**სადისკუსიო კითხვები:** უნდა გამხდარიყო თუ არა ა. ლავუაზიე საქმიანი ადამიანი? თქვენ როგორ მოიქცეოდით? რატომ იყო ა. ლავუაზიე კონსტიტუციური მონარქიის მომხრე? რამდენად მართებულად მიგაჩნიათ რესპუბლიკური მთავრობის მიერ ლავუაზიეს სიკვდილით დასჯა? როგორ ახსნით ლავუაზიეს ბოლო სიტყვებს, „რესპუბლიკას არ სჭირდება ქიმიკოსები!“

**VII აქტივობა (3 წთ.)** – „გამოსამშვიდობებელი ცდა“ (№2)
ქიმიის კურსის დასკვნით გაკვეთილზე მოსწავლე რომელიც მსვლელობისას ნაკლებ აქტიური იყო ატარებს ცდას (№2), $KClO_3$+P, რომელიც სუსტი, მაგრამ მოულოდნელი აფეთქებით მიმდინარეობს. ცდის მიზანია წვის პროცესის დემონსტრირება, რომლის შედეგადაც მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას ჟანგბადის როლზე წვის პროცესში.

**შეფასება (3 წთ.)**
10 ქულით შეფასდა 5 მოსწავლე: ისინი ჩატარებული ცდების საფუძველზე სწორად ხსნიდნენ და ქიმიური ფორმულების საშუალებით გამოსახავდნენ რეალურ შედეგებს. ამჟღავნებდნენ ფაქტებში სწორად გარკვევისა და პარალელების გავლების უნარს. 8-9 ქულით შეფასდა 3 მოსწავლე: ისინი მსჯელობენ ცდის შედეგებზე, გამოსახავენ ქიმიური ფორმულით, მაგრამ ჰქონდათ ხარვეზები. 5 ქულით შეფასდა 2 მოსწავლე: მათ უჭირთ ყურადღების მობილიზება.

**საგანმანათლებლო რესურსები, ტექნიკა და ინსტრუმენტები** – გაკვეთილზე გამოყენებული იყო 10 კომპიუტერი, დაფა, ფერადი მარკერები, შტატივი, სინჯარა, ფაიფურის ჯამი, სპირტქურა და რეაქტივები.

**ინფორმაციის წყაროები:**


დილის საყმაწვილო ენციკლოპედია. წიგნი XIV, ქიმია მ. გვერდწითელი, 2006 წ.

Основные законы химии. Р. Дикерсон, 1982 г.

ისტორია X კლასი. ზ. კიკნაძე და სხვ. 2006 წ.

ისტორია X კლასი. ნ. ასათიანი და სხვ. 2007 წ.


**ელექტრონული (კომპიუტერული) პროგრამები და რესურსები:**


1. „თვალსაჩინოების პრინციპების რეალიზება ქიმიის სასწავლო პროცესში“ (პროგრამის დემო ვერსია)
2. www.wikipedia.org
3. www.alhimik.ru

# სასერტიფიკაციო გამოცდა უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

**(დავალებების ნიმუშები)**

**გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხო ენების ჯგუფის ხელმძღვანელის, ივა მინდაძის განმარტებები იხილეთ გვ. 6**

## მეთოდიკის ნაწილი

**დავალება:** მიუსადაგეთ მოსწავლეთა აქტივობები (1-3) დავალების შესაბამის მიზნებს (A-E). ყოველ აქტივობას მხოლოდ ერთი მიზანი შეესაბამება. ორი მიზანი ზედმეტია.

| მოსწავლეთა აქტივობა | დავალების მიზანი |
|---|---|
| 1. მოსწავლეები მსჯელობენ უცხოურ ენაზე მასწავლებლის მიერ მოცემული თემის ირგვლივ.<br>2. მოსწავლეები წერენ თხზულებას, რომელშიც იყენებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ მოცემულ ოთხ სიტყვას.<br>3. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სიტყვების განმარტებებს (*მხოლოდ განმარტებებს, სიტყვების გარეშე*). მოსწავლეები ტექსტში პოულობენ სიტყვებს და უსადაგებენ მათ შესაბამის განმარტებას. | A. კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვების მნიშვნელობის დადგენა<br>B. უცნობი ლექსიკის სწორად გამოყენება<br>C. გაცნობითი კითხვის უნარის განვითარება<br>D. მოსწავლეთა ზეპირი (თავისუფალი) მეტყველების უნარის განვითარება<br>E. ენობრივი სტრუქტურების სწავლება |

**პასუხები ჩაწერეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:**

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| | | |

**სწორი პასუხები:**

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| D | B | A |

## შეცდომების გასწორება

### დავალების პირობა

**მოცემულ ტექსტში დაშვებულია შეცდომები. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული სტრიქონი და მასში შეცდომის პოვნის შემთხვევაში, გასწორებული ვარიანტი დაწერეთ ამავე სტრიქონის ბოლოს, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას. იქვე მიუთითეთ შეცდომის ტიპი. იმ შემთხვევაში, თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, სტრიქონის ბოლოს დასვით ნიშანი ☑.**

### დავალების აღწერა

დავალებაში მოცემულია საშუალო სირთულის ტექსტი ან წერილი, რომელიც 14 სტრიქონზეა მოთავსებული. პირველ ორ სტრიქონში მოცემულია მაგალითები. დარჩენილი 12 სტრიქონიდან ზოგ სტრიქონში შეცდომაა დაშვებული, ზოგშიც – არა. თითოეულ სტრიქონში ერთ შეცდომაზე მეტი არ არის დაშვებული.

დავალების მოთხოვნაა: 1. იპოვოთ შეცდომა და გასწორებული ვარიანტი დაწეროთ სტრიქონის ბოლოს გამოყოფილ ადგილას; 2. მიუთითოთ, თუ როგორი ტიპის შეცდომაა დაშვებული; 3. იმ შემთხვევაში, თუ შეცდომას ვერ აღმოაჩენთ, ამავე სტრიქონის ბოლოს დასვათ ნიშანი ☑. გახსოვდეთ, რომ ქულას იღებთ არა მხოლოდ „აღმოჩენილ“ შეცდომაში და შეცდომის ტიპის დადგენაში, არამედ „აღმოჩენილ“ უშეცდომო სტრიქონშიც. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ტექსტში დაშვებულია მხოლოდ გრამატიკული (არა ლექსიკური ან ორთოგაფიული) შეცდომები.

**შეცდომის ტიპის აღნიშვნისას უნდა ისარგებლოთ სპეციალური პირობითი აღმნიშვნელებით (შემოკლებებით). სხვა აღმნიშვნელების გამოყენება შეცდომად ითვლება. პირობითი აღმნიშვნელების დაზეპირება არ არის საჭირო, რადგანაც ისინი ამ ტიპის დავალებას თან ახლავს.**

დავალება ამოწმებს მასწავლებლის უნარს აღმოაჩინოს და გაასწოროს მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა და მისცეს შეცდომას სწორი ინტერპრეტაცია.

ქვემოთ მოცემულია ამ დავალების ნიმუში (ინგლისური ენა).

- **In the letter below some lines are correct, but some have a mistake in them. Read each line (15-29) carefully and if you find a mistake in it, write the correct form at the end of the same line and, next to it indicate the type of the mistake. If the line has no mistake, write (√) at the end of the line.**
- **Write the answers in the answer sheet. Two examples are given.**

| | **correction / type of mistake** | |
|---|---|---|
| Dear aunt Rosemary,<br><br>Just a quick note to tell you what we have done so far these month. As you know David is going to buy a car next month and father has decided destroy our old garage and build a new larger one on its place. We are hiring two workers. They started to work about a week ago and by yesterday walls of the old garage had already been knocked down. This must have been done three days since ago but the weather has been so bad that the workers were not able to finish the work on time. And then, one of the workers got ill and had to recover. Father has new ideas as always. He is going to put in a new window in the garage of some fresh air he says. He was also going to build some shelves inside. He says the garage is going to have a big space and why not to use it for storing different things. We thinks that this is not a bad idea actually and David thinks the same. There are cases when we disagree about something and argue a lot. I am glad this is not the case. Hope to see you soon.<br><br>With love, Jannette | 0 this<br>00 ✓<br>1<br>2<br>3<br>4<br>5<br>6<br>7<br>8<br>9<br>10<br>11<br>12 | Agr.<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br> |

დავალების შესრულებამდე კარგად გაეცანით შეცდომის ტიპების პირობითი აღმნიშვნელების ჩამონათვალს სტანდარტული განმარტებებითა და მაგალითებით. გაეცანით ასევე ჩამონათვალის შემდეგ მოცემულ ამ ტიპის დავალების ტექნიკურად სწორად გასწორებულ ნიმუშს.

**Use the following abbreviations for indicating the type of a mistake**

| შეცდომის ტიპის პირობითი აღმნიშვნელები | განმარტებები და მაგალითები |
|---|---|
| **Ord.** | **Wrong sentence order: წინადადებას აქვს არასწორი წყობა.** *I met him yesterday* -ის ნაცვლად მოცემულია: *Him I met yesterday.* |
| **W. miss** | **Word missing: სიტყვაა გამოტოვებული.** *He decided to read the letter*-ის ნაცვლად მოცემულია: *He decided read the letter.* ან: *This is an interesting story*-ის ნაცვლად მოცემულია: *This is interesting story.* |
| **Ex. w** | **Exrta word: სიტვაა ზედმეტი.** *If you are interested in this*-ის ნაცვლად მოცემულია: *If you are be interested in this....* |
| **Tense** | **Wrong tense: არასწორია გრამატიკული დრო.** *I have seen her twice this week*-ის ნაცვლად მოცემულია: *I saw her twice this week.* |
| **Mood** | **Wrong mood: არასწორია კილო.** *If he did this job he would be paid well*-ის ნაცვლად მოცემულია: *If he does this job, he would be paid well.* ან: *I have seen her twice this week*-ის ნაცვლად მოცემულია: *I saw her twice this week.* |
| **Voice** | **Wrong voice: არასწორია გვარი.** *The building was repaired last year*-ის ნაცვლად მოცემულია: *The building repaired last year.* |

| | |
|---|---|
| **Agr.** | **Wrong noun-verb agreement. OR: any other kind of agreement in person and number: არასწორია შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის.** *Tennis and swimming are his favourite sports*-ის ნაცვლად მოცემულია: *Tennis and swimming is his favourite sport.* ან: *These are our children*-ის ნაცვლად მოცემულია: *This are our children.* |
| **Prep.** | **Wrong preposition: არასწორია წინდებული.** *I look forward to seeing you*-ის ნაცვლად მოცემულია: *I look forward for seeing you.* |
| **Art.** | **Wrong article: შეცდომაა არტიკლის გამოყენებაში.** *This is the house we want to buy*-ის ნაცვლად მოცემულია: *This is a house we want to buy.* |
| **Adj.** | **An adjective used instead of an adverb or an adverb used instead of an adjective: ზედსართავი გამოყენებულია ზმნიზედის მაგივრად ან ზმნიზედა გამოყენებულია ზედსართავის მაგივრად.** *He is smart enough*-ის ნაცვლად მოცემულია: *He is smartly enough.* ან: *He speaks English fluently*-ის ნაცვლად მოცემულია: *He speaks English fluent.* |
| **Degr.** | **Wrong degree of an adjective or an adverb: გამოყენებულია ზმნიზედის ანზედსართავის არასწორი ხარისხი.** *He is the most talanted actor I've ever seen*-ის ნაცვლად მოცემულია: *He is the more talanted actor I've ever seen.* ან: *He speaks English better than his brother*-ის ნაცვვლად მოცემულია: *He speaks English good than his brother.* |
| **Pron.** | **Wrong pronoun: არასწორია ნაცვალსახელი.** *I met Tina and Nick and wished them a happy marriage*-ის ნაცვლად მოცემულია: *I met Tina and Nick and wished him a happy marriage.* |
| **Mod.** | **Wrong modal verb: არასწორია მოდალური ზმნა.** *Yesterday was Sunday, so it must be Monday today*-ის ნაცვლად მოცემულია *Yesterday was Sunday, so it may be Monday today..* |
| **VF** | **Wrong verb form (incorrect use of infinitive, gerund and participle): არასწორია ზმნის ფორმა (შეცდომაა ინფინიტივის, გერუნდივის და მიმღეობის გამოყენებაში).** *He enjoys watching soap operas*-ის ნაცვლად მოცემულია: *He enjoys to watch soap operas.* |

ზოგიერთი შეცდომის ტიპის სწორად მითითების მიზნით, **ყურადღება მიაქციეთ შემდეგს**:

1. არის შემთხვევები, როდესაც ერთ შეცდომას ორგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს. მაგ. წინადადებაში: **This is new film** არ არის არტიკლი (**a new…**). ეს შეცდომა შეიძლება დახასიათდეს, როგორც: **W. miss** (სიტყვაა გამოტოვებული), ან როგორც **Art.** (შეცდომაა არტიკლის გამოყენებაში). ასეთ შემთხვევებს, მიეცით ცალსახა ინტერპრეტაცია და მიუთითოთ მხოლოდ **W. miss.** იგივე ეხება ისეთ შეცდომებს, როგორებიცაა მაგ., **I look forward seeing you.** (**to seeing**-ის მაგივრად). ამ შემთხვევაშიც მიუთითეთ შეცდომის ტიპი **W. miss**, არა **Prep.**

2. ტექსტში ზედმეტი სიტყვის არსებობის ყველა შემთხვევა, იმისდა მიუხედავად, თუ მეტყველების რომელი ნაწილია ეს სიტყვა (noun, verb, adj, etc.), კვალიფიცირდება, როგორც **Ex. w** (სიტყვაა ზედმეტი) ტიპის შეცდომა. ასეთი სიტყვა გამოგვაქვს და იმის მითითების მიზნით, რომ იგი ტექსტში ზედმეტია, ვხაზავთ ჯვარედინად. (მაგ.: himself).

მნიშვნელოვანია, რომ დავალება ტექნიკურად სწორად შეასრულოთ, ანუ დაშვებული შეცდომის ტიპის ის პირობითი აღმნიშვნელები გამოიყენოთ. ქვემოთ მოცემულია ანალოგიური დავალების შესრულების მცირე ნიმუში.

**correction / type of mistake**

| | | |
|---|---|---|
| Nick has lived in Spain since 2000. He has been married to Jane since four years. They first met in Madrid where they both were spending their summer holidays. It is love at first sight! They have lived in central Madrid for four years now. They feel happy there. Nick runs a small hotel business. They saved lot of money in last year, so they are planning to go on a trip to Paris. Both of them speak Spanish fluent, but they feel they have to learn French as well. | ———√——<br>———*for*———<br>———*was*———<br>———√——<br>———*a*———<br>———in———<br>– *fluently*– | ————————<br>——*Prep.*——<br>——*Tense*——<br>————————<br>——*W.miss*——<br>——*Ex. w*——<br>——*Adj.*—— |

# პრაქტიკული სავარჯიშოები

## სკოლის მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების გასავითარებლად

*(მოგვაწოდა გიორგი გახელაძემ, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტმა)*

### სავარჯიშო „ერთობლივი ნახატი“ (10 წთ)

**მიზანი:** მოსწავლეები გაეცნონ ორმხრივი სარგებლიანობის სტრატეგიას; განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს ჯგუფს „პირველ“ და „მეორე“ წყვილებად.

იგი ცალ-ცალკე აძლევს მათ ინსტრუქციებს ისე, რომ ერთმანეთის დავალების შესახებ ბავშვებმა არაფერი იციან.

ინსტრუქცია „პირველ წყვილს“: „თქვენი მიზანია კატის დახატვა“. ინსტრუქცია „მეორე წყვილს“: „თქვენი მიზანია სახლის დახატვა“.

მასწავლებელი სვამს პირველ და მეორე წყვილს ერთად. თითოეულ ჯგუფს აძლევს ერთ ფურცელსა და ერთ ფანქარს. აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ პირობებში უნდა განახორციელონ დასახული მიზნები.

როგორც კი თითოეული წყვილი მოჰკიდებს ხელს საერთო ფანქარს, მასწავლებელი აცნობებს მათ, რომ სავარჯიშოს დაწყების დროა. იგი იქვე აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მათ განკარგულებაში მხოლოდ 5 წუთია. დანიშნული დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ნამუშევრები დაფაზე მიამაგრონ.



შემდეგ იგი მსურველებს სთავაზობს, უპასუხონ დასმულ შეკითხვებს:

- მოახერხეთ დავალების შესრულება?
- რთული სავარჯიშო იყო?
- თქვენ რომელი გზა აირჩიეთ დავალების შესასრულებლად?
- როგორ ფიქრობთ, დავალების შესასრულებლად თქვენი არჩეული გზა საუკეთესოა?
- სხვა გზა არ გიძებნიათ?

მასწავლებელი მსურველთაგან თავად შეარჩევს მოპასუხეებს და დაფაზე მიუთითებს საკვანძო სიტყვებს. ის 5 წუთის განმავლობაში მიღებულ პასუხებს აჯამებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ადამიანებს უწევთ სირთულეების ერთად დაძლევა და ამისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდახმარება – თანამშრომლობა.

### სავარჯიშო „საზღვარი“ (10 წთ)

**მიზანი:** მოსწავლეები გაეცნონ ორმხრივი სარგებლიანობის სტრატეგიას; განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა; გამოიყენონ კომუნიკაციის ეფექტური ხერხები.

**ჩატარების პროცედურა:** სავარჯიშოს დაწყებამდე მასწავლებელი საკლასო ოთახის თავისუფალ არეში გრძელი, მსუბუქი ჯოხებით იატაკზე ქმნის გამყოფ „საზღვარს“.

შემდეგ იგი მოსწავლეებს აწყვილებს და სთხოვს მეწყვილეებს, რომ „საზღვრის“ მოპირდაპირე მხარეს დადგნენ. მასწავლებელი ბავშვებს უხსნის წესებს: „თითოეული თქვენგანის მიზანია, მეწყვილე თქვენს მხარეს გადაიყვანოთ. საუბარი აკრძალულია. სავარჯიშო იწყება და სრულდება მაშინ, როცა ნიშანს მოგცემთ... ყველა სხვა საშუალება ნებადართულია. გაქვთ მხოლოდ 5 წუთი“. ინსტრუქციის მიცემის შემდეგ მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეები სწორად განლაგდნენ და აძლევს მათ დაწყების ნიშანს.



დათქმული დროის გასვლისთანავე ის აძლევს შეწყვეტის ნიშანს და აცნობებს მოსწავლეებს, რომ ახლა განიხილავენ მიღებულ შედეგს.

მასწავლებელი სვამს ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს და მათზე პასუხის მისაღებად შერჩევით ასახელებს სხვადასხვა მსურველს.

- ვინ მიაღწია მიზანს?
- თქვენ რა ხერხს მიმართეთ მიზნის მისაღწევად?
- რას გრძნობდით სავარჯიშოს შესრულების დროს?
- როგორ ფიქრობთ, ყოველ თქვენგანს შეეძლო მიზნის მიღწევა? რატომ?

მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს შედეგებს და ხაზს უსვამს, რომ ერთ პრობლემას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს და მისი მოგვარებისას მნიშვნელოვანია არსებული ვითარება/გარემოებები, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და თანამშრომლობის სურვილი.

## სავარჯიშო „გახსენი მუშტი“ (10 წთ)

**მიზანი:** ინტერესებსა და პოზიციას შორის განსხვავების ჩვენება; მოლაპარაკებების წარმოების მრავალფეროვნების ჩვენება; მოლაპარაკების დროს ინტერესებზე დაყრდნობის უპირატესობის გამოვლენა.

**მასალა:** დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები/მარკერები, სკოჩი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად.

შემდეგ თითოეული მეწყვილე მუშტს კრავს.

მასწავლებელი განმარტავს, რომ თითოეული მოსწავლის მიზანია, მისი მეწყვილის შეკრული მუშტის გახსნა. იგი გაანმარტავს მათ, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება აკრძალულია, ხოლო ნებისმიერი სხვა ხერხი მიზნის მისაღწევად ნებადართულია. ამისათვის მათ ეძლევათ მხოლოდ 1 წუთი.

დანიშნული დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სავარჯიშოს შედეგებს.

ჯერ სთხოვს ხელის აწევას მათ, ვინც შეძლო მეწყვილის მუშტის გახსნა.

მერე სთხოვს ხელის აწევას მათ, ვინც ვერ შეძლო მეწყვილის მუშტის გახსნა.

შემდეგ იგი სვამს შეკითხვას: მათგან, ვინც შეძლო მეწყვილის მუშტის გახსნა, ვის შეუძლია გვიჩვენოს, თუ როგორ მოახერხა ეს?

ერთ-ერთი წყვილი წარმოუდგენს კლასელებს თავის შედეგს.

ახლა მასწავლებელი სვამს შეკითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ ზოგმა მოახერხა სავარჯიშოს შესრულება, ზოგმა კი – ვერა?

შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რითიც მოსწავლეებს უბიძგებს ინტერესებსა და პოზიციას შორის განსხვავება უფრო მკაფიოდ დაინახონ. კერძოდ: რა იყო მთავარი მათთვის, ვინც არ გახსნა მუშტი? (ერთი პასუხი თავად ასეთი მოსწავლისგან, ერთი მისი მეწყვილისგან – მინიშნება პოზიციაზე); რა იყო მთავარი მათთვის, ვინც გახსნა მუშტი? (ერთი პასუხი თავად ასეთი მოსწავლისგან, ერთი მისი მეწყვილისგან – მინიშნება ინტერესზე);



სავარჯიშოს ბოლოს მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვას: რით განსხვავდება ინტერესი პოზიციისგან?

მასწავლებელი დასმულ შეკითხვებზე პასუხებს ჩაინიშნავს დიდი ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში:

| შედეგი | მიზეზი – მათთვის მთავარი იყო |
|---|---|
| **ვინც არ გახსნა მუშტი** | |
| **ვინც გახსნა მუშტი** | |

## სავარჯიშო „დარწმუნების ნიჭი“ (5 წთ)

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან განსხვავებას პოზიციასა და ინტერესს შორის; მათ განუვითარდებათ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

**მასალა:** ასანთის 2 კოლოფი, ფერადი ქაღალდის პატარა ფურცელი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი იძახებს ორ მოსწავლეს და თითოეულ მათგანს აძლევს ასანთის კოლოფს. მხოლოდ ერთში დევს პატარა ფერადი ფურცელი.

მასწავლებელი აფრთხილებს ორივე მოსწავლეს, რომ ჩუმად გახსნან საკუთარი კოლოფები, ნახონ და კვლავ დახურონ. იგი უხსნის გამოძახებულ მოსწავლეებს, რომ თანმიმდევრობით, თითო წუთის განმავლობაში მათ თავისი მსჯელობით (და არავითარ შემთხვევაში, კოლოფის ჩვენებით) უნდა დაუმტკიცონ დანარჩენ თანაკლასელებს, რომ სწორედ მათ კოლოფში დევს ფერადი ფურცელი.

მსჯელობის შეწყვეტის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს, რომ საერთო შეთანხმებით დაასახელონ მოსწავლე, რომლის კოლოფშიც ნამდვილად დევს ფერადი ფურცელი. ამისთვის იგი აძლევს მათ ერთ წუთს.



თუ კლასი შეცდება, მასწავლებელი ბავშვებს „დააჯარიმებს“ (მაგ: 1 წუთი ადგილზე ხტუნვით).

მასწავლებელი უსვამს შეკითხვებს მოსწავლეებს:

- ამ სავარჯიშოს შესრულების დროს ვინ მიაღწია მიზანს? რის გამო?
- ამ სავარჯიშოს შესრულების დროს ვინ მოქმედებდა პოზიციაზე დაყრდნობით? ვინ მოქმედებდა ინტერესზე დაყრდნობით?

## როლური თამაში „სად გავატაროთ შაბათ-კვირა“ და შეჯამება (15 წთ)



**მიზანი:** მოსწავლეები პრაქტიკულად გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას; გამოიმუშავებენ მოლაპარაკებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და მეტყველებას, რაც დაეხმარება მათ ყოველდღიური კონფლიქტების თავიდან აცილებასა თუ მართვაში.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს მოლაპარაკების საფუძვლებსა და ეტაპებს. შემდეგ იგი სთავაზობს მათ, გაითამაშონ ოჯახური სცენა: საღამოს ოჯახის წევრები მსჯელობენ, როგორ გაატარონ ერთად დასვენების დღე.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ გათამაშებისთვის საჭიროა 5 მოხალისე და მათ ექნებათ 10 წუთი.

მოხალისეების მიერ გათამაშებულ სცენას აკვირდებიან დანარჩენი მოსწავლეები და მასწავლებლის თხოვნით, რვეულებში ინიშნავენ საკუთარ პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

- რა ინტერესები და პოზიციები ჰქონდა „ოჯახის“ თითოეულ წევრს?
- რა გზა აირჩიეს მათ შეთანხმებისთვის?
- მოახერხეს თუ არა მათ შეთანხმების მიღწევა?
- რამ შეუწყო (ან შეუშალა) ხელი ოჯახის წევრების მოლაპარაკებას?

# დანაშაული და სასჯელი სკოლაში

**„სკოლა და სასჯელი“ ყოველთვის ისეთი თემა იყო, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. რატომ ან რა ფორმით უნდა დაისაჯოს მოსწავლე? საერთოდ, უნდა არსებობდეს თუ არა სკოლაში სასჯელი? – ამ საკითხებისადმი დამოკიდებულება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. გასაკვირი არ არის, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია საქართველოში, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დაემშვიდობა ავტორიტარულ პედაგოგიკას.**

თამარ კაციტაძე,
ეკა ქევანიშვილი

სკოლის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, დაგვიანება, გაკვეთილის ჩაშლა, გაკვეთილის თვითნებური მიტოვება, მასწავლებლის, მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, პლაგიარიზმი, ვანდალიზმი – სკოლის ქონების შეგნებული დაზიანება თუ გაფუჭება, სკოლის ტერიტორიაზე ძალადობა, ქურდობა, იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერების ქონა, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება, ვაჭრობა, აგრეთვე სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა: ქურდობა, იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერების ქონა; ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება, ვაჭრობა – 2007 წელს მიღებული „მოსწავლეთა ქცევის კოდექსის“ მიხედვით, ეს ის გადაცდომებია, რომლის გამოც, შესაძლოა, მოსწავლეს დისციპლინური სახდელი დაეკისროს.

**თამარ ტალიაშვილი,** *ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი:* „თუ სკოლაში დისციპლინა არ არის, სასწავლო პროცესი ჩაიშლება. ჩვენ დემოკრატია და დემოკრატიული ფასეულობები არასწორად გვესმის. დემოკრატია უდიდესი პასუხისმგებლობაა, ეს კი რატომღაც არავის ახსოვს. მოსწავლე ისე უნდა გაიზარდოს, რომ თავიდანვე იგრძნოს პასუხისმგებლობა. მოზარდის ცნობიერებაში ფასეულობების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს. ხშირად ამბობენ, ადრე მოსწავლე მასწავლებელს ამდენს ვერ გაუბედავდაო. დროა გავაცნობიეროთ, რომ ადრე თავად სახელმწიფო იყო ავტორიტარული და მაშინდელი ახალგაზრდების მოთხოვნილებები არ იყო ისეთი მრავალფეროვანი, როგორიც დღეს არის. დღევანდელმა ახალგაზრდებმა თავისუფლების სიო იგრძნეს, მაგრამ სწორად არ ესმით, რას ნიშნავს იგი. მასწავლებლის გინება არ არის თავისუფლება. თუ მოსწავლე ასე იქცევა, ეს პედაგოგის, სკოლის დირექციის ოჯახის საერთო პრობლემაა. სასკოლო რეფორმის არსი მოსწავლის, მასწავლებლის და მშობლის ურთიერთთანამშრომლობაა. პედაგოგი უნდა ფლობდეს იმ მეთოდებს, რომლებიც მოსწავლის ქმედების პრევენციას ისახავს მიზნად. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ბავშვი ასოციალურია, დასჯის მექანიზმიც მუშაობს.

დასჯა განიხილება კომპლექსურად – დასჯა არა დასჯისათვის, არამედ იმისთვის, რომ ბავშვმა გააცნობი-

> მასწავლებელმა მშობლებთან სერიოზულად უნდა იმუშაოს, რადგან მოსწავლესთან ურთიერთობის დარეგულირება შეუძლებელია, თუ ოჯახშიც არ არის შესაბამისი ღონისძიებები გატარებული.

ეროს, თუ რატომ დაისაჯა. მას უნდა ესმოდეს, რომ სასჯელი არის სამართლიანი და ამ სამართლიანობის გასაცნობიერებლად უნდა იმუშაოს ყველამ ერთად – მასწავლებელმა, აღმზრდელმა, მშობელმა, ფსიქოლოგმა და ასე შემდეგ. პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს სანქციების კოდექსი. მასწავლებელი თუ სანქციას ანგარიშსწორების მიზნით იყენებს, ეს დამღუპველია“.

დისციპლინური სასჯელის საკითხს სკოლაში მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სკოლის ეთიკის კოდექსი და შიდა განაწესი არეგულირებს. შესაბამისად, იმ სასჯელის ზომა და ფორმაც, რომელიც შესაძლოა მოსწავლეს დაეკისროს, ამ დოკუმენტებითაა გაწერილი. ყველა სხვა სახის დასჯა დაუშვებელია. ამასთან, მშობელი და მოსწავლეც კონკრეტულ სკოლაში არსებული დისციპლინური სასჯელის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს.



საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის წარმომადგენელი, ბავშვთა **ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე** იხსენებს შემთხვევებს, როდესაც მასწავლებლები ტრენინგზე სრული სერიოზულობით სვამდენენ შეკითხვებს: **„ბავშვი თუ აშავებს, ყური არ უნდა ავუწიო? არ უნდა წავუთაქო? არ უნდა დავსაჯო?“** ფსიქოლოგის აზრით, სასჯელი უნდა არსებობდეს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ძალადობა. აღზრდის პრინციპები მოიცავს როგორც დასჯას, ისე შექებას. უნდა ვიცოდეთ, რატომ ვსჯით ბავშვს – მთავარი ის კი არ არის, რის გამო ვსჯით, არამედ რა მიზნისთვის კეთდება ეს.

„დედაჩემი შარშან რვაჯერ დაიბარეს სკოლაში. მგონი, სამოცჯერ ვარ გაკვეთილიდან გაგდებული, შელაპარაკებაც ხშირად მომდის ერთ-ერთ მასწავლებელთან, რომელიც ეგრევე ნერვებზე იშლება და ყვირილს იწყებს. მერე მეც არ ვუთმობ ხოლმე, იმიტომ, რომ ოჯახის ლანძღვაზე გადადის. არც დავუთმობ... რა წესია, მშობლებს რო ეხება. კიდევ კარგი, ხელით შეხებას ვერ ბედავს“, – ამბობს 14 წლის ვახო კ.

„წინა სემესტრში რამდენიმე ბავშვი ცუდად მოიქცა – ტუალეტი მოარეცხინეს და კედლების გაწმენდა დაავალეს. მოსწავლეებს კუთხეში ხშირად აყენებენ ან გარეთ ყრიან. უფრო ხშირად ბიჭები იქცევიან ცუდად. ხანდახან მასწავლებლები მოსწავლეებს ხელითაც ეხებიან, თმების მოწიწკვნა და მსგავსი რამეებიც ხდება. მე მგონია, რაღაც ზღვარი უნდა არსებობდეს მოსწავლეს და მასწავლებელს შორის. წყნარად აგვიხსნან და ყველა გაიგებს. დარტყმები და გარეთ გაგდებები არ უნდა იყოს,“ – გვითხრა 14 წლის გოგონამ.

ბავშვების მოსაზრებას იზიარებენ მშობლებიც: „ჩემი აზრით, დასჯის გარკვეული ფორმები სკოლაში უნდა არსებობდეს – ეს ბავშვების ქცევაზე გავლენას ახდენს. მაგალითად, ჩემი გოგონა რამდენჯერმე გამოუშვეს სკოლიდან იმის გამო, რომ ფორმა არ ეცვა და საჭირო წიგნები არ ჰქონდა. ამის შემდეგ იგი ყოველთვის მოწესრიგებული დადის. თუმცა, დასჯის შემთხვევაში, ყოველთვის ვიგებ, რატომ დასაჯეს ბავშვი და რამდენად სამართლიანი იყო სასჯელი. რა თქმა უნდა, მასწავლებლის მხრიდან ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ვერასოდეს შევეგუები. ასეთი შემთხვევა ჯერჯერობით არც გვქონია, თუმცა, ვიცი რომ ზოგიერთი მასწავლებელი ამ მეთოდს იყენებს“, – ამბობს მაია ბოჭორიშვილი.

**ქეთევან თავართქილაძე,** *ფსიქოლოგი:*
„ჩვენ ვსჯით ბავშვს, რათა ვასწავლოთ, რა არის კარგი და რა – ცუდი, მხოლოდ მაშინ, როცა სხვა რესურსით ამას ვერ მივაღწიეთ. მაგრამ დასჯა არ უნდა ვნებდეს ბავშვის არც ფიზიკურ, არც ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ეს უნდა ხდებოდეს მისი დამცირების გარეშე. მას უნდა ვუთხრათ, რომ ცუდად მოიქცა და არა ის, რომ იგი ასეთი ცუდია. უნდა ვუთხრათ, რომ სიზარმაცე გამოიჩინა და არა ის, რომ ზარმაცია. თუ მათ ვსჯით იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, ჩვენ რა „მაგრები“ ვართ და მათზე ძალაუფლება მოვიპოვოთ, ეს ძალადობაა და შედეგს ვერასოდეს მოიტანს. შეაქეთ მოსწავლეები, როდესაც ამას იმსახურებენ და ნუ დაინახავთ მხოლოდ ცუდ მხარეებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავსაჯოთ ბავშვი შრომის ან სწავლის დოზების მომატებით. მას შესძულდება ერთიც და მეორეც. არსებობს უფრო მარტივი გამოსავალი: არ შევუსრულოთ რომელიმე სურვილი – მაგალითად, ექსკურსიაზე წასვლაზე ვუთხრათ უარი. ის შეეცდება, მომავალში უკეთესი გახდეს“.



დასჯასთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თუმცა ექსპერტთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ბოლო პერიოდში აშკარად იკვეთება, რომ წამახალისებელი მეთოდებით მოსწავლეთა ქცევის მართვა გაცილებით ეფექტურ შედეგს იძლევა. სკოლებში დასჯის წინააღმდეგია *ფსიქოლოგი* **ნანა ჩაჩუა.**

„პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რა მოიაზრება დასჯაში. დასჯის მიზანი უნდა იყოს ის, რომ ბავშვში გააჩინოს ადეკვატური დამოკიდებულება მოვლენების მიმართ, ანუ გაზარდოს პასუხისმგებლობა სოციუმთან მიმართებაში. დასჯის ის მეთოდები, რომლებიც ადრეულ პერიოდში სკოლაში გვხდებოდა (მათ ზოგჯერ დღესაც მიმართავენ): ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ნიშნის დაკლება, გაკვეთილიდან გაძევება, მშობლებთან დასმენა, სკოლიდან გაგდება და ასე შემდეგ, მიუთითების იმაზე, რომ მასწავლებელი საჭირო მექანიზმს ვერ პოულობს. ის ვერ ახერხებს, ბავშვი მოზრდილის როლში შეიყვანოს და ვერ ზრდის მასში პასუხისმგებლობას, რადგან თავად მასწავლებელი არ იმყოფება მოზრდილის როლში. იგი იმყოფება მშობლის, ანუ მენტორის როლში – მიმთითებლის, დამსჯელის, ერთპიროვნული ძალაუფლების მქონე პერსონის როლში. ასეთი ურთიერთობა პროდუქტიული არასდროს იქნება. ურთიერთობა მაშინ არის შედეგიანი,

> **პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს სანქციების კოდექსი. თუ მასწავლებელი სანქციას ანგარიშსწორების მიზნით იყენებს, ეს დამღუპველია.**

თუ ადამიანებს შორის დისტანცია კი არ იზრდება, არამედ მცირდება. რაც უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს მასწავლებლები და მოსწავლეები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ცხადია, ურთიერთობაც გაცილებით პროდუქტიულია.

რა არის ასეთი ურთიერთობების მექანიზმები? – რამდენად ვიცნობ მე ჩემს თავს, როგორც პედაგოგი და რამდენად ვიცნობ ბავშვს. თუ ვიცნობ საკუთარ თავს და მისი მართვა შემიძლია, თუ ვიცი, რა ინტერესები, პრობლემები და მოთხოვნები აქვს ბავშვს, მაშინ ჩვენ გახსნილი ურთიერთობა გვაქვს და იგი აუცილებლად პროდუქტიული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგს ვერ მივაღწევთ. პედაგოგობა, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ მასწავლებელს ჰქონდეს როგორც მაღალი კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, ასევე იცოდეს ფსიქოლოგია. ზემოთ ჩამოთვლილი დასჯის არცერთი მეთოდი არ შეესაბამება ამ მოთხოვნას და სრულიად მიუღებელია.

დასჯა ძალიან პირობითი ცნებაა. როდესაც ბავშვი ცუდად იქცევა, მასწავლებლებმა დამატებით ღონისძიებებს უნდა მიმართონ მშობლებთან, მერე კი ორივე მხარემ ერთობლივად – მოსწავლეებთან, ანუ ჩვენ უნდა „დავისაჯოთ“ და მეტი ვიშრომოთ ბავშვებთან ურთიერთობაში“.

დისციპლინური სასჯელის მეთოდებზე საუბრისას ექსპერტები ამბობენ, რომ სასურველია სკოლაში წახალისების მრავალფეროვანი მეთოდების არსებობა, არა მხოლოდ მოსწავლის, არამედ მთელი კლასის დადებითი ქცევის წახალისების მიზნითაც. ასეთი მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს საკლასო ერთობის შექმნას და განსაკუთრებით ეფექტურია დაწყებით და საბაზო საფეხურზე. სკოლაში ასევე უნდა არსებობდეს დასჯის შეთანხმებული პირობები და ფორმები. მთავარია, რომ ისინი პედაგოგიური თვალსაზრისით იყოს გამართლებული და არ ეწინააღმდეგებოდეს ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციას და ადამიანის უფლებების დამცველ სხვა ფუნდამენტურ დოკუმენტებს.





## ერთი გაკვეთილი

# ორ ენაზე

**ქვემო ქართლში ბილინგვური სწავლების დანერგვა დაიწყეს. მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები მშობლიურთან ერთად სახელმწიფო ენასაც ითვისებენ.**

მანანა ხიდაშელი



ლია თუშური

მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის პირველკლასელებს დღეს ფიზკულტურა ქართულად უტარდებათ. გაკვეთილს ორმაგი დატვირთვა აქვს: მოსწავლეებმა, სხეულის გავარჯიშებასთან ერთად, ნათესაობითი ბრუნვა უნდა გაითავისონ. საამისოდ პედაგოგმა ელზა სიხარულიძემ თამაში „ვისი სული გსურს“ შეარჩია. ორ გუნდად დაყოფილი ბავშვები ერთმანეთის პირისპირ დგანან. ერთ-ერთი მოთამაშე მოწინააღმდეგე გუნდს ეკითხება: „ვისი სული გსურს“? „მალხაზის სული, ნინოს სული, ნარგილასი, აფიკის...“, – პასუხობენ იქიდან. ამ თამაშს ისინი გასულ კვირასაც თამაშობდნენ, ოღონდ რუსულად. 45 წუთის შემდეგ ბავშვების უმრავლესობა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს სრულყოფილად იყენებს.

უკვე მესამე წელია, ამ სკოლაში ორენოვანი, ანუ ბილინგვური სწავლება მიმდინარეობს. მათემატიკა, ბუნება, ფიზკულტურა, შრომა და სიმღერა ბავშვებს ჯერ რუსულ, შემდეგ კი ქართულ ენაზე უტარდებათ. დაწყებით კლასებში ბილინგვური სწავლების სპეციალისტმა, პედაგოგ-

მა მაია ბიწურაძემ მათემატიკის გაკვეთილზე ჟესტებიც მოიშველია. ზეპირი ანგარიშის დროს პლიუს-მინუსის, ტოლობის და მეტ-ნაკლებობის ნიშნებს ბავშვები ჟესტებით წარმოადგენენ. მათი დახმარებით წრეწირს, წრფეს, სამკუთხედს, ოთხკუთხედს და მრუდს მთელი კლასი ხშირად ერთად ასახიერებს. მეორე კლასელებისთვის ეს ფიზიკური განტვირთვაც არის.

უფროსკლასებში კი ქართული სიმღერის გაკვეთილები სარგებლობს დიდი პოპულარობით. მოსწავლეები ათობით ქართულ სიმღერას ასრულებენ, რომლის შინაარსიც სრულფასოვნად ესმით. განსაკუთრებული სიამოვნებით ისინი აჭარულ სიმღერებს მღერიან. მსუბუქი აქცენტი, რომელიც მათ საუბრისას ემჩნევათ, სიმღერის დროს აღარ იგრძნობა.

ქვემო ქართლში ბილინგვურ სწავლებას საფუძველი მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ლია თუშურმა ჩაუყარა.

**ლია თუშური,** *მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი:* „2004 წელს მონაწილეობა მივიღე განათლების სამინისტროს კონკურსში – „მომავალი იწყება დღეს“. კონკურსის მიზანი ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება იყო. მაშინ სადახლოს პირველ საჯარო სკოლაში გამგზავნეს. იმ პერიოდში ქართულ ენას კვირაში სამი საათი ეთმობოდა. აღმოჩნდა, რომ ასეთი სიხშირით და არსებული სახელმძღვანელოებით სწავლებას შედეგი არ ჰქონდა.


პირველად იქ მოვსინჯეთ და ფიზკულტურის, ხატვის, შრომის და ხელგარჯილობის გაკვეთილებს ქართულად ვატარებდით. ამ გაკვეთილებისთვის გამოყოფილი დრო კვირაში 9-10 საათს აღწევდა. მოგვიანებით სწავლების ეს მეთოდი მათემატიკაშიც დავნერგეთ. მერე ეს ექსპერიმენტი ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელს გავაცანი. იდეა ძალიან მოეწონა და ქალაქ მარნეულის ოც სკოლაში ბილინგვური სწავლება შემოვიღეთ. ასეთი ტიპის სწავლებისას ერთ საგანს ორი მასწავლებელი სჭირდება. თითოეული საგანი კვირაში ორჯერ მშობლიურ ენაზე ტარდება, რათა ახალი მასალის ახსნა ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე მოხდეს. მერე კი მშობლიურ ენაზე მოსმენილ მასალას ბავშვები ქართულად იმეორებენ. უკვე სამი წელია, ამ ექსპერიმენტს ვაკვირდებით და აღმოჩნდა, რომ ბილინგვურ კლასებში კონკრეტული საგნის მოსწრება გაცილებით მაღალია.

ბილინგვური მეთოდი ახლა ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში გვინდა, მოვსინჯოთ. უკვე სამი თვეა, სპეციალისტი მასაწავლებლებს ტრენინგებს უტარებს. რამდენიმე თვის წინ ჩავატარეთ კვლევა, რომელ გაკვეთილზე ისწავლეს ბავშვებმა უფრო მეტი ახალი სიტყვა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ადვილად სიტყვებს სიმღერის დროს იმახსოვრებენ.

ბილინგვური სწავლების დროს სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მათემატიკის წიგნს ისე ვადგენთ, რომ ამოცანაში მითითებული სიტყვები ბავშვს ქართულად ჰქონდეს ნასწავლი. აზერბაიჯანულსა და ქართულში 800-მდე საერთო სიტყვაა, აქედან 400 ინტენსიურ ხმარებაშია. ამას თუ საერთაშორისო სიტყვებს დავუმატებთ – ტელეფონი, ტელევიზორი და სხვა, გამოდის, რომ პირველკლასელი ათასამდე ქართულ სიტყვას ფლობს. თითოეული გაკვეთილის მასალის შედგენისას საერთო სიტყვებს ვარჩევთ, მაგალითად: ბალიში, ალბომი, გემი, იალქანი, ამანათი საათი...

ამ რეგიონში მშობლებს დიდი სურვილი აქვთ, ბავშვებს სახელმწიფო ენა ასწავლონ. ეს სკოლა თავიდან







რუსული იყო და კონტინგენტი დღითი დღე მცირდებოდა. ბილინგვური სწავლების დანერგვის შემდეგ კი მოსწავლეები სხვა რაიონებიდანაც დადიან.“

საქართველოში მრავალენოვანი ანუ მულტილინგვური სწავლება 2006 წელს ეუთოს მხარდაჭერით, შვეიცარულმა ორგანიზაცია „სიმერამ“ განახორციელა. პროექტი, რომლის სახელწოდებაა „მრავალეროვანი განათლება“, ორ წელზე იყო გაწერილი. მის ფარგლებში 140-მდე მასწავლებელი და ექსპერტი გადამზადდა. მულტილინგვური სწავლების პილოტირება სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის იმ რეგიონებში მოხდა, რომლებიც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურადაა დასახლებული. მასში 12 საჯარო სკოლა და 580 პირველკლასელი და მეორეკლასელი მოსწავლე ჩაერთო. ექსპერტების შეფასებით, ეს პროექტი წარმატებული აღმოჩნდა.

2008 წელს კი განათლების სამინისტრომ მულტილინგვური სწავლების უფრო ფართოდ დანერგვა გადაწყვიტა. ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარიატის დაფინანსებით, საქართველოში ჩამოსულმა ექსპერტებმა სპეციალური კონცეფცია შეიმუშავეს. კონცეფციას, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების საშუალებით“, თან ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა ახლავს.

**რუსუდან ჭანტურია**, *განათლების სამინისტროს სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამების კოორდინატორი:* „ადრე სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდასაჭერად განათლების სამინისტრო სახელმწიფო ენის შესწავლაზე იყო ორიენტირებული. ახლა კი ძირითადი აქცენტი მულტილინგვურ განათლებაზე კეთდება.

სამინისტროს მრავალენოვანი სწავლების ექვსწლიანი გეგმა აქვს. თუ როგორ მოხდება მისი განხორციელება, თითოეულ სკოლაზეა დამოკიდებული. სამინისტრო პროგრამების შესამუშავებლად მათ ნიმუშებსა და ინსტრუქციებს მიაწვდის, გააცნობს საერთაშორისო გამოცდილებას. პროგრამას კი თავად სკოლა შეიმუშავებს, რომელსაც დასამტკიცებლად სამინისტროს წარუდგენს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 400 მასწავლებლის გადამზადება, რეგულაციების და რეგისტრაციის მექანიზმების შემუშავება, ორგანიზაციული უნარ-ჩვევების გაძლიერება მულტილინგვური განათლების განსახორციელებლად, სკოლებისთვის დამატებითი სასწავლო მასალების მომზადება, მულტილინგვურ სწავლებაზე საზოგადოების ინფორმირებულობის გასაზრდელად პროექტების განხორციელება, საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების მომზადება და სხვა.


საქართველოში ამჟამად 409 არაქართულენოვანი სკოლაა. მულტილინგვური სწავლების პილოტირება კი 40 არაქართულენოვან სკოლაში დაიწყო.

პროგრამის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მულტილინგვური სწავლების პროგრამების ნიმუშებს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის შეიმუშავებს. ასევე მოამზადებს სახელმძღვანელოებს და დამატებით სასწავლო მასალებს, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში დარიგდება.“

მულტილინგვური განათლება, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს განათლების როგორც მშობლიურ, ასევე სახელმწოფო ენაზე მიღების საშუალებას აძლევს. მშობლიურ ენაზე განათლების მიღება მათ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოვლენისთვის სჭირდებათ. სახელმწიფო ენის ცოდნა კი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და შრომით ბაზარზე დასაქმებისთვისაა აუცილებელი. მრავალენოვანი განათლების ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ იგი ხელს უწყობს ინტერკულტურული ჩვევების ჩამოყალიბებას და ტოლერანტობის განვითარებას, რაც მრავალეთნიკურ ქვეყანაში მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა.



# ნაირა გელაშვილი:
# თუ სკოლა არ შეიცვალა...



**ეს ამონარიდია ნაირა გელაშვილის მოთხრობიდან „ჩვენება“. საუკეთესო მინიშნება და საჩვენებელი გაკვეთილია მასწავლებლებისთვის. თითქოს მწერალმა ამით მათ ყველაფერი უთხრა.**

**გიფიქრიათ ოდესმე, რომ შესაძლოა მასწავლებელი ყოფილიყავით?**

მთელი ცხოვრების მანძილზე, სკოლის ასაკიდან მოკიდებული, მასწავლებლის პროფესიას ყველაზე რთულ პროფესიად აღვიქვამდი. დღეს, მითუმეტეს, გადაწყვიტო მასწავლებლობა და ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვე – ეს სამოქალაქო გმირობაა. თანდათანობითი სწავლების პროცესი ძალიან რთულია. მე ამას ვერასდროს შევძლებდი. წარმოიდგინეთ, რამდენ ბავშვთან გიხდება ურთიერთობა. თითოეული მათგანი მთელი სამყაროა და ფაქიზი, ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. თითოეულზე ცალ-ცალკე უნდა იფიქრო. სამუშაო დრო მხოლოდ სკოლაში ყოფნის დროით არ ამოიწურება, მასწავლებელი ლამის 24 საათი ბავშვსა და სკოლაზე ფიქრობს. სხვაგვარად არაფერი გამოგივა.

სკოლის მასწავლებელთან ერთად მოვიაზრებ საბავშვო ბაღის აღმზრდელსაც. სკოლა და ბაღი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ოჯახის შემდეგ ეს ორი უმნიშვნელოვანესი მიკროსამყაროა, სადაც ყალიბდება ბავშვის ცნობიერება, რომლის შეცვლაც მერე თუ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელია.

**თქვენი დროის სკოლა როგორი გახსოვთ? მასწავლებლებმა თუ იცოდნენ, რომ წერდით?**

საშუალო სკოლიდან გამყვა მხოლოდ ერთადერთი მასწავლებელის ნამდვილი სიყვარული და რამდენიმე მათგანის პატივისცემა. კარგი მასწავლებელი ჩემს დროშიც იშვიათობა იყო. სკოლა არ მიყვარდა, კოშმარად დამრჩა, და დღესაც, როცა იმ შენობისკენ ჩავლა მიხდება, მისკენ არ ვიხედები. და ეს იმიტომ არა, რომ იქ რაღაც განსაკუთრებული ექსცესები ხდებოდა, უბრალოდ, ტიპიური საბჭოთა სკოლა იყო, ათეისტურად უსულგულო და არანამდვილი.

იმ დროს არ ვწერდი. შეიძლება, დიდი, დიდი, ერთი-ორი ლექსი მქონოდა დაჯღაბნილი. ერთმა მასწავლებელმა, რომელმაც გაიგო ჩემი „პოეტობის“ შესახებ, ლექსის დაწერა შემიკვეთა. ერთ ცნობილ პოეტს უწყობდნენ შეხვედრას და სკოლას უნდოდა, მოწაფის შემოქმედებით თავი მოეწონებინა. მეც ავდექი და რაღაც, იმ პოეტის განმადიდებელი დავწერე. როგორც მახსოვს, დიდი სისულელე გამოვიდა. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შემოქმედებითი კომპრომისი, რაც სხვათა შორის, ძალიან უსიამოვნოდ მახსენდება ხოლმე.

**დღევანდელ სკოლაზე რას იტყვით?**

ნატო ინგოროყვა



**ნაირა გელაშვილი,**
*მწერალი, ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის, „კავკასიურ სახლის“ ხელმძღვანელი*

**მთელი ცხოვრების მანძილზე, სკოლის ასაკიდან მოკიდებული, მასწავლებლის პროფესიას ყველაზე რთულ პროფესიად აღვიქვამდი. დღეს, მითუმეტეს, გადაწყვიტო მასწავლებლობა და ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვე – ეს სამოქალაქო გმირობაა.**

სკოლასთან შეხება მქონდა, როგორც მშობელს, როცა ჩემი გოგონა სწავლობდა და ახლაც მაქვს, როგორც ბებიას: ჩემი შვილიშვილი მოსწავლეა. ბევრი არაფერი შეცვლილა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგ სკოლაში, თუნდაც იქ, სადაც ჩემი შვილი სწავლობდა, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა უფრო უშუალო, ბუნებრივი და სახალისო გახდა. მასწავლებელი მოსწავლეს დაუმეგობრდა. ოღონდ არასაინტერესო სახელმძღვანელოებისა და სუსტი მასწავლებლების პრობლემა ისევ უმთავრესია. პედაგოგიკა ძალიან რთული სფეროა. მას უჭკვიანესი ადამიანები ქმიდნენ. ის ერთდროულად გულისხმობს ცოდნას და სწავლების ხელოვნებას. მასწავლებელი შემოქმედებითი, არტისტული პიროვნება უნდა იყოს. მით უფრო დღეს, როცა ინტერესი სწავლისა და წიგნისადმი უკიდურესად დაქვეითებულია. წიგნსა და ცოცხალ ბუნებას ხომ კომპიუტერი და ტელევიზორი ჩაენაცვლა. ამით ბავშვის ფსიქიკა არნახული წნეხის ქვეშ მოექცა... კომპიუტერიცა და ტელევიზიაც ნარკოტიკებადაა ქცეული, ასეთი დოზით და ასეთი შინაარსით ისინი ყველას ფსიქიკას ასახიჩრებენ. და ისედაც, ჩვენს ტელევიზიებს ხომ არც ადამიანისათვის სასიკეთო კონცეფცია გააჩნიათ, არც იდეა და არც მორალი.

თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ არის. ჩემი გერმანელი მეგობრები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტი და ტელევიზორი მოწაფისა და მასწავლებლის უბედურებად იქცა.

დღეს მასწავლებელს ისეთი ხელშეწყობა სჭირდება, როგორც არასდროს. სახელმწიფომ პირდაპირ ხელის გულზე უნდა ატაროს კარგი პედაგოგები: სკოლის მასწავლებლები თუ საბავშვო ბაღის აღმზრდელები. დღეს ხომ განსაკუთრებულად რთული ბავშვები მოდიან. დიდი თანხა უნდა ჩაიდოს მასწავლებელთა მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში. მასწავლებელი განუხრელად უნდა ივსებდეს და იახლებდეს ცოდნას, ბევრს კითხულობდეს. უნდა არსებობდეს ძალიან კვალიფიციური, პატარა კომისია, რომელიც განსაზღვრავდა იმ ახალ მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც აუცილებლად უნდა აითვისოს მასწავლებელმა. სკოლის ბიბლიოთეკები უნდა მუდამ მარაგდებოდეს ასეთი ლიტერატურით. შემდეგ რეგულარულად უნდა ხდებოდეს მასწავლებელთა ტესტირება, საუკეთესოთა ფინანსური და ყველანაირი წახალისება. რა კარგი იქნებოდა, იმის შესაძლებლობა რომ არსებობდეს, რომ მასწავლებელი სხვა ქვეყნის პედაგოგიურ გამოცდილებას იმ ქვეყანაში გაეცნოს. განათლებაში ჩადებული თანხა ხომ მომავლის შენობის მთავარი აგურია.

**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების გარდა, რას უნდა ასწავლიდეს სკოლა? როგორ ვასწავლოთ მოზარდს ტოლერანტობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა?**

როცა მთლიანად მოშლილია აღზრდის სისტემა და ვისაც როგორ უნდა, ისე ზრდის შვილებს, ამ ვითარებაში მასწავლებელზე უზომოდ დიდი დატვირთვა მოდის.

ბავშვების არასწორი აღზრდის შედეგია სწორედ ვერშემდგარი სახელმწიფო, აგრესია განსხვავებული რელიგიისა და ნაციონალობის მიმართ, პოლიტიკური იფანტილიზმი, ეკონომიკური კრიზისი და საერთოდ, ყველანაირი კრიზისი. ეს ძირითადად ოჯახების მარცხია. შინაგანად ცარიელი, ყოველგვარი მაღალი პრინციპებისაგან დაცლილი, არეული ოჯახებიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ვერ აშენებენ ქვეყანას. მოკლედ რომ ვთქვა: ქვეყნის ფიასკო ეს დედებისა და მასწავლებლების ფიასკოა.

საბავშვო ბაღის, სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ნორმალური მოქალაქის აღზრდა, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული თავის ქვეყანაზე, აქვს პროფესიული ცოდნა, კანონიერების შეგრძნება და ზნეობრივი კოდექსი.

მასწავლებელი უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც ენდობიან და პატივს სცემენ. მან ეს პატივისცემა უნდა დაიმსახუროს. ამისთვის მხოლოდ საგნობრივი ცოდნა არ არის საკმარისი, ის ამავდროულად მოსწავლის თანამოაზრე და მეგობარი უნდა გახდეს. მან უნდა იცოდეს ის სამყარო, რომელშიც მისი მოწაფე ცხოვრობს.

**როგორ ფიქრობთ, მოზარდები კითხულობენ წიგნებს? რაიმე საიდუმლო ხომ არ იცით მათი წიგნისკენ მიბრუნებისთვის?**

ბავშვები, მოგეხსენებათ, არც ერთ ეპოქაში არ გიჟდებოდნენ სწავლაზე. გასაგებია: განა თამაში არ ჯობია სწავლას?

მაგრამ დღევანდელ ბავშვს სწავლისა და წიგნისადმი ინტერესი მაინც განსაკუთრებულად აქვს დაქვეითებული. ბავშვებს ნერვები აღარ ყოფნით, არ ეხალისებათ თავს ძალა დაატანონ ცოდნის მოსაპოვებლად. ამას მრავალი მიზეზი აქვს და ყველა ამ მიზეზს ფესვი ჩვენი ძალიან ძნელი ეპოქისა და სინამდვილის სიღრმეში აქვს გადგმული.

ამიტომ დღეს სახელმძღვანელო განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს, რომ ბავშვს თავი წააკითხოს. არ არსებობს არასაინტერესო საგნები (მე მაგალითად, სკოლაში ყველანაირი გრამატიკა მიყვარდა), არსებობენ არასაინტერესო მასწავლებლები და არასაინტერესო სახელმძღვანელოები. სამწუხაროდ, ის „ახალი“ სახელმძღვანელოები, რაც მე მინახავს, მოძველებული, დროში ჩარჩენილი, სტერეოტიპული, არაცოცხალი ენითაა დაწერილი. ასეთი წიგნი ბავშვს საერთოდ შეაძულებს სწავლას.

სწავლა-განათლების უდიდესი შედეგი სამყაროს მიმართ დაუცხრომელი ინტერესის, მისდამი და ყოველი ცოცხალი არსებისადმი ეთიკური მიმართების, ცოცხალი აზროვნებისა და ცხოვრებაში ორიენტაციის უნარის გამომუშავება უნდა იყოს.

**თქვენი აზრით, რატომ ამთავრებენ ჩვენთან სკოლას „ბავშვები“, რომელთა დიდი ნაწილის ნაცვლად პროფესიას მშობელი ირჩევს?**

იმ საზოგადოებაში, სადაც აღზრდა არც იციან და არც საჭიროდ თვლიან მის ცოდნას, როგორც წესი, ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა ინფანტილურია. ან ძალიან გვიან აღწევს შინაგან მოწიფულებას, ან საერთოდ ვერასოდეს ხდება ზრდადასრულებული.

ქართველი მშობელი ტრადიციულად ძალიან ავტორიტარულია, ყველაფერი თვითონ უნდა გადაწყვიტოს და შვილსაც გამუდმებით ყველაფერი უკარნახოს. (საერთოდ, ტრადიციული აღზრდა ადრე მთელ მსოფლიოში ავტორიტარული იყო). ბავშვის მუდმივი მართვის სურვილი კი მას დამოუკიდებლობას უკარგავს. ეს პირველ რიგში ეხება ბიჭებს. საკუთარ თავში დაურწმუნებელი, პასუხისმგებლობის ტარებას მიუჩვეველი, ანუ ინფანტილური ადამიანი კი ძალიან საშიშია, მას სურს საზოგადოებასაც და საკუთარ თავსაც ძლიერად მოაჩვენოს თავი, და ადვილად მიმართავს იარაღს, ან პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ ისწრაფვის, ან, აქაოდა, ნახეთ, რა ყოჩაღი ვარო, წითელ შუქზე გაატარებს მანქანას, და საერთოდ, ყველანაირი წესების დარღვევას ცდილობს. სოფელში გაზრდილებს ეს ნაკლებად ეხებათ, რადგან ბავშვობიდანვე ფიზიკური შრომა უწევთ. სოფლის ტრადიციულ ოჯახებში ბავშვებს არ ანებივრებდნენ და არ ატუტუცებდნენ, და ბიჭებიც უფრო ზრდადასრულებულები იყვნენ და არიან. თუმცა, ახლა სოფლებშიც მოდებულია ნარკომანია, რაც ქვეყნის საერთო კრიზისის შედეგია.

**როცა მწერლობა თქვენი ცხოვრების საქმე გახდა, საკუთარი მასწავლებლები ხომ არ გიქცევიათ ნაწარმოებების პერსონაჟებად?**

ძნელია სკოლის პერიოდზე წერა. ავტობიოგრაფიულ რომანში „სარკის ნატეხები“, რომელშიც მოზაიკური პრინციპით არის დალაგებული ცხოვრებისეული ეპიზოდები, მაქვს ერთი მოთხრობა – „ელვის პრესლი, შავი ყავა და ეკლესია“. ამ მოთხრობაში 60-იანი წლების საბჭოთა სკოლის დამთრგუნველი სინამდვილეა ასახული.

**ქალბატონო ნაირა, რას ურჩევდით, რას შესთავაზებდით სკოლასა და მასწავლებლებს?**

დიდმა ავსტრიელმა მწერალმა და მოაზროვნემ, რაინერ მარია რილკემ, 20-ე საუკუნის დასწყისში, გერმანული სკოლის შესახებ თქვა, თუ ეს სკოლა არ შეიცვალა, ამ ქვეყანას კატასტროფა არ ასცდებაო. ისე კეთილად აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ეს სიტყვები ახდა. გერმანული სკოლა ვერ შეიცვალა და მისმა აღზრდილებმა მოიტანეს პირველი და მეორე მსოფლიო ომი. ჩვენც იგივე იგივე შეგვიძლია ვუთხრათ საკუთარ თავს: თუ არ შეიქმნა ნორმალური ქართული სკოლა, ეს ქვეყანა კიდევ მრავალ განსაცდელში გაებმება.

როგორც უკვე ვთქვი, ქვეყნის წარუმატებლობის მიზეზი უპირველესად ოჯახში, საბავშვო ბაღსა და სკოლაში უნდა ვეძიოთ. სახელმწიფომ უდიდესი რესურსები უნდა გადაისროლოს ამ მიმართულებით. სასურველია, ევროპული საბავშვო ბაღებისა და სკოლების გამოცდილებაც გავითვალისწინოთ.

ჩემს სიახლოვეში მდებარე ერთ საბავშვო ბაღს ვაკვირდები ხოლმე. მთელი წლის განმავლობაში დღედაღამ იმას ახმარენ დროსა და ენერგიას, რომ წლის ბოლოს საჩვენებელი კონცერტი ჩაატარონ მშობლებისთვის და თან... ინგლისურ ენაზე. ქართული ენა აღარ ეკადრებათ, ვითომ ბრწყინვალედ ფლობდნენ! თითქოს ქართული სპექტაკლის დადგმა მარტივი იყოს...

რაც მთავარია, ამ ბაღს აქვს ყოვლად მოუწესრიგებელი და დაუგველი ეზო. და არავინ ასწავლის ამ ბავშვებს სისუფთავის დაცვას, ეზოსა და გარემოს მოვლას, ყვავილების დარგვას და ა.შ. (არ გაგონებთ ეს ბაღი ჩვენს ქვეყანას?). ჰო, ძალიან კარგი იქნებოდა, ყველა ბაღსა და სკოლას თავისი ნაკვეთი ჰქონდეს, სადაც მოსწავლეები შრომას და მიწასთან ურთიერთობას მიეჩვევიან.

ადრე სოფლის სკოლებს ჰქონდათ ასეთი ნაკვეთები და იქ მშვენიერი მოსავალიც მოჰყავდათ, რომელსაც შემდეგ კარგად იყენებდნენ სკოლის სასადილოში. უცხოელები აღფრთოვანდებან ხოლმე, როცა იგებენ, რომ ადრე ასეთი ტრადიცია არსებობდა.

მასწავლებელი საგნის სწავლებასთან ერთად მოქალაქეობასაც უნდა ასწავლიდეს. უპირველესად ადამიანები უნდა ავღზარდოთ და შემდეგ – სპეციალისტები. როცა მასწავლებელი ხედავს, რომ სახელმძღვანელო უინტერესოა, სხვადასხვა ლიტერატურის ჩანაცვლებით და შემოქმედებითი მიდგომებით უნდა სცადოს, საინტერესო გახადოს გაკვეთილი. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ ესა თუ ის საგანი რაღაც განყენებული რამ კი არაა, არამედ უშუალოდ უკავშირდება იმ პრობლემებს, რომლებიც მას ცხოვრებაში შეხვდება. ზოგჯერ გაკვეთილის ნაცვლად კარგი იქნება, თუ მასწავლებელი რაღაც საინტერესოს მოუყვება ბავშვებს, თუნდაც საკუთარი ცხოვრებიდან, მაგალითად, თუ თვითონ რა პრობლემების წინაშე იდგა მათ ასაკში და როგორ ართმევდა მათ თავს. ან მოულოდნელად რაღაც მუსიკას მიიტანს მოსასმენად, ან ფილმის ჩვენებას მოაწყობს, თუკი ამისი შესაძლებლობა არსებობს. და მერე მთელი კლასი ისაუბრებს მოსმენილსა და ნანახზე. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მასწავლებელმა იცის ის, რაც მას აინტერესებს და მისი თანამოაზრეა.

ბავშვებთან დაახლოების კარგი გზაა ერთობლივი ექსკურსიები (მაგრამ არა ისეთი სამარცხვინო, დღეს რომ ეწყობა: მიდიან სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოწაფეები და მასწავლებლები სადმე, ბუნების წიაღში და ნაჭამ-ნარჩენით ავსებენ იქაურობას, ღვთის შექმნილ წალკოტს საღორედ გადააქცევენ და კმაყოფილები ბრუნდებიან შინ). სკოლაში მყავდა ისტორიის მასწავლებელი, რომელსაც ნამდვილად პატივს ვცემდი – პეტრე თუმანიშვილი. ერთხელ მან მეოთხე კლასში პირველად წაგვიყვანა ექსკურსიაზე არაგვის ხეობაში. სადილობას რომ მოვრჩით, ბავშვები წამოვცვივდით. მახსოვს, როგორ მიგვაბრუნა უკან და გვითხრა, ახლა აქაურობა ისე უნდა დავასუფთავოთ, თითქოს აქ არც ვყოფილვართო. ეს არაჩვეულებრივად საინტერესო ამოცანად მოგვეჩვენა: ჩვენი კვალი არ უნდა დაგვეტოვებინა. არასდროს დამავიწყდება, პატარა თითებით ბალახის ძირებიდან როგორ ვიღებდით მოხარშული კვერცხის ციცქნა ნაჭუჭებს. გავაკრიალეთ იქაურობა. ამ დღემ ღრმა კვალი დატოვა ჩემში: მე გავიგე სამყაროში მოქცევის უმნიშვნელოვანესი წესი (არაფერი დააზიანო, არსად დატოვო მახინჯი კვალი), თავი სასარგებლო ადამიანად ვიგრძენი და საკუთარი პიროვნებისადმი პატივისცემის განცდა დამეუფლა.



## ცხრა მთას იქით, ან აქვე –

# როგორ დავგეგმოთ ექსკურსია

„მასწავლებელი“ მეათეკლასელებთან ერთად ექსკურსიაზე წავიდა, მერე კი „გამოცდილება“ ექსპერტებთან ერთად შეაჯამა.

**სწავლის დამთავრებასთან ერთად ექსკურსიების სეზონიც დაიწყო. ახლა ყველა სადღაც მიდის, ან უკვე წავიდა და ჩამოვიდა. ყოველი ექსკურსია ერთმანეთს ჰგავს და როგორც წესი, ვიღაცის დაგვიანებით იწყება.**

თეა თოფურია

ჯგუფი, რომელსაც „მასწავლებელი“ გაჰყვა, წინანდლისკენ 8 საათზე უნდა დაძრულიყო, მაგრამ რუსკამ დაიგვიანა და ამის გამო 9-ზე ძლივს დავიძარით. რუსკა მეათეკლასელია, სკოლა-ლიცეუმ „აია-დან“. ექსკურსიაზე კიდევ თხუთმეტამდე მისი კლასელი მოდის, მოაქვთ ბურთი და წყლიანი ბოთლები საწუწაოდ. მათი მარტო დატოვება კარგი აზრი არ იქნებოდა, შესაბამისად, რამდენიმეს მშობელიც მოჰყვება, ჯგუფს კი – რა თქმა უნდა, მასწავლებელიც ახლავს.

ექსკურსიაზე ხშირად სამარშრუტო ტაქსითაც დადიან, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ავტობუსს მაინც არაფერი შეედრება. მართალია, უფრო ნელა მოძრაობს, მაგრამ მეტი ჰაერია.

„ეს ჩემი სკამია, აქ მე ვჯდები...“ – ვითომ ადგილები დაიკავეს. სინამდვილეში, სკამებს ყოველ ხუთ წუთ-

ში იცვლიან, ყველა ერთხმად ლაპარაკობს და ყურთასმენა არ არის. მძღოლები, რომლებსაც ხშირად უწევთ მოზარდების ექსკურსიაზე წაყვანა, ხმაურს დიდი ხანია შეეჩვივნენ. ეს ბავშვებისთვის გართობაა, შესვენებაა, რომლის ბოლოს ზარი არ დაირეკება და გაკვეთილი არ დაიწყება.

თუმცა ამ ბავშვებს წინ და უკან სიარული არ აკლიათ. ამასწინათ კაბადოკიაშიც იყვნენ, ტაო-კლარჯეთიც მოიარეს. ახლა კახეთისკენ აქვთ გზა. აქ უფრო იოლადაა საქმე. ის მაინც იცი, ცხელი შოთი სად იყიდება.

– ცოტა იქით კაი თონეა, მასწ.

მაინცდამაინც არც რუკა გჭირდება.

– ყველაწმინდის მონასტერში აქ უნდა ავუხვიოთ.

ავტობუსი აღმართზე მიხოხავს. ყველაწმინდის ტაძარი ორგუმბათიანია და უმეტესად ამით იცნობენ. მონასტერში ათი ბერი მოღვაწეობს. ერთ-ერთი ტაძართან გვხვდება.

– ტაძრის მეორე ნაწილში არ გადახვიდეთ, გუშინ აგურები ჩამოცვივდა, – აფრთხილებს ბავშვებს, რომლებიც უკვე ლამის სახურავზე არიან ასულები.



ცოტა ხნის შემდეგ ავტობუსი თავდაღმართში მოჩაქჩაქებს.

წინანდალში მოვედით.

ბავშვებს მუზეუმის დათვალიერება უნდათ, მაგრამ წინანდალში სიურპრიზია: ჭიშკართან ასამდე კაცია შეკრებილი და ყველა აბრას ათვალიერებს. მასზე მომსახურების თანხაა მითითებული. ექსკურსიების ხელმძღვანელები უკმაყოფილოები არიან, თითოეული ჯგუფის შესვლას წინ ნახევარსაათიანი ჩხუბი უსწრებს.

უჩხუბრად ვერც ჩვენ შევედით.

– აქ წერია, რომ მუზეუმის დათვალიერება კაცზე 3 ლარი ღირს, გადავიხდით კაცზე 3 ლარს და შეგვიშვით მუზეუმში.

– ბაღის დათვალიერების თანხაც უნდა გადაიხადოთ.

– არ ვაპირებთ ბაღის დათვალიერებას.

– ჰო, მაგრამ მუზეუმში რომ მოხვდეთ, ბაღი ხომ უნდა გაიაროთ?!

– მუზეუმამდე მისვლა და დათვალიერება ერთია? თუ ერთია, მაშინ ცალკე სერვისად რატომ გიწერიათ.

– ასეა, სხვანაირად ვერ შეგიშვებთ.

– კარგი, ამ სამ ლარში გიდიც მოგვემსახურება?

– არა, გიდისთვის ცალკე გადასახადია.

– აბა, მუზეუმი გიდის გარეშე როგორ უნდა დავათვალიერო? დამალაპარაკეთ ადმინისტარციას.

– ადმინისტრაცია თბილისშია.

საბოლოოდ ირკვევა, რომ მუზეუმში შესვლა (გიდის გარეშე) ჯგუფს

**თამარ მოსიაშვილი,** *მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, მასწავლებელთა სერტიფიცირების კოორდინატორი:*

„ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ექსკურსიის სწორად დაგეგმვა. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ექსკურსიის მიზანი და საქმიანობები, რაც, შესაძლოა, სამ ძირითად ეტაპად დავყოთ: მოსამზადებელი საქმიანობა მოსანახულებელი ადგილის შესახებ ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს. ასეთი დავალება მასწავლებელმა, შესაძლოა, მოსწავლეთა ჯგუფს მისცეს. დავალების მომზადების შემდეგ, მასწავლებელმა უნდა გაიგოს რა კითხვები გაუჩნდათ მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიების პროცესში და მიიღებენ თუ არა ექსკურსიის შედეგად დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს. მნიშვნელოვანია ასევე ექსკურსიის გეგმის შედგენაც: რა ადგილების მონახულებას შეძლებენ, რა დავალება უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა – გადაიღონ სურათები ან ვიდეო, გაესაუბრონ ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს თუ თანაკლასელებს წინასწარ მოძიებული ინფორმაცია გაუზიარონ. ექსკურსიიდან დაბრუნებულ მოსწავლეებს ნანახის შესახებ გამოცდილების მეგობრებისათვის გაზიარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. მათ შეუძლიათ მოამზადონ პრეზენტაცია, გამოუშვან კედლის გაზეთი და სხვ. ექსკურსია არც მარტო გართობაა და არც მარტო შემეცნებითი ღონისძიება. ის ბავშვს სწორად განვითარების საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოზარდები მხოლოდ დამთვალიერებლები არ არინ და გარკვეულ პროცესებში თავადაც მონაწილეობენ“.

**რეზო გეთიაშვილი,** *კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი:* „ექსკურსია თავისთავად დადებითი მოვლენაა. ამიტომ, პირველი, რის გამოც ექსკურსიის კომპონენტზე პროექტის დროს უარს არ ამბობენ, ის დადებითი ემოციებია, რაც ურთიერთობებს აიოლებს და უცხო ადამიანებს, მით უფრო, ბავშვებს, გუნდურად განაწყობს. სულაც არაა აუცილებელი, რომ პროექტი ექსკურსიით დაასრულო. შეიძლება ექსკურსია სხვა ეტაპზეც დაგეგმო.

ბუნებრივია ექსკურსია სტიქიურად არ იგეგმება და მარშრუტი კონკრეტული თემისა და ინტერესის მიხედვით ირჩევა. დაგეგმვაც გუნდური მუშაობის პროცესია და გადაწყვეტილების მიღებაში ყველა მონაწილეობს. ასევე მნიშვნელოვანია, იმ ობიექტის წინასწარი შესწავლა და შეძლებისდაგვარად მომზადება, სადაც ექსკურსიაა დაგეგმილი. ვთქვათ, თუ ჰიდროელექტროსადგურია, მის ადმინისტრაციასთან დაკავშირება გარკვეული ხნით ადრე ხდება, რათა ეს ადამიანებიც მზად იყვენენ ინფორმაციის გასაცემად. რაკი ტურის ყიდვა და გიდის დაქირავება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ხანდახან საჭირო ხდება ექსპერტის მოწვევა. მთავარია, ბავშვებს შესთავაზო ცოცხალი პროცესი, რომელშიც თვითონვე მონაწილეობენ და არა – უბრალო დათვალიერება. ამისთვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს – კვლევითი დავალებებით დაწყებული და გუნდებად დაყოფით და შეჯიბრით დამთავრებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი გარემოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაა. სასარგებლო ჩვევების მიღებასთან ერთად ბავშვებს სადმე ორგანიზებულად წასვლის კულტურაც უვითარდებათ. იმაში დასარწმუნებლად, რომ სამყარო ძალიან დიდი და საინტერესოა, ცხრა მთის გადალახვა არც არის საჭირო. ზოგჯერ უსაქმოდ ჯდომას უქმეებზე ტურის დაგეგმვა სჯობს“.

70 ლარამდე უჯდება, შესაბამისად, მხოლოდ ბაღის დათვალიერებით უნდა შემოვიფარგლოთ (ასევე გიდის გარეშე). ჩვენით უნდა მივხვდეთ, რომელ ხესთან ვდგავართ და საერთოდ, რატომაა ეს ბაღი მნიშვნელოვანი. ჭავჭავაძეებსა და წინანდალზე ბავშვებს გაკვეთილებზე მოუყვნენ. რაც შეეხება ბაღს, მასწავლებლები აქაც თავად პოულობენ ცნობილ ფუღუროს, სადაც ლეკების თავდასხმისას ჭავჭავაძის ოჯახის წევრები დაიმალნენ. ნატვრის ხეზე ყველა იმ ბავშვის ცხვირსახოცია გამობმული, რომლიც ოდესმე ექსკურსიაზე ყოფილა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ხეს ყველაზე ხშირად მისაღები გამოცდების ჩაბარებას ევედრებოდნენ.

ფუღუროიანი ხის მოძებნის შემდეგ, ყველაზე ძნელი საპირფარეშოს მოძებნაა – ის უბრალოდ არ არის. კიდევ უფრო უნუგეშო საქმეა, საჩივრების წიგნი მოძებნო და შიგ ის ჩაწერო, რასაც ბაღში მოწრიალე ხალხი ერთმანეთს ეუბნება: „ამხელა გზიდან მოსულ ხალხს რომ საპირფარეშო დასჭირდება, არ იციან?! რა გახდა ერთი ტუალეტის აშენება...“

რადგან ტუალეტიც, ადმინისტრაციის არ იყოს, თბილისშია, ექსკურსიის მონაწილეები იძულებულები არიან, სახლისკენ დროულად გამობრუნდნენ. მითუმეტეს, ბავშვებს შიათ.

კახეთში სუფრის გასაშლელი ადგილის პოვნა ადვილი არ არის. პატარა მდელოს ძიებაში ველისციხემდე ჩამოვდივართ. უფრო სწორად, ერთი ციდა მდელოც არ კმარა, ბოლოს და ბოლოს ბურთი აქვთ წამოღებული.

მშობლები სუფრას აწყობენ. როცა საჭმელი ერთ კაცს მოაქვს, თითქოს არაფერი, მაგრამ თუ ყველამ თითი ქათამი, თითო ხაჭაპური, თითო კილო ნამცხვარი წამოიღო, სუფრა მართლაც საქორწილო გამოდის.

თან მჭამელიც არავინაა, ბავშვებმა ორი ლუკმა გადაყლაპეს და მინდორზე ერთმანეთს გაეკიდნენ. სანოვაგე თავზესაყრელად რჩება.

სამაგიეროდ წყალი თავდება მალე. ჯერ ბიჭებმა გოგოები გაწუწეს, მერე გოგოებმა – ბიჭები, მერე კი წვიმა წამოვიდა და ყველა დასველდა.

წვიმა განსაკუთრებით მშობლებს გაუხარდათ. უკვე ღამდებოდა, ბავშვები კი ავტობუსში ამოსვლას აღარ აპირებდნენ.

მორიგი ექსკურსია დასრულებულია.







# ექიმის მოსვლამდე

## როცა მოსწავლე უბედური შემთხვევის მსხვერპლია

ირმა კახურაშვილი

**ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ეზოში, ფიზკულტურის გაკვეთილზე, მეექვსკლასელი თორნიკე სკოლის სარდაფში ჩავარდა. მასწავლებელი ამ დროს იქ არ იმყოფებოდა. თორნიკესთვის პირველადი დახმარების გაწევა თანაკლასელებმა სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ზურგის არეში მიღებული ტრავმისა და მრავალი დაჟეჟილობის შედეგად ბავშვი თავს ცუდად გრძნობდა. ადგილზე არც სკოლის ექიმი აღმოჩნდა, ამიტომ დაგვინებით მოსულმა მასწავლებელმა თორნიკე შინ გაისტუმრა. მშობლების მიერ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ექიმმა ბავშვს ტვინის შერყევა და ხერხემლის ტრავმა დაუდგინა. თორნიკეს ერთთვიანი წოლითი რეჟიმი და ძლიერი გამაყუჩებლები დაუნიშნეს.**

პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებელს მოეთხოვება, იცოდეს, როგორ უნდა შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო და უბედური შემთხვევის დროს დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს. მასწავლებლები ამბობენ, რომ სტანდარტის მოთხოვნის დაკმაყოფილება რთულია, რადგან მათ სათანადო ცოდნა არ აქვთ. როგორც წესი, უბედური შემთხვევის პირველი მოწმე არა სკოლის ექიმი, არამედ მასწავლებელია.

თბილისის 63-ე საჯარო სკოლის დირექტორის, ნანა მონიავას თქმით, ყველაზე ხშირად მოსწავლეები ცელქობის გამო იღებენ დაზიანებას, განსაკუთრებით დაწყებით და VI-VIII კლასებში. ასეთი შემთხვევების დროს მასწავლებელი ჯერ თავად ცდილობს პირველადი დახმარების გაწევას, შემდეგ კი სკოლის ექიმს უკავშირდება. თუმცა, ექიმის გამოჩენამდე, იგი არა კონკრეტულ ცოდნაზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ ინტუიციით მოქმედებს.

„ყველას გვინახავს, ბავშვები თამაშ-თამაშით როგორ უხეშად ურტყამენ ერთმანეთს ჩანთებს, ჭიდაობენ, კალმებით ჩხვლეტენ... ტეხენ ფანჯრის მინებს, რაც არა მხოლოდ თავის ტვინის შერყევის, არამედ, ვთქვათ, თვალის, არტერიის ან სხვა სასიცოცხლო ორგანოების დაზიანების საშიშროებასაც ქმნის. სკოლაში გვქონდა შემთხვევა, როდესაც მეცხრეკლასელმა ბიჭმა ძლიერი დარტყმის შედეგად გონება დაკარგა. რა უნდა მოემოქმედებინა მასწავლებელს, სანამ ექიმი გამოჩნდებოდა? ასეთ სიტუაციაში ნებისმიერი ადამიანი დაიბნეოდა“. – ამბობს ქალბატონი ნანა და დარწმუნებულია, რომ პირველადი სამედიცინო უნარ-ჩვევების ცოდნა არა მხოლოდ მასწავლებლებს, არამედ სკოლის მოსწავლეებსაც არ ავნებდა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის კოორდინატორის, ნინო ელბაქიძის თქმით, „უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის თანახმად მასწავლებელი ელემენტარულ სამედიცინო ცოდნას უნდა ფლობდეს. სწორად აღმოჩენილმა პირველადმა დახმარებამ შეიძლება ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს“. ნინო ელბაქიძე ამბობს, რომ ეს პრობლემა, შესაძლოა, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოგვარდეს: „ეს ახლო მომავლის პროექტია. დიდი სურვილი გვაქვს, მასწავლებლებს ტრენინგები ჩაუტარდეთ“.

*საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების* გენერალური მდივანი, გოჩა ღუჭაშვილი ამბობს, რომ მათი ორგანიზაცია მიმართვის შემთხვევაში სკოლებსა და მასწავლებლებს ამ თემაზე დამატებით ინფორმაციას მიაწვდის. *დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას დაუკავშირდით: კრილოვის ქ.15 თბილისი 0102, საქართველო ტელ: 96 15 34; 96 10 92 ელ. ფოსტა: press@redcross.ge*

**სასარგებლო ინტერნეტ-რესურსი საჯარო სკოლებისა და მასწავლებლებისთვის:**

**http://www.teachernet.gov.uk/_doc/4421/GFAS.pdf**
**პირველადი დახმარება სკოლაში** – პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის

**http://www.redcross.org.uk/news.asp?id=90744**
**ბრიტანეთის წითელი ჯვარი** – რესურსი მათთვის, ვისაც სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლების შესწავლა სურს.

**http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/htmlall/p0870/$File ICRC_002_0870.PDF**
**წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი** – პირველადი დახმარების სახელმძღვანელო


**http://www.mayoclinic.com/health/FirstAidIndex/FirstAidIndex**
**მაიო კლინიკა, სამედიცინო განათლებისა და კვლევის ფონდის ინტერნეტ-რესურსი** – აქ შეგიძლიათ მოიპოვოთ ამომწურავი ინფორმაცია განსხვავებულ სიტუაციებში აუცილებელი პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ.

# ისწავლე სიამოვნებით...

**გამოყენებითი ხელოვნება საქართველოს განათლების ცენტრში (GLC) ერთ-ერთი მთავარი საგანია.**

გელა ჩეკურიშვილი

> აბაჟური ფერადი ძაფებისაგან გავაკეთე. ძაფები გაბერილ ბუშტს შემოვახვიე, მერე წებო დავადე, დაველოდე და როცა გაშრა, ბუშტი გავხეთქე. საათის ესკიზები მასწავლებელმა მოგვიტანა. ჩვენ ამოვჭერით, გავაფერადეთ და მუყაოზე დავაკარით, მერე შიგ საათი ჩავსვით. მე ჯამბაზი გავაკეთე, ნოდარმა – წრუწუნა“.
>
> *დათო*



თუთიყუშის, თევზის, ბაყაყის, ჯამბაზის, წრუწუნას ფორმის საათები, საკარნავალო, ბუმბულიანი ნიღბები, შემოდგომის ფოთლების პანოები, მოხატული სააღდგომო კვერცხები, ბოთლები და კერამიკული თეფშები, აპლიკაციები, ზარდახშები, აბაჟურები, სურათის ჩარჩოები – ასეთია ხელოვნების კაბინეტი მე-5-დან მე-10 კლასელებისთვის.

„მასწავლებელი გვაწერინებს მოცულობებს, იმასაც, თუ რა მასალა გვჭირდება. მერე მოგვაქვს და მუშაობას ვიწყებთ,“ – მიხსნიან ბავშვები.

მასწავლებელი კი, ახალგაზრდა მხატვარი და ინტერიერის დიზაინერი, თათული რევაზიშვილი ოთხი წელია, საქართველოს განათლების ცენტრში (GLC), ხელოვნების ისტორიას ასწავლის და აქვე გამოყენებითი ხელოვნების სტუდიასაც ხელმძღვანელობს. ორ თვეში ერთხელ ისინი გამოფენებს აწყობენ.

**თათული რევაზიშვილი:** „ფუნქციურ ნივთებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს არ არის ხელოვნების სკოლა. ეს მიმართულება შორს არის ხელოვნებისგან, მაგრამ დაინტერესება ძალიან დიდია როგორც ბავშვების, ასევე მშობლების მხრიდან. ბავშვების გემოვნება იხვეწება, ხელით შრომას სხვანაირად აფასებენ. გაკვეთილზე თეორიულ მასალასაც გავდივართ. ჩვეულებრივად ვწერთ ტესტებს და საკონტროლოებს და ასე ვსწავლობთ ხელოვნების ისტორიას. გამომცემლობებში დავძებნეთ სახელმძღვანელოები, სადაც არაჩვეულებრივი თეორიული მასალა და პრაქტიკული სამუშაოებია მოცემული. სახელმძღვანელომ საშუალება მოგვცა, მოსწავლეები თეორიული მასალის ცოდნის მხრივ შევაფასოთ. ეს რომ ხელოვნების სკოლა ყოფილიყო, მაშინ უფრო მეტ დროს დავუთმობდით პრაქტიკას, თუმცა ახლაც ბევრს ვმუშაობთ.“

თეორიულ მასალას უფრო მეტი დრო ეთმობა მე-9 და მე-10 კლასიდან. თათული მასწავლებლის დაკვირვებით, როგორი კარგი სპეციალისტიც უნდა იყო, თუ მე-9 კლასის მოსწავლეს სურვილი არ აქვს, დეკორატიულ პანოს ვერ გააკეთებინებ, სამაგიეროდ, შეგიძლია ხელოვნების თეორია საფუძვლიანად შეასწავლო.

„ხელოვნების ისტორიის გაკვეთილების ღირსება ისაა, რომ მოსწავლეებს უვითარდებათ ხელოვნების ნიმუშების შეფასების უნარი. მათ შეუძლიათ სურათის დახასიათება, ტექნიკის, მიმდინარეობის, ჟანრის გარკვევა. ინფორმაციას იღებენ მსოფლიო მუზეუმების, თანამედროვე ხელოვნების მიმართულებებზე. შეუძლიათ იმსჯელონ ფერწერის, არქიტექტურისა და ქანდაკების ნიმუშებზეც. მათ შეიძლება ვერ დახატონ და შედევრები ვერ შექმ-

ნან, მაგრამ საკუთარ შეხედულებებს აკადემიურად ჩამოაყალიბებენ. ვცდილობ, რომ ხელოვნება სკოლაში კარგად ისწავლებოდეს. ნელ-ნელა ვვითარდებით. როცა წიგნები არ გვქონდა, ძალიან შეზღუდული ვიყავით. კონსპექტების მომზადება თავად მიწევდა, სახელმძღვანელოს შემოტანამ კი ძალიან დიდი საქმე გააკეთა. როცა ბავშვს სახელმძღვანელო არ აქვს, საგანს ზერელედ უყურებს. როგორ იქნები სრულფასოვანი მოქალაქე, თუ შენი ქალაქის ან ქვეყნის არქიტექტურაში ვერ ერკვევი? ტაძარში როცა შედიხარ, სასურველია, იცოდე, ესა თუ ის ფრესკა სად და რატომაა განთავსებული. ჩემი სწავლების შედეგს ყველაზე უკეთ ექსკურსიაზე ვხედავ. უამრავი ციხე-სიმაგრე და ტაძარი ვნახეთ. ბავშვები დამოუკიდებლად არჩევენ, ტაძარი მერამდენე საუკუნისაა, კანონიკის მიხედვით, რომელი ხატი რომელ ადგილზეა, ანდა რას მიანიშნებს წმინდანების ჟესტიკულაცია.“

მეათეკლასელები მასწავლებელს ახასიათებენ:

– ჯვარცმა რომ ვნახეთ, ყველაფერი ვისწავლეთ ჯვარცმის შესახებ, თათულიმ უამრავი რამ აგვიხსნა.

– ფერთა თეორია იყო საინტერესო, რომელი ფერი როგორ ხასიათს გამოხატავს.

**ჩარჩო მუყაოსგან გამოვჭერი და პულვერიზატორით მწვანედ შევღებე. მერე ბორბლებისა და ბაფთების ფორმის მაკარონები ავიღე, ზედ დავაწებე და გუაშებით გავაფერადე. ამ ყუთში ერთ დროს სვაროვსკის ირემი იდო, მე შუშის მძივებით და აპლიკაციით გავაფორმე და ლამაზი ზარდახშა გამოვიდა.**

***ნია***



– ყველაზე საინტერესო იყო კოლიზეუმი, სამივე იარუსზე სხვადასხვა ძეგლებით.

– ხელოვნებას თუ სხვა სკოლაში ზედაპირულად უყურებენ, ჩვენ ასე არ ვართ. ზოგჯერ მატემატიკის მასწავლებელთან არ გვიწევს ამდენი მუშაობა. ხელოვნება ჩეულებრივი საგანია და სერიოზულად ვუყურებთ.

– ყველა დეტალს ვარჩევთ, ტექსტს ჯგუფში ვკითხულობთ და ჩვენი აზრი გამოგვაქვს, მერე ვმსჯელობთ.

– იმასაც აქვს მნიშვნელობა, ხელოვნებას როგორი მასწავლებელი გასწავლის, რამდენად დაგაინტერესებს.

თათული რევაზიშვილი თვლის, რომ სწავლების ასეთი მეთოდის დადებითი მხარე ისაა, რომ ბავშვები საკუთარი ხელით კეთებას და შრომას ეჩვევნიან. დეკორატიული დიზაინის ნიმუშებს ისინი სიამოვნებით ამზადებენ. მშობლებიც ძალიან ამაყობენ, შვილების ნამუშევრები ხშირად ოფისების გასაფორმებლად მიაქვთ. თვითონ ბავშვებმა საკუთარ თავში განსხვავებული უნარები აღმოაჩინეს. „განათლების პროცესისადმი მათი დამოკიდებულებაც სხვანაირია: ისინი სიამოვნებით მუშაობენ და, ამავე დროს, შესაბამის შეფასებასაც იღებენ“, – ამბობს მასწავლებელი.



თათული რევაზიშვილი (მარჯვნიდან მეორე) მოსწავლეებთან ერთად

**მასწავლებელმა სხვადასხვა ფორმის ბოთლები მოგვიტანა, ჩვენ ავირჩიეთ ფორმა და მოვხატეთ. ამ აბაჟურზე 3 გაკვეთილი ვიმუშავე, ნარინჯისფერი, მწვანე და თეთრი ძაფები ავირჩიე, მერე აპლიკაციები მივაკარი.**

***ელა***

# თელავი-ბიბერახი-თელავი

**სკოლის კურსდამთავრებულები „შპრახდიპლომის“ გამოცდების ჩაბარებას შეძლებენ – თელავის მეცხრე საჯარო სკოლა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობს**


ნინო კოშაძე

*სპეციალურად „მასწავლებლისთვის“ კახეთიდან*

**თელავის მეცხრე საჯარო სკოლაში დღესაც სიამაყით აღნიშნავენ, რომ პირველ ეროვნულ გამოცდებში №1 აბიტურიენტად დასახელებული ანა მამუკელაშვილი მათი მოსწავლე იყო.**

გერმანელი პედაგოგი გეორგ ვოლტერი თელავის მე-9 გერმანულენოვანი საჯარო სკოლის მოსწავლეებს „შპრახდიპლომისთვის“ ამზადებს. უკვე ცხრა თვეა, იგი მთელ დღეს სკოლაში ატარებს და ქართველ ბავშვებს გერმანულ ენას ასწავლის. ისეთი დიპლომის აღება, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ გერმანულენოვან უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობას იძლევა, მოსწავლეებს უკვე ამ სკოლაშიც შეუძლიათ. ვოლტერის განმარტებით, კურსი წელიწადნახევრიანია და 21 ქართველი ბავშვი „შპრახდიპლომის“ გამოცდების ჩაბარებას დეკემბრის შუა რიცხვებში შეძლებს.

**გეორგ ვოლტერი,** *თელავის მე-9 საჯარო სკოლის მასწავლებელი:* „ეს კურსი მხოლოდ ენის სწავლებას კი არ მოიცავს, არამედ იმ თავისებურებების გაცნობასაც, რაც „შპრახდიპლომის“ ასაღებადაა საჭირო. გერმანიიდან ჩამოტანილი ლიტერატურის გარდა, მოსწავლეებს ჩემს მიერ დამუშავებულ მასალასაც ვთავაზობ, რომელიც მათ ძალიან ბევრი რამის აღქმას და გაგებას უმარტივებს“.



გეორგ ვოლტერი

გერმანული ენის მასწავლებელი გიული ლაფაური აღნიშნავს, რომ გაკვეთილებზე მოსწავლეები ოთხი ასპექტით სწავლობენ ენას. პროგრამა მოიცავს წერის, კითხვის, მეტყველების და მოსმენის უნარ-ჩვევების შეძენას, რაც მათ საშუალებას აძლევს სრულყოფილად შეისწავლონ ენა. მისივე განმარტებით, ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. „პოსტსაბჭოთა სივრცეში უცხო ენის სწავლება ძირითადად დამყარებული იყო კითხვა-თარგმნის მეთოდიკაზე, რაც, რა თქმა უნდა, ვერ მოგვცემდა სათანადო შედეგს. თანამედროვე სტანდარტებით სწავლების მიზანია, რომ მოსწავლემ შეძლოს უცხო ენაზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მოძიება და საკონტაქტო წერილების წერა, – ამბობს გიული ლაფაური.

მსგავსი პროექტები გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მსოფლიოს 300-მდე ქვეყანაში ხორციელდება, მათ შორის აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. თუმცა გერმანელი პედაგოგი თვლის, რომ ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში უფრო სწრაფად იზრდება.

„გერმანული ენის შესწავლის სურვილი ბევრ მოსწავლეს აქვს, თუმცა ზოგიერთი რამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. მაგალითად, როგორ შეიძლება, ბავშვმა გაკვეთილი

გააცდინოს და დაბადების დღეზე წავიდეს, ან უბრალოდ, მეგობარს შეხვდეს. როდესაც ისინი მიეჩვევიან, რომ მსგავსი რაღაცები გაკვეთილების შემდეგ უნდა გააკეთონ, ყველაფერი კარგად იქნება“, – ამბობს ჯორჯ ვოლტერი. ის პროფესიით გერმანული ენისა და ეკონომიკის პედაგოგია. თელავში ჩამოსვლამდე ასწავლიდა გერმანიაში, არგენტინასა და ბოლივიაში.

ამჟამად თელავის მე-9 საჯარო სკოლის ექვსი მოსწავლე გერმანიის ქალაქ ბიბერახში სამკვირიანი გაცვლითი პროგრამით იმყოფება. პარალელურად მათი ექვსი გერმანელი თანატოლი თელავს სტუმრობს. მეცხრე საჯარო სკოლაში ისინი მხოლოდ გერმანული ენის გაკვეთილებს ესწრებიან, თუმცა ქართულ ოჯახებში ცხოვრობენ და ჩვენს ტრადიციებსა და ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან.

„ძალიან კმაყოფილი ვარ საქართველოში სტუმრობით. გავიცანი ჩემი თანატოლები, მათთან ერთად შემოვიარე საქართველოს მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი. ძალიან მომეწონა ქართული სიმღერები, ცეკვები. ვთვლი, რომ ქართული სამზარეულოც გარკვეულწილად ხელოვნების ნიმუშია. გული მწყდება, გამგზავრების დრო რომ ახლოვდება, იმედია ისევ დავბრუნდები“, – ამბობს თელავის ბიბერახელი სტუმარი რობერტ შულცი.

თელავის მეცხრე სკოლის გერმანული ენის კათედრის გამგე ია ჩალათაშვილი აღნიშნავს, რომ გერმანელი კოლეგების სტუმრობა უკვე ტრადიციაა და ქართველ პედაგოგებს საშუალება აქვთ, მათგან ევროპის სკოლებში დანერგილი მრავალი სიახლის შესახებ გაიგონ. „გერმანელ კოლეგებთან ახლო პროფესიული ურთიერთობა გვაქვს, ხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა. კვირაში ერთხელ გვაქვს კონფერენციები, სადაც მთელი კვირის მუშაობას განვიხილავთ.




ერთმანეთს აზრებსა და შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ და შესაბამის გადაწყვეტილებებს ვიღებთ“.

დაარსების დღიდან სკოლას გერმანიის სხვადასხვა ქალაქთან გაცვლითი პროგრამების განხორციელების გამოცდილება აქვს. მარიამ ლეშკაშელი, თამაზ ძულიაშვილი და სალომე ყარაულაშვილი იმ გამორჩეულ მოსწავლეებს შორის არიან, ვინც გასული წლის გაზაფხულზე გერმანიაში იმყოფებოდნენ. მარიამი და თამაზი ერთი თვე ბიბერახში სწავლობდნენ, ხოლო სალომე 10-კვირიანი პროგრამით ჰალეს მახლობლად მდებარე პატარა პროვინციულ ქალაქში იღებდა განათლებას. ისინი გერმანულ ოჯახებში ცხოვრობდნენ და გერმანელ მოსწავლეებთან ერთად დადიოდნენ სკოლაში. „ყველა პირობა მქონდა, რომ თავი შესაფერის გარემოში მეგრძნო. ჩემს გერმანელ მეგობრებთან ერთად ყოველდღე დავდიოდი სკოლაში, სადაც ზუსტად იგივე მოვალეობები მქონდა, რაც ჩემს იქაურ კლასელებს. სწორედ ეს დამეხმარა მათთან ურთიერთობაში. ისინი ხედავდნენ, რომ მე გამონაკლისი არ ვიყავი და არც რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიით ვსარგებლობდი. შაბათ-კვირას ექსკურსიებზე დავდიოდით. მოვინახულეთ გერმანიის რამდენიმე ქალაქი. გერმანულ კულტურას გავეცანი და ენის შესწავლის მხრივ სერიოზული პრაქტიკა გავიარე“, – იხსენებს სალომე ყარაულაშვილი.

თელავი და გერმანიის ქალაქი ბიბერახი 19 წლის წინ დამეგობრდნენ. კახეთის სკოლებში გერმანული ენის სწავლების იდეაც მაშინ გაჩნდა. თელავში გერმანულენოვანი სკოლა გაიხსნა. გადაწყვეტილებას იმდროინდელი განათლების მინისტრის მოადგილე კოტე გაბაშვილი აწერდა ხელს. პროფესიული სასწავლებლის სამი ოთახი, სადაც ნაჩუქარი ინვენტარი მოათავსეს, თვითონ მოსწავლეებმა გაარემონტეს და შენობის ძველი კედლებიც თავადვე შეღებეს. სკოლის დირექტორის ნანა თვალიაშვილის თქმით, იმდენად დიდი იყო გერმანულენოვან სკოლაში სიარულის სურვილი, რომ ცუდი პირობების მიუხედავად, მშობლებს შვილების სხვა სასწავლებელში გადაყვანა არც უფიქრიათ.

ორი წლის განმავლობაში სკოლა სწორედ ამ შენობაში ფუნქციონირებდა, თუმცა მოგვიანებით მას რუსული სკოლის ავარიული ნაგებობა გადაეცა, რომლის რესტავრაცია ისევ გერმანელი და ავსტრიელი მეგობრების მხარდაჭერით მოხერხდა. 2006 წელს, პროექტ „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში, მას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, მოგვარდა გათბობის პრობლემაც.



# პასუხები
## თქვენს შეკითხვებზე

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით შედგა სამუშაო შეხვედრები მათემატიკისა და უცხოური ენების მასწავლებლებთან. პროფესიული სტანდარტისა და სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსისა და ფორმატის განხილვის მიზნით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ჩატარებულ შეხვედრებში 1150-მდე მასწავლებელი მონაწილეობდა. უცხოური ენების პედაგოგების შეკითხვებს გამოცდების ეროვნული ცენტრის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტები პასუხობდნენ (ჟურნალის შემდეგ ნომერში იხილეთ პასუხები მათემატიკის მასწავლებლების შეკითხვებზე).**

გაქვთ შეკითხვა? – მოგვწერეთ: info@tpdc.ge

## უცხოური ენების მასწავლებლებისთვის



*მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი უცხოურ ენებში მოიცავს როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურს. რა სახის სერტიფიკატი იქნება უცხოური ენების მასწავლებელთათვის?*

**გულიკო შერვაშიძე,** *ბათუმის 16-ე საჯარო სკოლა*

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში უცხოური ენების მასწავლებლები მიიღებენ როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლების უფლებას და შესაბამის სერტიფიკატს.



*რუსული ენისა და ლიტერატურის იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც თავისუფლად ვერ ფლობენ ქართულ ენას, ძნელია, ქართულად გასცენ პასუხი სასერტიფიკაციო გამოცდის მეორე, მეთოდურ ნაწილს. როგორ ჩავაბაროთ ასეთმა მასწავლებლებმა მეთოდური ნაწილი?*

**თამარ შჩერბაკოვა,**
*სოფ.გლდანის საჯარო სკოლა, მცხეთა*

საგამოცდო ტესტებში მოცემულობა/შეკითხვები ქართულ ენაზე იქნება დასმული, რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს საშუალება მიეცემათ, მეთოდურ ნაწილს, სურვილის შემთხვევაში, პასუხები გასცენ რუსულ ენაზე.



*არსებობს სკოლები, რომლებშიც უცხო ენად ასწავლიან თურქულს, ესპანურს ან იტალიურს. ამ ენებისათვის არ არსებობს მასწავლებლის სტანდარტი. როგორ უნდა გახდეს ამ ენების მასწავლებლი სერტიფიცირებული?*

***თამუნა პოპიაშვილი,***
*თბილისის 181-ე საჯარო სკოლა*

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი აღნიშნული ენებისათვის (ესპანური, თურქული, იტალიური და სხვა) არ არსებობს, რადგან ჯერ არ შექმნილა ამ ენებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმა. უცხო ენებში სერტიფიცირება ამ ეტაპზე დაგეგმილია მხოლოდ რუსული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების მასწავლებლებისთვის.



*სასერტიფიკაციო გამოცდაზე რა სახის მოსასმენი ტექსტი იქნება? მას მშობლიურ ენაზე მოსაუბრე წაიკითხავს თუ ქართველი? როგორი იქნება ტექსტის წაკითხვის ტემპი?*

**ლეილა ხარანაული,**
*კერძო სკოლა „რუსთაველი“, რუსთავი*

მოსასმენ ტექსტს წაიკითხავს მშობლიურ ენაზე მოსაუბრე (გერმანულს – გერმანელი, ფრანგულს – ფრანგი და ა.შ.). წაკითხვის ტემპი იქნება საშუალო, ხოლო ტექსტი შეიძლება იყოს საგაზეთო სტატიიდან ან ჟურნალიდან ამონარიდი.



*რამდენ საათს გაგრძელდება გამოცდა? იქნება თუ არა შესვენება?*

**მანანა ბარნაბიშვილი,**
*თბილისის 82-ე საჯარო სკოლა*

გამოცდა, სავარუდოდ, 3 საათს გაგრძელდება. იქნება 10-20 წუთი შესვენებაც გამოცდის პირველ და მეორე ნაწილს შორის.



*მასწავლებლის სერტიფიკატის მოსაპოვებლად რა გამოცდების ჩაბარება მოუწევს მასწავლებელს?*

***თინათინ ბაჩიაშვილი,** იყალთოს საჯარო სკოლა, თელავი*

სერტიფიკატის მოსაპოვებლად მასწავლებელმა ორი გამოცდა უნდა ჩააბაროს: ერთი გამოცდა ბარდება პროფესიულ უნარ-ჩვევებში და მეორე გამოცდა – საგანში, ამ შემთხვევაში, უცხოურ ენაში.

## დამხმარე ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტ-რესურსები უცხოური ენების მასწავლებლებისთვის:

### მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემები:

1. **მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი; თბილისი, 2008**
2. **განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო I; საქართველოს მაცნე, თბილისი, 2008**
3. **სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო II; საქართველოს მაცნე 2008**
4. **სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო III; საქართველოს მაცნე, თბილისი, 2008**


განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, I ნაწილი; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი თბილისი, 2007

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის: პროფესიული უნარები; გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის: ქართული ენა და ლიტერატურა; გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008

www.tpdc.ge მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

www.naec.ge გამოცდების ეროვნული ცენტრი

www.ganatleba.org ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი


### დამხმარე ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტ-რესურსები უცხოური ენების მასწავლებლებისთვის


უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო: Gemeinsamer Europaeischer Referenzrahmen fur Sprachen, Lehren, Lernen, Beurteilen, Langescheidt, Berlin, Muenchen, 2001

Council of Europe. 2001. Common European Framework of Reference for Languages: Learning, Teaching, Assessment. Cambridge University Press. მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამ გვერდიდან: http://www.coe.int/T/E/Cultural_Cooperation/education/Languages/Language_Policy/Commonframework_of_Reference


### ინგლისური ენა (ელექტრონული ნაწილი)


1. Acklam, R. 2003. First Certificate Gold. Coursebook. Longman
2. Blanchard,K. Roof, Ch.2004. Ready to Write More: From Paragraph to Essay. Longman
3. Burgess, S.2003. First Certificate Gold, Exam Maximizer. Longman
4. Cambridge First Certificate English. 2001. Books 1, 2,3,4,5. Cambridge University Press
5. Gordon, I .2001. Intermediate Reading Comprehension. Books 1,2,3, Macmillan

6. Harrison, M and Kerr, R. 2001. First Certificate Language Tests. Books 1, 2. Oxford University Test
7. Kenny, N. Lugue-Mortimer, L. 2003. First Certificate Practice Tests Plus 1, 2. Longman
8. Naunton, J. 2000. Think First Certificate. Practice Exams. Longman
9. O' Connell, S. 2001. First Certificate for the Revised Exam. Longman
10. Oshima, A. Hogue, A. 1997. Introduction to Academic Writing. Longman
11. Paran, A. 2003. First Certificate Gold. Practice Exams. Longman
12. Swan, M. 1995. Practical English Usage
13. Stephens, 1998. Practice Writing. Longman
14. Murphy R. 2004. English Grammar in Use. Cambridge University Press

www.CambridgeESOL/exams
www.bbc.co.uk
www.vocabulary.com
www.learnenglish.org.uk
www.english-zone.com
www.in2english.com/teaching
www.thenewspaper.org.uk


### მეთოდიკა


1. Bonson, T. Marks J. 1999. Inside Teaching. Heinemann
2. Head, K and Taylor P, Hill. J 1997. Readings in Teacher Development, Heinemann
3. Harmer, J 2001. The Practice of English Language Teaching. Longman
4. Lewis, M. and Hill, J. 1993. Source book for teaching English as a Foreign Language. Heinemann
5. Richards, j and Rodgers. 1999. Approaches and Methods in Language Teaching. Cambridge University Press
6. Spratt, M.2002. English for the Teacher. Cambridge University Press
7. Scrivener, J. 1994. Learning Teaching. Heinemann
8. Spratt, M. et al. 2005. The TKT Cours. Cambridge University Press
9. Tsitsishvili, R. et al. 2008. Theory and Practice of English Language Teaching in Georgia. British Council Georgia
10. Ur, P. 2005. A Course in Language Teaching. Practice and Theory. Cambridge University Press

www.CambridgeESOL.org/exams
www.Taechingenglish.or.uk/think
www.iteslj.org


### გერმანული ენა (ენობრივი ნაწილი)


1. Frey. E.; Fit fuers Goethe-Zertifikat C1; Hueber Verlag, Munchen 2007
2. Frey. E.; Fit fuers Goethe-Zertifikat B2; Hueber Verlag, Munchen 2007
3. TestDaF; Test Deutsch als Fremdsprache, TestDaF-Institut Hagen, 2001
4. Dinsel, S. Reimann, M,; Fit Fuers Zertifikat Deutsch, Hueber, Munchen 2000
5. Goethe Institut; Materialien zur Zentralen Mittelstufenpruefung; Goethe-Institut, 1997
6. Prufuengen DaF: Einstufungstest fur Anfanger-und Fortgeschrittenenkurse; Verlag fur Deutsch, 1994

http://www.goethe.de/ins/ge/tif/deindex.htm – გოეთეს ინსტიტუტი, ტელ: 93 49 85
www.lehrerfreund.de – სასარგებლო რჩევები მასწავლებლებისათვის
www.dipf.de
http://www.testdaf.de/


### ფრანგული ენა (ენობრივი ნაწილი)


1. Anatole Bloomfield, Emmanuelle Daill, Nouveau DELF B2; Livre de L'élève – 200 activités – Collection dirigée par Isabelle et Rishard Lescure; ISBN : 978-2-09-032850-9; EAN13 : 9782090328509. 2006.
2. Beatrice Dupoux, Anne – Marie Havard, Maylis Martial, Reussir Le Delf : Niveau B2 du cadre europeen commun de reference (1 cd audio). 2006.
3. Eliane grandet; Martine Corsain – activités pour le cadre européen commun de reference B2 CLE international 2007
4. Claire Miquel – Vocabulaire progressif du français, niveau avancé 1999
5. Michelle Boulares – grammaire progressive du français, niveau avancé 1997


### მეთოდიკა


1. P. Lamaillox, M.H. Amaud – fabriquer des exercices de français, Hachette 1996
2. J. Courtillon – Elaborer un cours de DELF, Paris 2003
3. D. Abrit – Phonetique – Techniques et pratiques de classe, CLE interanational 2007
4. C. Tagliante – La classe de langue, CLE international 2006
5. J. C. Beacco, S. Bouquet, R Porguier – Niveau B2 pour le français 2004
6. J. C. Beacco, S. Bouquet, R Porguier – Niveau B2 pour le français, un référentiel 2004

http://www.ambafrance-ge.org/EssaiSPIP/spip.php?article985
საფრანგეთის საელჩო: 922 850
დიუმას ცენტრი: 922 855
www.edufle.net
www.webfleu.net
www.ciep.fr


### რუსული ენა და ლიტერატურა


www.gramota.ru – რუსული ენის ინფორმაციული პორტალი – ლექსიკონები, გრამატიკული ცნობარი და ა.შ.
www.1001 skazka.com
www.besplatno.ucoz.ru
www.detstvo.ru

# დღეს, ანუ ოთხი ათასი წლის წინ...

## რას წერდნენ შუმერი მოსწავლეები თიხის ფირფიტებზე

თეა თოფურია

„ყური მიგდე! კაცი არა ხარ?! ნუ დაეყუდები მოედანზე, ნუ იხეტიალებ ბაღებში. ქუჩაში რომ მოდიხარ, თვალებს აქეთ-იქით ნუ აცეცებ... უსაქმოდ ხეტიალით გინდა, მიაღწიო წარმატებას? აბა, თვალი გადაავლე წინა თაობებს. გირჩევ, სკოლაში იარო, ეს შენ სიკეთეს მოგიტანს“.

წინა თაობები, რომელთათვის თვალის გადავლებასაც მამა შვილს სთხოვდა, ისტორიულ წარსულში იკარგებიან. ჩვენ მათზე ბევრი არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ თურმე ისინიც სკოლაში დადიოდნენ. წერილი გულმოსული კაცის დაწერილია, ვისი შვილიც გაკვეთილებს აცდენს და მომავალზე არ ფიქრობს. ალაგ-ალაგ სტრიქონები არ იკითხება, მაგრამ იმიტომ არა, რომ გაბრაზებული ადამიანები წერილებს გაკრული ხელით წერენ. იმ დროს ქაღალდი საერთოდ არ არსებობდა. წერილი თიხის ფირფიტაზეა შესრულებილი, ლურსმნული დამწერლობით. იგი სრულად არ იკითხება, რადგან ფირფიტის ყველა ნატეხი მკვლევარებმა ვერ იპოვეს.

მოსწავლე, რომლისადმი მიმართული წერილი ახლა მუზეუმში ინახება, 3700 წლის წინ ცხოვრობდა. მისი მისამართი ასეთი იყო: ქვეყანა – შუმერი, ქალაქი – სავარაუდოდ, ურუქი. გაუგებარია, მიაღწია თუ არა ამ ბავშვმა რამე წარმატებას, მაგრამ ისტორიაში ის ნამდვილად მოხვდა.

„გიბრაზდებოდი იმის გამო, რომ ისე არ იქცეოდი, როგორც ადამიანს შეეფერება. შენმა ამდენმა ბუზღუნმა ბოლო მომიღო, სამარის კარამდე მიმიყვანა. მე შენ არ გაიძულებდი, გეზიდა ლერწამი. ლერწმის ღერები, რომელსაც ბავშვები და ყმაწვილები ეზიდებიან, შენ არასოდეს გიზიდია. არასოდეს მითქვამს შენთვის: „გაჰყევი ჩემს ქარავანებს!“ არასოდეს გამიგზავნიხარ მინდორში სახნავ-სათესად, არასოდეს გამიგზავნიხარ მინდორში სათოხარზე... არასოდეს მითქვამს შენთვის, წადი იმუშავე, მე დამეხმარე-მეთქი!

სხვები, შენოდენები, მუშაობენ, მშობლებს ეხმარებიან... თითოეულ მათგანს 10 გური ქერი მაინც მოჰყავს... შენ კი კაცი ხარ მარტო მაშინ, როცა სიჯიუტეზე მიდგება საქმე. მაგრამ მათ გვერდით არაფერი კაცი შენ არ ხარ. შენ ისე არ შრომობ, როგორც ისინი. მათ მამები აიძულებენ იშრომონ, მე კი შენ მათსავით მუშაობას არ გაიძულებდი“.

თუ იმავე მკვლევარებს დავუჯერებთ, შუმერული სკოლა დიდად კომფორტული ნამდვილად არ გახლდათ. მერხები გამომწვარი აგურისგან კეთდებოდა, ბავშვები ქვებზე ისხდნენ, თიხაზე კი წერდნენ. დასჯის მეთო-



დი – გაჯოხვა. შუმერებს ამ პროცესის ამსახველი იეროგლიფიც ჰქონდათ, ჯოხისა და სხეულის გამოსახულებით. ამის გამო მოსწავლეებს გაკვეთილზე დაგვიანების ერთი  ორად ეშინოდათ.

შუმერი მოსწავლის ყოველდღიურობის შესახებ წარმოდგენას კიდევ ერთი, ძლივს შეკოწიწებული ფირფიტა იძლევა. ტექსტის ავტორი მასწავლებელია.

„– მოწაფევ, სად იყავი ასე ადრე?
– სკოლაში
– რას აკეთებდი სკოლაში?
– ზეპირად ვთქვი ჩემი ფირფიტა, ვისაუზმე, მოვამზადე ახალი ფირფიტა, დავწერე და დავამთავრე. შემდეგ მომცეს ზეპირი დავალება, ნაშუადღევს კი – წერითი დავალება. სკოლიდან დავბრუნდი შინ, სახლში დამხვდა მამაჩემი. მე მას ვუამბე ჩემი წერითი დავალების შესახებ, შემდეგ ზეპირად ვუთხარი ჩემი ფირფიტა, მამა კმაყოფილი დარჩა... როცა დილით ადრე გავიღვიძე, დედას მივმართე: „მომეცი ჩემი საუზმე, სკოლაში უნდა წავიდე!“ დედამ მომცა ორი „ფუნთუშა“ და მე გამოვედი სახლიდან. დედამ მომცა ორი „ფუნთუშა“ და მე წავედი სკოლაში. სკოლაში დამრიგებელმა მითხრა: „რატომ დაიგვიანე?“ შეშინებული წარვსდექი მასწავლებლის წინაშე და პატივისცემის ნიშნად თავი დავხარე“.

ტექსტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეს თავის დახრამ არ უშველა. ის სამმა მასწავლებელმა დასაჯა, ერთმა – ლაპარაკისთვის, მეორემ – ფეხზე ადგომისთვის, მესამემ – სკოლის ჭიშკრიდან გასვლისთვის. გარდა ამისა, ფირფიტაზე ნაწერიც დაუწუნეს და გაჯოხეს.

ამის შემდეგ მოსწავლემ დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოელბო მასწავლებლის გული. შუმერი პედაგოგების ანაზღაურება დიდი არ იყო, ამიტომ მათ ძალიან სიამოვნებდათ საჩუქრების მიღება. მოსწავლემ მამა დაიყოლია, მასწავლებელი სახლში მიეპატიჟებინა. ის მართლაც მიიწვიეს, საპატიო ადგილს დასვეს, ახალი სამოსით შემოსეს და თითზე ბეჭედიც გაუკეთეს. როგორც ჩანს, მასწავლებელი მართლაც მოლბა, რადგან ფირფიტა გვიამბობს, რომ მას მოსწავლის დარიგება დაუწყია:

„ყმაწვილო, ვინაიდან შენ ყურად გიღია ჩემი სიტყვები და ქარისთვის არ გიგიტანებია ჩემი შეგონებანი, შესძლებ მიაღწიო სრულყოფას... შენ კარგად სწავლობდი სკოლაში და ნასწავლი კაციც დადექი“.

მიუხედავად ამ შეგონებისა, სკოლაში სწავლა მაინც არ იყო ადვილი საქმე. ფირფიტებიდან ირკვევა, რომ ბავშვები როგორც კი დროს იხელთებდნენ, ცელქობდნენ და გაკვეთილებს აცდენდნენ. დისციპლინის დაცვა განსაკუთრებით ძნელი იმის გამოც იქნებოდა, რომ შუმერულ სკოლაში მხოლოდ ბიჭები სწავლობდნენ. ამიტომ ბავშვები ორმაგი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, მათ ცალკე მასწავლებლები აკონტროლებდნენ და ცალკე – მშობლები.

ამგვარი „კონტროლით“ იწყება ზემოთხსენებული წერილიც, რომელიც გაბრაზებულმა მამამ დაწერა. იგი შვილს ეკითხება:

„ – სად იყავი?
– არსადაც არ ვყოფილვარ.
– თუ არსადაც არ ყოფილხარ, მაშინ უსაქმოდ რას დაეხეტები. წადი სკოლაში, გამოეცხადე „სკოლის მამას“, მოუყევი გაკვეთილი, გახსენი შენი სასკოლო ჩანთა, დაწერე ფირფიტაზე... როცა დაამთავრებ გაკვეთილის წერას, აჩვენე დამრიგებელს. დაბრუნდი ჩემთან, ნუ იხეტიალებ ქუჩებში, გაიგე, რაც გითხარი?
– გავიგე და შემიძლია ყველაფერი გავიმეორო.
– მაშინ გაიმეორე.
– ახლავე გავიმეორებ.
– დაიწყე-მეთქი! მითხარი!
– შენ თქვი, რომ წავიდე სკოლაში, მოვყვე დავალება, გავხსნა ჩემი სასკოლო ჩანთა...“

აი, ამის შემდეგ კი ვკითხულობთ მონოლოგს, რომელიც საუკუნეების წინ დაიწერა, მაგრამ მაინც თანამედროვედ ჟღერს:

„კერპო, ჯიუტო, მე გაჯავრებული ვარ შენზე, მაგრამ ვის შეუძლია მართლა განრისხდეს შვილზე? მე ვესაუბრე ჩემს ნათესავებს და პირველად ახლა შევამჩნიე ერთი რამ, რასაც აქამდე ვერ ვამჩნევდი. კარგად მომისმინე, რასაც ახლა გეტყვი. გეშინოდეს მათი და იყავი ფრთხილად. შენ ვერ შეძელ შეგეფასებინა შენი კოლეგა, ვისთან ერთადაც სწავლობ. რატომ არ ცდილობ აჯობო მას? ეცადე, დაემსგავსო შენს უფროს ძმას, ეცადე, დაემსგავსო უმცროს ძმას... ასე დააწესა ადამიანის ბედი ენლილმა: დაე, განაგრძოს შვილმა მამის საქმე! დღედაღამ შენზე ფიქრი მტანჯავს, შენ კი მთელ დღეებს სიამოვნებათა ძიებაში ფლანგავ. ბევრი სიმდიდრე დააგროვე, გასუქდი, გასქელდი, ბეჭები გაგიგანიერდა, ღონიერი და მედიდური შეიქენი. მაგრამ მთელი შენი სანათესაო მოთმინებით ელის, როდის დაგატყდება თავს უბედურება. გაუხარდებათ კიდეც, ვინაიდან არ ინდომე, ადამიანი გამოსულიყავი...“

და რადგან ავტორი მაინც მშობელია და არა სკოლის ზედამხედველი, ტექსტი შვილის დალოცვით მთავრდება:

„თან გახლდეს მუდამ ნანნარის,
შენი ღმერთის წყალობა,
თან გახლდეს მუდამ ქალღმერთის,
ნანგალის კურთხევა!“

*მომზადებულია წიგნის „ისტორია იწყება შუმერიდან“ (ავტორი: სემიუელ ნ. კრამერი) მიხედვით*

# დაითვალეთ ვარსკვლავები...
## გაკვეთილზე

**ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, პლანეტები და ნამდვილი ტელესკოპი სასწავლო პროცესის ნაწილია, თუ გაკვეთილი ნამდვილ პლანეტარიუმში ტარდება**

გელა ჩეკურიშვილი

„არაფერი მაოცებს ისე, როგორც ვარსკვლავებიანი ცა ჩემს ზემოთ და სინდისის ხმა ჩემს გულში“, – ემანუელ კანტის ეს გამონათქვამი მე-10 საჯარო სკოლის მე-6 კლასელებმა ჯერ არ იციან და არც კანტის სახელი სმენიათ, მაგრამ თბილისის მოსწავლეთა სასახლის პლანეტარიუმში ვარსკვლავებით მოჭედილი ცის დანახვა მათშიც უამრავ კითხვას ბადებს.

„მზე რომ ჩადის და ფერად-ფერადი სხივები წარმოიქმნება, იმ სხივებს რა იწვევს? შეიძლება დედამიწა რომ ორბიტას მოსწყდეს? შავი ხვრელი როგორია? სხვა პლანეტებზე ნამდვილად არ არის სიცოცხლე? მაიას ტომებს რომ სჯეროდათ უცხოპლანეტელების არსებობის?..“

დარბაზში „ჩაკრულო“ ისმის და კოსმოსურ ხომალდ „ვოიაჯერით“ მოსწავლეები ღია კოსმოსში მიჰქრიან. მათ ციალა მასწავლებელი უხსნის, რომ 1978 წელს გაშვებული ამერიკული ხომალდი „ვოიაჯერი“ დღესაც მიფრინავს და თუ იგი ოდესმე ისეთ პლანეტაზე დაეშვება, სადაც ადამიანების მსგავსი არსებები ცხოვრობენ, ისინი მაგნიტურ ფირზე ჩაწერილ მსოფლიო კლასიკოსების ნაწარმოებებთან ერთად ქართულ „ჩაკრულოსაც“ მოისმენენ.

ბავშვები ვარსკლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებენ. ამგვარი ცის ნახვა მხოლოდ უმთვარო, მოწმენდილ ღამეს შეიძლება სოფლად, ან მთაში. აქ ყველა ვარსკვლავი ჩანს, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით არის შესაძლებელი. ასეთი სულ სამი ათასია. ციალა მასწავლებელი გვიხნის, რომ მათ შორის 25 მცირე პლანეტას ქართული სახელები ჰქვია: თამარ მეფე, დავით აღმაშენებლი, ლადო გუდიაშვილი, ევგენი ხარაძე, აბასთუმანი. ეს სახელები ვარსკვლავებს უცხოელმა ასტრონომებმა დაარქვეს.

ჩრდილოეთ პოლუსზე ვართ და მზის და ვარსკვლავების მოძრაობას ვაკვირდებით, მერე ეკვატორზე ვიმყოფებით და თანავარსკვლავედებს ვითვლით.





როგორი ეგონათ დედამიწა ძველ ბაბილონელებს? წყალში მდგარ სვეტებზე დამაგრებული დედამიწისა და მის თავზე გადაჭიმული ბროლის თაღის სანახავად ციალა მასწავლებელი უკვე დიაპოზიტივებს იყენებს და ბავშვებიც ადამიანთა წარმოდგენების ევოლუციას მიჰყვებიან: სპილოზე დასმული დედამიწა, არისტოტელეს პირველი აღმოჩენა და მისი ცნობილი სიტყვები: რადგან მთვარეზე დედამიწის ჩრდილი მრგვალია, დედამიწაც მრგვალი იქნებაო. შემდეგ ციალა მასწავლებელი ჭეშმარიტების ძიებისათვის დასჯილ მეცნიერებზე მოუთხრობს ბავშვებს: არისტარქე რამისელზე, ნიკოლოზ კოპერნიკსა და ჯორდანო ბრუნოზე, რომელმაც სხვა პლანეტაზე სიცოცხლის არსებობა დაუშვა.

„მერე მასწ, არსებობს?“ – შეკითხვაც არ აგვიანებს და ციალა მასწავლებელი ჩვენთან ყველაზე ახლოს მყოფ ანდრომედას გალაქტიკაზე იწყებს საუბარს, რომლამდე სინათლის სხივის მიღწევასაც 2 მილიონი წელი სჭირდება.

რა იცოდნენ ქართველებმა კოსმოსის შესახებ? ციალა მასწავლებელი „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტროფებს კითხულობს, სადაც ავთანდილი 7 პლანეტას მიმართავს და მზის მიზიდულობის ძალას ახსენებს. მეექვსეკლასელებმა ეს სტროფები ჯერ არ იციან, მაგრამ წინაპართა განსწავლულობით აშკარად მოხიბლულნი რჩებიან: „შოთა რუსთაველმა იცოდა, რომ დედამიწა ბრუნავდა!“ – ერთხმად ასკვნიან.

მერე დიაპოზიტივების დახმარებით პლანეტების აღლუმი იწყება და ყველანი წარმოსახვით კოსმოსურ ხომალდებში ვსხდებით, ნილ არმსტრონგთან ერთად მთვარეზე გადავდივართ და ჰაბლის ტელესკოპით ფოტო-სურათებს ვიღებთ. რამდენიმე წუთში უკვე კომეტებსა და კუდიან ვარსკვლავებზე იწყება „ჭორაობა“: „2062 წელს დედამიწას ჰალეის კომეტა მოუახლოვდება. ძალიან კაშკაშა კომეტაა და თუ ჩვენამდე დაშლილი სახით მოაღწევს, მაშინ შესაძლოა თქვენ ვარსკვლავების წვიმა იხილოთ. კომეტის ნარჩენები ატმოსფეროში გაიფანტება. თუ ასე არ მოხდა, მაშინ კაშკაშა კომეტა ჩაივლის და ეს ორი კვირის მანძილზე გაგარძელდება“, – ამბობს ციალა მასწავლებელი.

ბავშვები იძაბებიან, როცა საუბარი დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენას ეხება: „აჩქარდება მზე“? – კითხულობენ ცოტა არ იყოს შეშინებულები.

„სამყაროში წესრიგია და კოსმოსიც წესრიგს ნიშნავს“, – ამბობს ციალა მასწავლებელი და ბავშვებს აიმედებს: „სამყარო გაჩერებული არ არის, ყველაფერი მოძრაობს, იბადება, ვითარდება და კვდება. ვარსკვლავებიც იბადებიან და კვდებიან, მერე ზოგი „პულსარად“ გარდაიქმნება, ზოგი – „თეთრ ჯუჯად“, ზოგიც – „შავ ხვრელად“.

5 მილიარდი წლის შემდეგ მზე გაიბერება, გაიზრდება, ყველაფერს დაფარავს და ჩაყლაპავს. მისი მასა მთლიანად ნისლეულს შექმნის და ბოლოს აფეთქდება. აფეთქების შედეგად მის ცენტრში პატარა, ძალიან კაშკაშა ვარსკვლავი გაჩნდება... და მზე იქნება უკვე „თეთრი ჯუჯა“. მაგრამ მანამდე 5 მილიარდი წელი უნდა გავიდეს... თქვენ ნუ გეშინიათ“...

ცეისის აპარატის „მცირე პლანეტარიუმი“ თბილისის მოსწავლეთა სასახლეში 1965 წელს დაიდგა. ციალა ფერაძე კი ამ კაბინეტში 1969 წლიდან მუშაობს. მაშინ „პლანეტარიუმის“ მიზანი მოსწავლეთა შორის ასტრონომიის მიღწევების პოპულარიზაცია იყო. ამგვარი მოწყობილობა საბჭოთა კავშირში მხოლოდ მოსკოვის პიონერთა სასახლეს ჰქონდა. თბილისის „პლანეტარიუმს“ აბასთუმნის ობსერვატორია უწევდა ზედამხედველობას და ის უამრავი სადემონსტრაციო აღჭურვილობა, რასაც ამ კაბინეტში ნახავთ, აკადემიკოს ევგენი ხარაძის ნაჩუქარია.

სალექციო დარბაზში 40-50 ბავშვი ეტევა. ზოგჯერ ადგილი რომ არ არის, ციალა მასწავლებელი პატარებს თაროებზეც ჩამოსვამს ხოლმე.

ასტრონომიის კაბინეტი სკოლების მოთხოვნის შესაბამისად მუშაობს – იმის მიხედვით, რომელი სკოლა როდის გადაწყვეტს ლექციის მოსმენას. პლანეტრიუმში ხშირად მოდიან ბუნების, გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად. ლექცია ერთ აკადემიურ საათს გრძელდება.



# შეიძინეთ ჟურნალი მასწავლებელი

თბილისსა და საქართველოს რეგიონებში

**მოიკითხეთ** **თქვენი ჟურნალი თბილისში, „მაცნე“-ს და „პლანეტა ფორტე“-ს საცალო ვაჭრობის ჯიხურებში! საქართველოს რეგიონებში კი სს „საქპრესას“ ჯიხურებში!**

**გამოიწერეთ** **ჟურნალი „მასწავალებელი“ საქართველოს რეგიონებში!**

ჟურნალ „მასწავლებელზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად მიმართეთ „საქპრესას“ და მიიღეთ თქვენი „მასწავლებელი“ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ყოველ ორ თვეში ერთხელ!

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარისშწრებით.
ხელმოწერა ექვსი თვით – 6 ლარი.

საქართველოს რეგიონებში ჟურნალ „მასწავლებლის“
გამოწერა შეგიძლიათ სს „საქპრესას“ ფილიალებში შემდეგ მისამართებზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმი | მემედ აბაშიძის №33 (ფოსტის შენობა) აჭარპრესა, 7 22 42; | მარტვილი | თავისუფლების ქ. №12, 2 12 26; 877 97 90 38; |
| | | მარნეული | რუსთაველის ქ. №43, 877 97 90 62; |
| ახალგორი | თავისუფლების მოედანი №8, 4 26 78; | მესტია | რუსთაველის ქ. №1, 877 97 90 68; |
| ადიგენი | თამარ მეფის ქ. №12, 51 59 05; 877 97 90 20; | მცხეთა | დავით აღმაშენებლის ქ. №64, 2 09; 877 97 90 39; |
| აბაშა | თავისუფლების მოედანი №56, 9 12 26; 877 97 90 13; | ნინოწმინდა | კ. მარქსის ქ. №22 |
| ამბროლაური | მ. კოსტავას ქ. №2, 2 15 16; 877 97 90 37; | ონი | დავით აღმაშენებლის მოედანი №1, 877 97 90 41; |
| ასპინძა | რუსთაველის ქ. №10, 9 10 26; | ოზურგეთი | გოგებაშვილის ქ. №2, 6 59 44; 877 97 90 42; |
| ახალქალაქი | მიქოიანის ქ. №15, 51 59 05; 877 97 90 20; | რუსთავი | მეგობრობის გამზირი №9, 12 01 55; 877 97 90 08; |
| ახალციხე | დედაენის ქ. №3, 2 03 13; 877 97 90 16; | საგარეჯო | დავით აღმაშენებლის ქ. №15, 4 36 92; 877 97 90 43; |
| ახმეტა | ლესელიძის ქ. №3, 2 14 65; 877 97 90 17; | სამტრედია | თამარ მეფის ქ. №2, 2 20 52; 877 97 90 44. |
| ბოლნისი | სულხან-საბა ორბელიანის ქ. №50, 2 21 50; 877 97 90 19; | საჩხერე | თავისუფლების ქ. №5, 2 19 65; 877 97 90 69; |
| | | სიღნაღი | ცოტნე დადიანის ქ. №2, 899 23 19 28; |
| ბორჯომი | რუსთაველის ქ. №103, 2 21 15; 877 97 90 28; | სენაკი | რუსთაველის ქ. № 253, 877 97 90 46; |
| ბაღდათი | ვაჟა ფშაველას ქ. №2, 21 01; 877 97 90 18; | ტყიბული | კ. გამსახურდიას ქ. №53, 2 35 30; 877 97 90 47; |
| გორი | სტალინის გამზირი №15, 2 21 41; 877 97 90 22; | ფოთი | წმინდა გიორგის ქ. №16, 2 28 48; 877 97 90 48; |
| გარდაბანი | დავით აღმაშენებლის ქ. №74, 877 97 90 21; | ქუთაისი | დავით აღმაშენებლის გამზხირი №24, 7 71 79; 877 97 90 06; |
| გურჯაანი | თავისუფლების ქ. №7, 2 08 57; 877 97 90 64; | | |
| დმანისი | წმინდა ნინოს ქ. №46, 2 10 61; | ქარელი | მგალობლიშვილის ქ. №5, 3 13 45; 899 76 69 81; |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის ქ. №53, 2 29 76; 877 97 90 23; | ყაზბეგი | დაბა ყაზბეგი, 5 20 12; 877 97 90 59; |
| დუშეთი | სტალინის ქ. №21, 2 16 02; 877 97 90 25; | ყვარელი | ილია ჭავჭავაძის ქ. №150, 877 97 90 51; |
| ვანი | ჭავჭავაძის ქ. №43, 2 15 72; 877 97 90 26; | ჩოხატაური | მშვიდობის ქ. №5, 877 97 90 52; |
| ზესტაფონი | დავით აღმაშენებლის ქ. №21, 5 28 53; 877 97 90 27; | ჩხოროწყუ | კოსტავას ქ. №5, 2 15 10; 877 97 90 66; |
| ზუგდიდი | რუსთაველის ქ. №92, 2 29 11; 2 35 95; 877 97 90 03; | ცაგერი | რუსთაველის ქ. №12, 25 12; 877 97 90 53; |
| თელავი | მ. კოსტავას ქ. №10, 3 12 31; 877 97 90 02; | წყალტუბო | რუსთაველის ქ. №6, 2 23 45; 877 97 90 55; |
| თერჯოლა | რუსთაველის ქ. №63, 2 11 12; 877 97 90 71; | წალკა | ლენინის ქ. 68 |
| თეთრიწყარო | თამარ დედოფლის ქ. №20, 2 29 98; 877 97 90 32; | წალენჯიხა | თბილისის ქ. №2, 20 62; 877 97 90 54; |
| თიანეთი | ლაშარის ქ. №5, 9 18 46; 877 97 90 33; | ხონი | გამარჯვების ქ. №2, 2 14 29; 877 97 90 58; |
| კასპი | სააკაძის ქ. №1, 2 27 28; 877 97 90 34; | ხობი | ცოტნე დადიანის ქ. №86, 22 24; 877 97 90 11; |
| ლაგოდეხი | 26 მაისის ქ. №6, 2 23 20 | ხაშური | რუსთაველის ქ. №2, 4 20 98; 877 97 90 57; |
| ლანჩხუთი | ზაალ მდინარაძის ქ. №1, 877 97 90 36; | ხარაგაული | სოლომონ მეფის ქ. №58, 2 12 88 |
| ლენტეხი | დაბა ლენტეხი, 51 59 05; 877 97 90 20; | ჭიათურა | ილია ჭავჭავაძის ქ. №4 5 30 41; 877 97 90 56 |

ხელმოწერის პირობებზე და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოაღნიშნულ მისამართებზე, მითითებული ტელეფონების საშუალებით.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**სს „საქპრესა“**

**ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №2ა, ხელმოწერის სამსახური: 51-59-05 ან 51-60-04;**

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**

**თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95 ფაქსი: (+995 32) 95 58 36 ელ. ფოსტა: info@tpdc.ge**

www.tpdc.ge


თანამედროვე მასწავლებელი
დირექტორთან ბოლო შეხვედრის შემდეგ დამამშვიდებლები სჭირდება
სასწავლო მასალების მომზადებაზე დახარჯული თანხა
ოჯახში ვახშამს ელიან
ემზადება სასერტიფიკატო გამოცდისთვის
თვალსაჩინო მასალები გაკვეთილისთვის
აქტიურად იყენებს ინტ-ს სწავლების პროცესში
კომპიუტერული ფეხსაცმელი აუცილებელია

www.tpdc.ge